პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 მაისი **შაბათი** 2011
№ 117 (13414) ფასი 60 თეთრი

ინტერნეტ-ტოტალიზატორი
www.liderbeti.com
LIDERBETI
ლიდერი ინტერნეტ სივრცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურის რაზმში საინტერესო გვარებია

3

სპლიტის „პოლიუდი“, სადაც საქართველოს ნაკრები 3 ივნისს ხორვატიას დაუპირისპირდება

შანსი ადამიას, გრიგალავამ პასპორტი უნდა მოასწროს, არიან ახალბედებიც

2

ჯერ საქმე და მერე რეგლამენტი

ცვლილებაზე კომისია იმუშავებს

თავი მოგვეჭრა

ნაკრების წევრები ქურდობისთვის და ჩხუბისთვის დასაჯეს

10

10

ხელბურთში ჩემპიონი უცვლელია

ტოჩინოშინის ისტორიული გამარჯვება

და ჩემპიონობის შანსი

10

ქართული ფეხბურთი

● ჩემპიონატის ფორმატი

ახალ რეგლამენტზე კომისია იმუშავებს

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, რომელიც ბოლო დროს საინტერესო მატჩების ნაცვლად, საინტერესო საორგანიზაციო შეხვედრებს უფრო მასპინძლობს, გუშინ კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჯერად ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრები შეიკრიბნენ.

სხდომაზე, რომელსაც აღმასკომის თავმჯდომარე, ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** უძღვებოდა, გადაწყდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის XX საანგარიშო ყრილობა 25 ივნისს გაიმართება და დღის წესრიგში იქნება:

პრეზიდენტის მოხსენება; სფფ-ს წევრის სტატუსის შეჩერება; სფფ-ს XX ყრილობის ოქმის დამტკიცება; წინა ყრილობიდან სფფ-ს აღმასკომის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში; აუდიტის დასკვნის დამტკიცება; ფინანსური ანგარიშის დამტკიცება; ბიუჯეტის დამტკიცება; საწევრო გადასახადის დამტკიცება; დამოუკიდებელი აუდიტის დანიშვნა; სფფ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის წინადადებების განხილვა; სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა; სხვადასხვა.

აღმასკომის წევრებს სიჭინავამ ეროვნული ჩემპიონატის ახალი პროექტის განხილვაც შესთავაზა. ფედერაციის პრეზიდენტმა უკვე თქვა, რომ პროექტი სტადიონებისა და მოედნების განახლების იმედად წარადგინა. მისივე თქმით, უკვე გადაწყვეტილია, რომ სახელმწიფოს დახმარებით 2011 წელს საფარი სამ სტადიონზე შეიცვლება, 2012 წელს კიდევ ორზე, ორ მოედანს "სოკარი" გააკეთებს, უეფას დახმარებით განახლდება "მიხეილ მესხი", ამოქმედდა "ვიტ ჯორჯიას" მცხეთის სტადიონი, სულ კი 17 განახლებული სტადიონი გვექნებაო.

განცხადება დამაიმედებელია, მაგრამ ამის მიუხედავად, რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელმა პროექტის დახვეწა მოითხოვა, რადგან 17 მოედანი ჯერ დაპირებაა, ახალი სეზონის დაწყებამდე დარჩენილ მცირე დროში (ორ თვეში) კი ამხელა სამუშაოების დასრულება წარმოუდგენელია.

"ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიას** თქმით, სწორედ ამის გამო შეიკავა თავი პროექტის მხარდაჭერაზე, ჯერ საქმე გვაჩვენეთ და რეგლამენტი მერე შევცვალოთო.

აღმასკომზე 2010-2011 და 2011-2012 წლების ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურის შეცვლაზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს: ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**, ორი ვიცე-პრეზიდენტი (**ალექსანდრე ჩივაძე, გია ფირცხალავა**) და საპატიო ვიცე-პრეზიდენტი (**მურთაზ ხურცილავა**), გენერალური სამდივნოს, საშეჯიბრო კომიტეტის წარმომადგენლები და ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელები 2011-2012 წლების ეროვნული ჩემპიონატის ახალ ფორმატს უახლოეს სამ დღეში განიხილავენ. მათი პასუხი ცნობილი გახდება სამშაბათს და უმაღლესი და პირველ ლიგის კლუბების ნარმომადგენლებს, როგორც ითქვა, დახვეწილ პროექტს გააცნობენ.

მერაბ მამულაშვილი

● საერთო აზრი

მოსალოდნელი პოზიცია

ეროვნული ჩემპიონატის სისტემაში შესატანი ცვლილებების შესახებ კომენტარი უმაღლესი ლიგის იმ კლუბების წარმომადგენლებს ვთხოვეთ, რომელთათვისაც ამ სიახლით ბევრი რამ იცვლება – მხედველობაში გვაქვს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი კლუბები.

ჯემალ ჭიპაშვილი, "სიონის" პრესატაშე:

- ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია. მერწმუნეთ, ამ პოზიციაზე ნამდვილად არ ვართ იმის გამო, რომ სიახლე უმაღლეს ლიგაში ავტომატურად დაგვტოვებს – უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნების რეალური შანსი ისედაც გვქონდა.

სახელმწიფო დაფინანსებით ინფრასტრუქტურის პრობლემები მოგვარდება და თორმეტგუნდიანი ჩემპიონატის ჩატარება პრობლემა არ იქნება. კარგია, რომ უმაღლეს ლიგაში თავის გამოჩენის საშუალება უფრო მეტი ქალაქისა და რეგიონის კლუბებს შეეძლებათ, ნიჭიერ ახალგაზრდებსაც უფრო ფართო ასპარეზი მიეცემათ.

საინტერესოა ჩემპიონატის ჩატარების სისტემაც, რომელიც გუნდებს მეტი სიფხიზლისკენ მოუწოდებს. დარწმუნებული ვარ, უმოტივაციო მატჩების რაოდენობა საგრძნობლად დაიკლებს, რადგან თითოეულ ქულას ამჟამინდელზე გაცილებით დიდი ფასი ექნება. დაძაბული შეხვედრების გაზრდილი რაოდენობა კი მაყურებელს სტადიონზე აუცილებლად მიიზიდავს. უფრო საინტერესო გახდება პირველი ლიგის გათამაშებაც, რადგან იქაურ კლუბებს მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ.

ერთადერთი, რითიც უკმაყოფილონი ვართ, ისაა, რომ სჯობდა, ფედერაციას საკუთარი პროექტი ცოტა ადრე წარმოედგინა და ჩემპიონატის ფინიშის წინ კლუბები გაურკვევლობაში არ აღმოჩენილიყვნენ. გავარდნის საფრთხის ქვეშ მყოფი კლუბები ბოლო ტურებში თითქოს ბოლომდე უნდა დახარჯულიყვნენ, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ზოგ მათგანს თავი უკვე ქუდში აქვს, რაც ცხადია, არასასიამოვნო ფაქტია.

მართალია, ფეხბურთის ფედერაციას პროექტი ჯერ არ დაუმტკიცებია, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომავალი სეზონიდან ჩემპიონატი ახლებური ფორმატით ჩატარდება.

ბადრი კვარაცხელია, "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი:

- ეროვნული ჩემპიონატის ახალი ფორმატი მხოლოდ "სპარტაკის" ან "სამტრედიასთვის" არაა შექმნილი. რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის პლეი ოფში ვიბრძოლებთ, მაგრამ იქ რომც ვერ შევინარჩუნოთ ადგილი, "სპარტაკი" არ დაიშლება, პირველ ლიგაში ვიასპარეზებთ და ისევ დავუბრუნდებით უძლიერესთა რიგებს.

ეს ახალი ფორმატი კი ყველას მოსწონს და მას მართლაც არაერთი დადებითი მხარე აქვს. ჩვენს პირველობაზე 12-გუნდიანი უმაღლესი ლიგა და ექვსეულებად დაყოფა ადრეც იყო, მაგრამ ეს ახალი ფორმატი უფრო სრულყოფილია და ბევრად უკეთესი. მას ერთდროულად რამდენიმე დადებითი მხარე აქვს. ვფიქრობ, მაქსიმალურად შემცირდება ე. წ. საეჭვო მატჩების რაოდენობა. გუნდებს სეზონის განმავლობაში, ფაქტობრივად, 50-მდე მატჩი ექნებათ ჩასატარებელი, რაც ფეხბურთელების ჩამოყალიბებასა და დაოსტატებას მნიშვნელოვნად წაადგება.

ზოგი იმასაც ამბობს, 12-გუნდიანი უმაღლესი ლიგა თუ გვინდა, ამდენი სტადიონი სად გვაქვსო. სეზონში, რომელიც თითქმის დავასრულეთ, 10-გუნდიანი უმაღლესი ლიგა იყო, გვქონდა კი უმაღლეს ლიგაში 10 სტადიონი?

რამდენი ხანია გვესმის, სახელმწიფომ ფეხბურთში დიდი ფული თუ არ ჩადო, ისე ჩვენი ჩემპიონატის დონე არ ამაღლდებაო. ეს დღეც დადგა, უმაღლეს ლიგაში ყველა კლუბს სპონსორი ეყოლება, სახელმწიფო მოედნებს აკეთებს და გააკეთებს კიდეც, გუნდები პრემიალურებს მიიღებენ და ეს მხოლოდ მონინავე სამეულს ან ოთხეულს არ შეეხება. ვფიქრობ, ამ ახალი ფორმატით ჩემპიონატში მეტი ინტრიგა და დაძაბულობა იქნება, რაც დონის ამაღლებას განაპირობებს. ერთი სიტყვით, ახალ ფორმატს ძალიან ბევრ პლუსი აქვს და მას სრულიად ვემხრობი.

ლევან ჯანეზაშვილი

● სადავო რეგლამენტი

გიორგი პაპიაშვილი: ჯერ მოედნები გავაკეთოთ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ახალი რეგლამენტის პროექტის გამო ფეხბურთის ფედერაციის და კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრა საინტერესოდ და მწვავე დისკუსიების ფონზე გაიმართა. რეგლამენტის შეცვლის მონინააღმდეგე ილია კოკაიას ("ზესტაფონის" პრეზიდენტი) მხარი აუბეს თბილისის "დინამოს", რუსთავის "ოლიმპის", ქუთაისის "ტორპედოს", "გაგრას" და თბილისის „ლოკომოტივის" წარმომადგენლებმა. მათი წინააღმდეგობის შედეგად, აღმასკომზე პროექტის განხილვა გადაიდო.

ქუთაისის "ტორპედოს" აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი პაპიაშვილი** ამბობს, თუ რატომ იყო პროექტის წინააღმდეგი:

"ახალი პროექტი უდავოდ საინტერესოა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვალდებული გავხდებით მეტი მოედანი გავაკეთოთ, არამედ იმიტომაც, რომ მეტ ფეხბურთელს მიეცემა ნიჭის გამოვლენის საშუალება. თუმცა საამისოდ საჭიროა კიდევ პირობები. ამიტომ ლიგის გაზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუჭერთ მხარს, თუ ყველა გუნდს ექნება კარგი მოედანი და სტადიონი, რომელთა გარეშეც ფეხბურთელების გაზრდა წარმოუდგენელია.

მაგრამ ჩვენ თავს ვიკავებთ მხოლოდ ამ ეტაპზე, სანამ ეს პრობლემები მოგვარდება.

ფედერაციის პრეზიდენტმა ***ზვიად სიჭინავამ*** *კი თქვა, რომ რეალურად შესაძლებელია ამ პრობლემების მოგვარება. თუ ასეც მოხდება, ჩვენ მაშინ პროექტს მხარს დავუჭერთ.*

„სხვანაირად არც გამოვა. ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ ბატონი ზვიადის არგუმენტს, რომ მეტი გუნდი მეტი ტალანტის წარმოჩენას შეუწყობს ხელს, მაგრამ ჩვენი კლუბი უპირველესად ეროვნული ჩემპიონატის ხარისხის გაზრდას უჭერს მხარს, ხარისხი კი ხეირიანი მინდვრების გარეშე წარმოუდგენელია. პირიქით, უხარისხო მოედნებზე მოთამაშეები ვერ გაიზრდებიან" - ამბობს პაპიაშვილი.

მერაბ მამულაშვილი



● პრობლემა

რა მოვუხერხოთ ლიცენზიას?

ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ახალი რეგლამენტის პროექტის წარდგენის შემდეგ, ბუნებრივად გაჩნდა კითხვა - უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ყველა მსურველი დააკმაყოფილებს თუნდაც ეროვნული ლიცენზირების მოთხოვნას?

სწორედ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით შარშან დაიწყო ლიცენზირების ახალი ეტაპი, რომლის შედეგადაც 2009/10 წლების სალიცენზიო სეზონის შედეგები შეჯამდა.

საბოლოოდ, ლიცენზია თერთმეტმა კლუბმა მიიღო: უეფას ლიცენზია მიაკუთვნეს თბილისის „ვიტ ჯორჯიას", თბილისის „დინამოს", რუსთავის „ოლიმპს", „ზესტაფონს", „გაგრას", ცხინვალის "სპარტაკს", ეროვნული ლიცენზია კი - ქუთაისის "ტორპედოს", ბოლნისის „სიონს", ზუგდიდის „ბაიას", ფოთის "კოლხეთს" და თბილისის „ლოკომოტივს".

უმაღლესლიგელებიდან ეროვნულ ლიცენზიაზე უარი მხოლოდ „სამტრედიას" ეთქვა, რადგან კლუბს "ა" ლიცენზიის მწვრთნელი არ ჰყავდა და ვერც ფინანსურ გარანტიებს აკმაყოფილებდა.

საქართველოში უეფას მატჩების მასპინძლობის უფლების მქონე სტადიონების ჩამონათვალსაც მხოლოდ ქუთაისის განახლებული სტადიონი შეემატა. ახლა ასეთი სულ ხუთია - ეროვნული, "მიხეილ მესხი", რუსთავის, ქუთაისის და ზესტაფონის სტადიონები.

სეზონის დაწყებამდე, უეფას ლიცენზიის მაძიებელთა რიცხვში არ იყო გორის "დილა", მაგრამ სერტიფიკატის მიღებასთან ახლოს იყვნენ მარტვილის "მერანი", ბათუმის "დინამო" და საჩხერეს "ჩიხურა", დანარჩენებს პრობლემები ჰქონდათ.

ძალიან კარგი, ახალ სეზონამდე თუ გუნდები ლიცენზირების პირობებს შეასრულებენ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა. მართალია **თემურ ქეცბაია**, რომ ამბობს: - მეტი თამაშები რომ იქნება, ეს ფეხბურთელის გასაზრდელად საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ უეფას მოთხოვნებს რა მოვუხერხოთ?

რამდენიმე დღის წინ, "ლელოსთან" ინტერვიუში გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა **რაინერ მილკორაიტმა** ახსნა, როგორ მოახერხეს გერმანელებმა მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის დროს კლუბების გაკოტრების თავიდან აცილება.

"საქმე ძალიან მარტივად არის – ლიცენზირების სისტემა ყველა პრობლემას აგვარებს. კლუბებს უმკაცრეს მოთხოვნებს ვუყენებთ, მესამე ბუნდესლიგის კლუბებსაც იმავე პირობების შესრულება უწევთ, როგორიც ბუნდესლიგელებს. ლიცენზირებისას კლუბმა უნდა წარადგინოს გარანტია, რომ სეზონს ფინანსურად არ ჩაგდებს, აჩვენოს, საიდან აქვს ფული, რამდენია მისი შემოსავალი და ხარჯი. თუ ეს ვერ დაასაბუთა, ლიგაში თამაშის უფლებას არ მივცემთ. გარდა ამისა, ჩვენი პრინციპული პოზიციაა - არც ერთ კომპანიას თუ ბიზნესმენს არ აქვს უფლება, იყოს კლუბის 100-პროცენტიანი მფლობელი. ეს ისევ კლუბების ინტერესებისთვის გადაწყდა. როდესაც ერთი მეპატრონეა, დიდი შანსია, მისი გაკოტრებით კლუბიც დაიშალოს" - გვითხრა მილკორაიტმა.

მთავარია, სხვისი გამოცდილება მაინც შევისმინოთ.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სანაკრებო თემა

საქართველოს ნაკრებში საინტერესო გვარებია...

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ 30-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, საიდანაც ხორვატიაში წასაყვან კონტინგენტს შეარჩევს.

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** (ანჟი, რუსეთი), **გიორგი ლორია** (დინამო თბილისი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი).

მცველები: **კახა კალაძე** (ჯენოა, იტალია), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (ანასნოდარი, რუსეთი), **ლაშა სალუქვაძე** (ვოლგა, რუსეთი), **აკაკი ხუბუტია** (გაზ–მეთანი, რუმინეთი), **ზურაბ ხიზანიშვილი** (რედინგი, ინგლისი), **უჩა ლობჟანიძე** (დნიპრო, უკრაინა), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **კახა ალადაშვილი** (ზესტაფონი), **გიორგი რეხვიაშვილი** (ოლიმპი, რუსთავი), **გია გრიგალავა** (ვოლგა, რუსეთი).

ნახევარმცველები: **გოჩა ხოჯავა** (ვოლგა, რუსეთი), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **ჯაბა კანკავა** (კრივბასი, უკრაინა), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ, რუსეთი), **ალექსანდრე გურული** (კარპატი, უკრაინა), **დავით კვირკველია** (პანიონიოსი, საბერძნეთი), **თორნიკე გორგიაშვილი** (ზესტაფონი), **ირაკლი მაისურაძე** (ოლიმპი).

თავდამსხმელები: **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **მათე ვაწაძე** (ვოლგა, რუსეთი), **დავით სირაძე** (სპარტაკი ნ, რუსეთი), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ზესტაფონი), **ვლადიმერ დვალიშვილი** (მაქაბი ჰ, ისრაელი), **ჯაბა ლიპარტია** (ზარია, უკრაინა), **ირაკლი მოდებაძე** (ოლიმპი), **გიორგი ადამია** (ყარაბაღი, აზერბაიჯანი).

როგორც ხედავთ, ნაკრების ბირთვი უცვლელია, ხორვატიაში დისკვალიფიკაციის გამო **ლევან კობიაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე** ვერ ითამაშებენ, სანაკრებო სიაში კი სიახლეები მრავლადაა. ბუნებრივია, ხორვატიაში ყველა ახალწვეული ვერ წავა. საინტერესოა, მათგან ვის მიანიჭებს ქეცბაია უპირატესობას.

სანაკრებო სიაში საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული ახალგაზრდების მოხვედრის გარდა, უთუოდ აღსანიშნავი ფაქტია ნაკრებში აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, **გიორგი ადამიას** მიწვევა.

როგორც „ჯვაროსანთა“ თავკაცმა სფფ–ის ოფიციალურ ვებ–გვერდთან საუბარში განაცხადა, ეროვნული ნაკრები შეკრებას 23 მაისს, დღის 12:00 საათზე, ტექნიკურ ცენტრ „ბასა“–ზე დაიწყებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ქეცბაიამ გრიგალავა გამოიძახა

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ხორვატიასთან მატჩამდელ შეკრებაზე პირველად მიიწვია ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგას” მცველი **გია გრიგალავა**.

“ვოლგას” ოფისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გიას სახელზე ოფიციალური მიწვევა რომ მიიღეს, თბილისში ასეთი პასუხი დააბრუნეს - გრიგალავას რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ნათამაშებიო, ანუ რატომ უნდა ჩამოვიდესო?

დიდი ხანია, 21 წლის მცველით ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა დაინტერესდა. რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის მიუხედავად, თავად გიას სურდა საქართველოსთვის თამაში. მამამისი, **ალეკო გრიგალავა** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას იანვარში შეხვდა და შვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაში დახმარება სთხოვა.

ფეხბურთის ფედერაციიდან ფეხბურთელს აპრილში დაუკავშირდნენ და საქართველოს პასპორტის დასაბრუნებლად საჭირო დოკუმენტები მოსთხოვეს. წესით, ეს საბუთები “ვოლგაში” კლუბის თანამშრომელს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ თავი არ შეიწუხეს და თავად გიას მოუხდა სირბილი. თუმცა, ყველა საჭირო საბუთი დროულად ვერ შეაგროვა და მათი ფეხბურთის ფედერაციაში გაგზავნა დაუგვიანდა.

ამასობაში, ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ნაკრების წევრებისთვის ხორვატიის ვიზები უკვე გააკეთეს, გრიგალავა საქართველოს პასპორტს დღე-დღეზე აიღებს.

ჯერაც უცნობია, იურიდიული საკითხები როდის მოგვარდება და შემდეგ მისთვის ხორვატიის ვიზის გაკეთება მოესწრება თუ არა. თუმცა, გრიგალავა ნაკრების შეკრებაზე მაინც გამოცხადდება.

მერაბ მამულაშვილი

● მეტოქე

ბილიჩის რჩეულნი



გუშინვე გახდა ცნობილი ხორვატიული რაზმიც. **სლავენ ბილიჩმა** შეკრებაზე ამ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **ვედრან რუნიე** (ლანსი), **სტიპე პლეტიკოშა** (ტოტენჰემი), **ვიეკოსლავ ტომიჩი** (ქარაბუქსფორი).

მცველები: **დარიო სრნა** (შახტარი), **სიმე ვრსალკო** (დინამო მოსკოვი), **ვედრან ჩორლუკა** (ტოტენჰემი), **იოსიპ სიმუნიჩი** (ჰოფენჰაიმი), **გორდონ შილდენფელდი** (შტურმი), **დომაგოი ვიდა** (ლევერკუზენი), **მანუელ პამიჩი** (სპარტა), **დანიელ პრანიჩი** (ბაიერნი).

ნახევარმცველები: **ოგნიენ ვუკოევიჩი** (დინამო კიევი), **ტომისლავ დიუმოვიჩი** (დინამო მოსკოვი), **ლუკა მოდრიჩი** (ტოტენჰემი), **მილან ბადელი** (დინამო ზაგრები), **დრაგო გაბრიჩი** (ანკარაგიუჯუ), **ივან პერიშიჩი** (ბრიუგე).

თავდამსხმელები: **მარიო მანძუკიჩი** (ვოლფსბურგი), **მლადენ პეტრიჩი** (ჰამბურგი), **ედუარდო და სილვა** (შახტარი), **ნიკოლა კალინიჩი** (ბლექბერნი), **ნიკიცა იელავიჩი** (რეინჯერსი), **ანტე ვუკუშიჩი** (ჰაიდუკი).

როგორც იცით, ხორვატებს საქართველოსთან დაპირისპირებაში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრი დააკლდებათ - **ნიკო კრანჩარი** დისკვალიფიცირებულია, ხოლო **ივიცა ოლიჩი, ივან რაკიტიჩი** და **ივან სტრინიჩი** დაშავებულები არიან.

ლევან ჯანეზაშვილი

● ჩემპიონი მწვრთნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია გეგუჩაძე: მართლა მწამს, რომ ლიგაში მოვხვდებით

“ზესტაფონი” საქართველოს ჩემპიონობისკენ წლების განმავლობაში მიდიოდა. ილია კოკაიას არჩეულმა გზამ და **გია გეგუჩაძის** მუშაობამ გაამართლა და პატარა იმერული ქალაქი საფეხბურთო კლუბის დამსახურებულ ჩემპიონობას აღნიშნავს.

გია გეგუჩაძე განვლილ გზას “ლელოსთან” იხსენებს.

- მეორე ეტაპზე ზედიზედ ოთხი შეხვედრა ფრედ რომ ითამაშეთ, ბევრი დაეჭვდა, “ზესტაფონი” ტრადიციულ “გმირობას” ხომ არ იმეორებდა, ანუ საჩემპიონო ბრძოლას ჩამოშორდებოდა. პირადად თქვენ ჩემპიონობაში არასოდეს დაეჭვებულხართ?

- არასოდეს, რადგან საკმარისი გამოცდილება მაქვს საიმისოდ, რომ ვიცოდე – ყოველთვის ვერ მოიგებ. გუნდს აქვს აღმასვლა და ჩავარდნა, რაც ნორმალური პროცესია და ყოველთვის ვერ გათვლი, როდის რა მოხდება. ფეხბურთს უცნაურობა ახასიათებს, უტეევ, მომენტებს ქმნი, მაგრამ ზოგჯერ ბურთი კარში არ შედის. სხვათა შორის, შარშანდელთან შედარებით რომ გავიზარდეთ, ცუდ მინდვრებზე მოპოვებული გამარჯვებებიც ადასტურებს. საქმეს პრაგმატულადაც მივუდექით და გასვლაზე ბევრი ქულაც მოვიპოვეთ იმ გუნდებთან, რომელთა მოედნებზეც ძნელი იყო ჩვენთვის ჩვეული ფეხბურთის თამაში. ამიტომ სტადიონზე გასვლისას შედეგზე გვქონდა აქცენტი გადატანილი.

- მაღალი კლასის მოთამაშეები “ზესტაფონს” გასულ წლებშიც არ აკლდა, მაგრამ არ ჰყოფნიდა ხასიათი, ან გუნდი არ იყო დაღვინებული..

- ფეხბურთი ის სფეროა, სადაც არაფერი იმალება, მათ შორის არც ის, რაც კულუარებში ხდება და ამისთვისაც მომზადება გჭირდება. მიხარია, რომ წლეულს ჩვენი კლასის შესაფერისი მედლები მოვიპოვეთ და ყველა აღიარებს, “ზესტაფონმა” სუფთა ფეხბურთით გაიმარჯვაო. ფეხბურთელები მეცხრე ცაზე არიან, რადგან წარმატებას საკუთარი შრომით მიაღწიეს.

- საქართველოში გარიგების გარეშე ჩემპიონობა სცილასა და ქარიბდას შორის გავლას ჰგავს.

- ჩვენც ასე გვიარეთ დაბრკოლებები. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

- “ზესტაფონი” ყველაზე დაბალანსებული გუნდია, კონკურენცია არის მეკარეებშიც და თავდამსხმელებშიც. თუმცა არიან ძირითადად შემცვლელი მოთამაშეებიც - მათი მოთოკვა და გუნდის ინტერესებისთვის მომართვა ძნელი არ იყო? ფეხბურთელების ნაწილს მაინც ეგოიზმი ახასიათებს.

- ეს ცოტა პროვოკაციული შეკითხვაა, რადგან ფეხბურთელებს ძირითადებად და შემცვლელებად არ ვახარისხებ და თითოეულ მათგანს ვენდობი. თამაშის სტრატეგიის შედგენისას გონებაში იმ სვლებზეც ვფიქრობ, რომლებიც მაშინ იქნება საჭირო, თუ საწყისმა ტაქტიკამ არ გაამართლა. ამ დროს სკამზე დარჩენილ მოთამაშეს თავისი როლი აქვს, სხვათა შორის, არანაკლები, ვიდრე ძირითადში დაყენებულს. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებშიც შეიძლება დარწმუნებული იყო - მოედანზე შესვლისას აუცილებლად გაიტანს. ასე რომ, ვენდობი ყველა იმ ფეხბურთელს, ვინც გუნდში მყავს, იმ ახალგაზრდებსაც, რომლებსაც დუბლებიდან მთავარ გუნდში გამოსაწრთობად და გასაზრდელად ვიწვევ.

- გაძლიერებაზე “ბარსელონაც” ფიქრობს და უარს “ზესტაფონიც” არ იტყოდა, მით უფრო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპამდე. თუმცა თქვენ გუნდის რადიკალური განახლება არ გახასიათებთ.

- შემადგენლობის რადიკალური შეცვლა არ ივარგებს, რადგან ამ გუნდს ორწელიწადნახევარია ვაკოწიწებთ, მაგრამ გაძლიერება საჭიროა.

- უცხოელთა დამატებაზე ფიქრობთ?

- პრიორიტეტს ყოველთვის ქართველს ვანიჭებ. დაკვირვებული ვარ, ბევრ უცხოელს კარგად დაუწყია, მაგრამ მერე გაჩერებულა, რადგან თავიანთი მოთხოვნები აქვთ და საქართველოში ჩამოსული მაინც დისკომფორტს გრძნობდა. ამიტომ გაცილებით ადვილია ქართველებთან მუშაობა – ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ და მეგობრობენ, ეს კი მოედანზეც გადადის. თუმცა კონკრეტული პოზიციის გასაძლიერებლად ძლიერ უცხოელზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

- გუნდი სად მოემზადება?

- 5 ივნისს ფეხბურთელები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას, 7-ში მზადებას ზესტაფონში დავიწყებთ, 21 ივნისიდან 5 ივლისამდე კი შეკრებას ავსტრიაში მოვაწყობთ და გვსურს, რაც შეიძლება ძლიერ გუნდებს შევხვდეთ.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე 12 ივლისს ჩავერთვებით. ჩემპიონობით გამონვეული დიდი სიხარული დიდი პასუხისმგებლობაც არის, იმიტომ, რომ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში გვიწევს გამოსვლა და საქართველო ღირსეულად უნდა წარმოვაჩინოთ. ჩვენ ჩავარდნის უფლება არ გვაქვს. ვიმედოვნებ, რომ სწორად მოვემზადებით და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდებით.

- ქართული გუნდისთვის ეს დღემდე მიუღწეველი შედეგია.

- მეგობრებიც ხშირად მსაყვედურობენ, მოთხოვნათა თამასას ძალიან მაღლა სწევო, მაგრამ ფეხბურთში თუ არ მოითხოვე, ვერაფერს მიაღწევ. “ზესტაფონში” პირველივე დღიდან ვამბობდი, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ ჩემპიონები და ამისაც ბევრს არ სჯეროდა. ჩემი აზრით, ეს პროცესი ცოტა გაიწელა, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, ყველაფერი ლოგიკურად მოხდა.

მიზნის მიღწევისას მთავარი რწმენაა, მე კი ის მაიმედებს, რომ ფეხბურთელებსაც სწამთ და სჯერათ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას შევძლებთ. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

- ზამთარში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გუნდში დააბრუნეთ ხიდეშელიც და გელაშვილიც. როგორც ჩანს, უსიამოვნება შერიგებით დასრულდა.

- სერიოზული არაფერი მომხდარა. ისინი მეგობრები იყვნენ, არიან და დარწმუნებული ვარ, იქნებიან. ვფიქრობ, ასეთი აჟიოტაჟი იმიტომ ატყდა, ეს ამბავი უცხოეთში რომ მოხდა, მაგრამ ეს ნებისმიერ გუნდში ჩვეულებრივი ამბავია.

- რამდენად რეალურია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზაფხულში გელაშვილი ბელგიაში, “ლოკერენში” გადადის?

- ვერაფერს გეტყვით. პირადად მე გელაშვილის წასვლა არ მინდა, რადგან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მისი დიდი იმედი მაქვს.

მერაბ მამულაშვილი

სპარტაკი-კოლხეთი — 22.05. გორი. ქართლი — **17:00**

ბაია-სამტრედია — 22.05. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე — **17:00**

ოლიმპი-სიონი — 22.05. რუსთავი. ფოლადი — **17:00**

ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია — 22.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე — **17:00**

დინამო-ტორპედო — 22.05. თბილისი. გ. პაიჭაძე — **17:00**

	სულ							შინ							სტუმრად						
ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ
1	ზესტაფონი	35	23	6	6	68	19	75	17	14	2	1	42	4	44	18	9	4	5	26	15	31
2	დინამო	35	21	9	5	54	20	72	17	12	5	0	35	10	41	18	9	4	5	19	10	31
3	ოლიმპი	35	19	6	10	50	30	63	17	13	2	2	28	7	41	18	6	4	8	22	23	22
4	ტორპედო	35	13	13	9	29	21	52	18	9	8	1	15	5	35	17	4	5	8	14	16	17
5	ვიტ ჯორჯია	35	14	6	15	35	37	48	18	8	3	7	23	20	27	17	6	3	8	12	17	21
6	ბაია	35	12	5	18	32	50	41	17	11	3	3	23	13	36	18	1	2	15	9	37	5
7	სიონი	35	10	9	16	26	43	39	18	9	4	5	21	16	31	17	1	5	11	5	27	8
8	კოლხეთი	35	10	9	16	25	47	39	18	8	4	6	18	18	28	17	2	5	10	7	29	11
9	სპარტაკი	35	7	10	18	32	42	31	17	6	4	7	27	20	22	18	1	6	11	5	22	9
10	სამტრედია	35	6	7	22	26	68	25	18	6	5	7	15	17	23	17	0	2	15	11	51	2

მარტვილი უმაღლეს ლიგაში!

პირველი ლიგის ბოლოსწინა ტურში მარტვილის "მერანმა" სტუმრად ლანჩხუთის "გურიას" მოუგო და მდევართათვის მიუღწეველი შეიქნა. "გაგრას" შემდეგ "მერანი" მეორე გუნდია, უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოიპოვა. "გაგრასგან" განსხვავებით, "მერანი" უმაღლეს ლიგაში პირველად იასპარეზებს.

I ლიგა, XXXIII ტური

ბათუმი-გაგრა	1:1
გურია-მარტვილი	0:2
ნ. დინამო-სამგურალი	2:0
დილა-ჩხერიმელა	2:0
ჩიხურა-ადელი	2:0
სქური-ლოკომოტივი	1:0
ჭიათურა-კოლხეთი (ხ)	1:0
იმერეთი-მეშახტე	4:0

ბოლო ტური, 24 მაისი

ადელი-სქური

ჩხერიმელა-მერცხალი

გაგრა-ჭიათურა	
მეშახტე-ბათუმი	
კოლხეთი (ხ)-ნ. დინამო	
მარტვილი-იმერეთი	
ლოკომოტივი-დილა	
სამგურალი-ჩიხურა	

გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
გაგრა	31	22	6	3	71-18	72
მერანი	31	21	7	3	58-15	70
გორი	31	19	9	3	57-21	66
ჩიხურა	31	20	5	6	57-24	65
ბათუმი	31	17	9	5	65-18	60
გურია	32	14	4	14	50-59	46
კოლხეთი (ხ)	31	11	10	10	29-34	43
იმერეთი	31	11	4	16	36-41	37
მეშახტე	31	10	5	16	32-47	35
ნ.დინამო	31	10	5	16	39-57	35
ჩხერიმელა	31	7	13	11	34-44	34
მერცხალი	31	8	7	16	40-67	31
ადელი	31	9	2	20	36-54	29
სქური	31	8	5	18	28-50	29
სამგურალი	31	8	5	18	37-63	29
ჭიათურა	31	8	5	18	27-67	29
ლოკომოტივი	31	7	7	17	30-47	28

მეორე ლიგა

აღმოსავლეთი ზონა

ერთოგა-დუშეთი	0:3
სამცხე-ალგეთი	0:8
მერანი–სტუ-თიანეთი	0:3
გაგრა-2–ზოოვეტი	0:3
ავაზა-აგული	4:1
გოლიადორი-35 სკოლა	3:0
ივერია-სასკო	3:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზოოვეტი	25	16	6	3	59-22	54
2. სტუ-თიანეთი	25	16	3	6	67-33	51
3. ივერია	25	16	2	7	51-26	50
4. გაგრა-2	25	15	4	6	55-21	49
5. სასკო	26	14	7	5	77-41	49
6. ავაზა	25	13	2	10	63-42	41
7. ალგეთი	24	12	3	9	48-30	39
8. აგული	24	12	1	11	38-32	37
9. გოლიადორი	26	11	4	11	43-39	37
10. დუშეთი	25	9	9	7	51-39	36
11. იმედი	25	9	7	9	60-48	34
12. მერანი	25	8	4	13	34-43	28
13. 35-ე სკოლა	25	3	6	16	23-55	15
14. სამცხე	26	3	0	23	19-145	9
15. ერთოგა	25	2	0	23	10-82	6

შენიშვნა: 35-ე სკოლა და ერთობა მოხსნილია გათამაშებიდან.

ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3:0.

დასავლეთი, „ა" ზონა

მართვე-გურია-2	1:2
მარგვეთი-საირმე	1:2
მერანი-2–ბახმარო	0:1
ჩიხურა-2–მერცხალი-2	10:0
დინამო-2–რაჭა	5:1
სულორი-ქუთაისი	0:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა-2	21	17	4	0	79-14	55
2. სულორი	22	15	1	6	43-24	46
3. დინამო-2	22	12	7	3	43-19	43
4. მარგვეთი	21	12	2	7	45-31	38
5. ბახმარო	21	10	6	5	31-31	36
6. ბეთლემი	21	10	3	8	37-30	33
7. გურია-2	22	8	3	11	32-43	27
8. მერანი-2	21	7	5	9	21-12	26
9. საირმე	21	7	4	10	19-30	25
10. ქუთაისი	21	6	3	12	28-48	21
11. რაჭა	21	6	2	13	31-48	20
12. მერცხალი-2	21	1	7	13	23-64	10
13. მართვე	21	2	3	16	16-45	9

მომავლის ფეხბურთი

ოლიმპიკის პიკი

სხვა საფეხბურთო სკოლების მსგავსად მომავალი თაობის აღზრდაზე „ოლიმპიკიც" ზრუნავს, სადაც არაერთი ნიჭიერი ბავშვი აღიზარდა.

სასაუბროდ საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" პრეზიდენტს, 80-იანი წლების თბილისის "დინამოს" მეკარეს კარლო მჭედლიძეს ვესტუმრეთ.

- ჩვენი მიზანი იყო ფეხბურთი მომავალი თაობისთვის გვესწავლებინა. საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკი" 1997 წელს დაარსდა და დღემდე ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ბავშვები, რომლებიც ქართულ ფეხბურთს არაერთ გამარჯვებას მოუტანენ.

მწვრთნელის როლი

აუცილებელია, მომავალი ფეხბურთელები შესაბამისი განათლების მწვრთნელთა ხელში აღიზარდონ.

„სკოლაში 200 ბავშვი ირიცხება. მათთან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ათი მწვრთნელი მუშაობს. ზოგადად კარგია, როდესაც მწვრთნელს მიღებული აქვს თეორიული განათლება, მაგრამ აუცილებელია, მწვრთნელს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება შეეძლოს. სკოლის უმთავრესი მიზანია აღზარდოს არა მარტო ფეხბურთელი, არამედ პიროვნება. ჩვენთან აღზრდილი ბავშვი თუ საუკეთესო ფეხბურთელი არა, კარგი ადამიანი და საზოგადოების სრულფასოვანი წევრი უნდა იყოს", - გვითხრა კარლო მჭედლიძემ.

გზა ემპოლისკენ

იტალიურ ფეხბურთში კახი კალაძის მსგავსად კიდევ ერთი ქართველი, ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდა თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე თამაშობს. „ემპოლიში" ლევანის თამაში აღმზრდელი მწვრთნელის ლევან მელიქიასა და „ოლიმპიკის" დამსახურებაა.

ლევანის იტალიურ კლუბში გადასვლა საამაყოა, რადგან 15 წლის მოზარდი საფეხბურთო სკოლის კედლებიდან პირდაპირ იტალიური ფეხბურთის მექაში აღმოჩნდა.

კარლო მჭედლიძე: „მას შემდეგ, რაც ლევანი "ემპოლიში" ჩაირიცხა, ამ კლუბთან უვადო ხელშეკრულება გვაკავშირებს. ხშირად ჩავდივართ და ვაკვირდებით იქაურ საფეხბურთო გარემოს. ჩვენს სკოლას იტალიელი და გერმანელი მენეჯერები ემსახურებიან. „ოლიმპიკის" აღსაზრდელებს აქვთ იმის პერსპექტივა, დიდი ფეხბურთი ითამაშონ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვებს მხოლოდ ევროპისთვის აღვზრდით. მთავარია, ჩვენმა მოზარდებმა ქართული ფეხბურთი ასახელონ".

მწვანე მოედნები

ბოლო წლებში საფეხბურთო სკოლების უმრავლესობა უპირატესობას ხელოვნურსაფრიან მოედნებს ანიჭებენ. ავიწყდებათ უმთავრესი, რომ ხელოვნურსაფრიან ხალიჩაზე ხანგრძლივი ვარჯიში ბავშვის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. აზიანებს მოზარდის ორგანიზმს, ხშირია სხვადასხვა სახის ტრავმიანობა. საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკს" ბუნებრივსაფრიანი ერთი სტანდარტული და 5 არასტანდარტული მოედანი აქვს. იმის მიუხედავად, რომ ბუნებრივი ბალახი შესაბამის მოვლას საჭიროებს, სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს ბავშვები ჯანსაღ გარემოში აღიზარდონ.

მთავარი ფეხბურთია

სკოლის აღსაზრდელთა შორის არაერთი შეჭირვებული ოჯახის შვილია. მათთვის სკოლამ შესაბამისი შეღავათები დაანესა. „ჩვენთან სწავლა 40 ლარი ღირს, თუმცა ზოგიერთი 20 ლარს იხდის. ამ თანხებით სკოლის ხარჯები იფარება. საავარჯიშო მოედნების გარდა ბავშვების განკარგულებაშია საშხაპე-გასახდელები, ღამის განათება, ტრიბუნები. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ სკოლის შენობა გავარემონტოთ. ბავშვებს ემსახურება ექიმი. ახლახან მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღსაზრდელებს სამედიცინო დაზღვევა გავუკეთოთ, რომელიც თვეში 5 ლარი ღირს. ვიმედოვნებ, ამ თანხის გადახდას მშობლები შეძლებენ, რადგან ჯანმრთელობის დაზღვევა მოზარდებს არამარტო მოედანზე მიღებული ტრავმისას გამოადგებათ", - გვითხრა კარლო მჭედლიძემ.

STOP...!!!

თქვენი აზრით, ვინ უფრო მეტ შეცდომას უშვებს: არაპროფესიონალი მწვრთნელი თუ მშობელი? სამწუხაროდ, მშობლები, რადგან ისინი თავიანთ შვილისადმი განდიდების მანიით არიან შეპყრობილნი, რაც მწვრთნელს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში ხელს უშლის.

კარლო მჭედლიძე: „მიმაჩნია, რომ მშობელი სკოლის ცხოვრებაში აქტიურად არ უნდა ერეოდეს. მწვრთნელმა შეიძლება ბავშვს ვარჯიშისას რაღაც აპატიოს, სამწუხაროდ, ამას მშობელი ვერ ხედება და უხეში შეძახილებით შეიძლება თავისი შვილი ყველას წინაშე დაამციროს. საბედნიეროდ, ჩვენს სკოლას მსგავსი პრობლემები არ შექმნია, მაგრამ ოდესმე თუ მოხდება, ჩვენი ბრალი იქნება, რადგან მშობლის ზედმეტად აქტიურობა სკოლამ არ უნდა დაუშვას".

ვარსკვლავების მოლოდინში

სხვა საფეხბურთო სკოლების მსგავსად სალიცენზიო შემონმება საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკმაც" გაიარა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ცნობილი ჯერ კიდევ არ არის.

კარლო მჭედლიძე: „კომისიის წევრებმა „ოლიმპიკი" უკვე მოინახულეს. მათ ჩვენს მიმართ ყველა ის აუცილებელი ვალდებულება ჰქონდათ, რაც საფეხბურთო სკოლისთვის მნიშვნელოვანია. იმედია, საბოლოო პასუხს მივიღებთ და შესაბამისი ვარსკვლავიც მოგვენიჭება".

სალომე ხარატიშვილი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტურის წინ

ხვალე იკითხავს ხვალისაც!

ხვალ, 19:00

არსენალი VS ლივერპული

დისკვალიფიკაცია: დივაინი (ასტ)
ტრავმა: კლარკი - აურელიო, აგერი, კელი, ჯერარდი

ხვალ, 19:00

ბოლტონი VS მანჩესტერ სიტი

ტრავმა: კ. დევისი, ალონსო, ჰოლდენი, შ. დევისი, რიკეტსი - ჯონსონი, ბოატენგი

ხვალ, 19:00

ევერტონი VS ჩელსი

დისკვალიფიკაცია: ბილიალეტდინოვი (ევერ)
ტრავმა: ტ. კეჰილი, ბარკლი, საა, ფელაინი - ბოსინგვა

ხვალ, 19:00

ფულჰემი VS არსენალი

ტრავმა: გერა, ჰელიჩი, კამარა, დაფი - კოშელნი, დიაბი, როსიცკი, ნასრი, ფაბრეგასი, ისტმონდი, ფაბიანსკი

ხვალ, 19:00

მანჩესტერ იუნ VS ბლექპული

დისკვალიფიკაცია: მორისონი (მანჩ)
ტრავმა: ო'ში, ლინდეგარანდი, ევრა, ჰარგრივსი - ბეშემი, კერნი

ხვალ, 19:00

ნიუკასლი VS ვესტ ბრომვიჩი

ტრავმა: ჰარპერი, ნოლანი, აირლენდი, პირჩი, კადარი, უილიამსონი, ბესტი, გოსლინგი, ბენ არფა - დორანსი

ხვალ, 19:00

სტოკი VS უიგანი

ტრავმა: ჰუთი, ეზერინგტონი, ფულერი, ჰიგინბოტემი, სიდიბე - ნ'ზოგბია, დიამე, პოლიტი

ხვალ, 19:00

ტოტენჰემი VS ბირმინგემი

დისკვალიფიკაცია: ჯ. ჯერვისი (ბირმ)
ტრავმა: გომესი, გალასი, ბეილი, ჰადლესტაუნი, ჯენასი, ასუ-ეკოტო, ჰატონი, ვუდგეიტი, ლ. კინგი - ჟიგიჩი, რიჯუელი, გარდნერი, მარტინსი, ტეილორი, ვალესი, მაკფადენი, ს. დანი

ხვალ, 19:00

ვესტ ჰემი VS სანდერლენდი

ტრავმა: ტომკინსი, აპსონი, პარკერი, ო'ნილი, დაიერი, ნობლი, სტანისლასი - ტერნერი, კეტერმოლი, მეილერი, ა. ფერდინანდი, ბრამბლი, უილბეკი, ასამოა, რიჩარდსონი, გორდონი, ფ. კემპბელი

ხვალ, 19:00

ვულვერჰემპტ. VS ბლექბერნი

დისკვალიფიკაცია: გულონი (ბლექბ)
ტრავმა: როჩინა, სალგადო, დ. დანი, ნილსენი, გრელა (ყველა ბლექბერნი)

ხვალ, პრემიერლიგის ჩემპიონატი დასრულდება. ყველა თამაში ერთსა და იმავე დროს, ჩვენებურად 19 საათზე იწყება. არის შეხვედრები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა არის ისეთი დაპირისპირებებიც, რომელთა შედეგს ნამდვილად არ აქვს დიდი აზრი. ჩემპიონის ვინაობა, მოგეხსენებათ, გარკვეულია. ცნობილია ბოლო ადგილზე გასულიც... ამ ყველაფრის გამო ჩვენს დღევანდელ წინათქმაში ჯობს რომელიმე თამაშს ნუ გამოვარჩევთ, ყველას ჩამოვყვეთ და ორიოდ სიტყვით შევეხოთ.

„ასტონ ვილა" „ლივერპულს" მასპინძლობს. ამ შეხვედრაში გამარჯვება სტუმრებს სჭირდებათ. მოგების შემთხვევაში - „ტოტენჰემმა" შინ „ბირმინგემთან" უნდა წააგოს ან ფრედ ითამაშოს - „ლივერპული" მეხუთე ადგილზე გავა და მომავალ სეზონში ევროპის ლიგაში ითამაშებს. საინტერესოა, რომ მერსისაიდელები ბოლო ტურში, „სფურზთან" წაგებამდე შესანიშნავ ფორმაში იყვნენ და მეხუთე პოზიციას რიხით უტევდნენ, მაგრამ **ჰარი რედნაპის** ფეხბურთელებმა „წითლებს" საკუთარ „ენფილდზე" 2:0 აჯობეს და დღეს უკეთეს პოზიციაში არიან.

კი მაგრამ, არის იმის შანსი, რომ „სფურზმა" „ბირმინგემთან" ქულები დაკარგოს? თუ ცხრილს ჩავხედავთ და „ბირმინგემის" მდგომარეობას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ „უაით ჰართ ლეინის" სტუმრებს მოტივაცია არ აკლიათ - ისინი გასავარდნ სამეულში მხოლოდ გატანილ-გაშვებულთა უკეთესი სხვაობის გამო არ არიან. სხვა სიტყვებით, „დეზებს" დიდი წინააღმდეგობა ელით, მაგრამ „ლივერპულმა", უპირველეს ყოვლისა, თავის საქმეს უნდა მიხედოს და „ვილა პარკზე" მოიგოს. კაცმა რომ თქვას, მათ წისქვილზე „ასტონ ვილას" გუნებ-განწყობაც ასხამს წყალს - **ჟერარ ულიეს** ფეხბურთელებს ამ შეხვედრაში არაფერი სჭირდებათ (თუ ფულს არ ჩავთვლით) და მათ გულით ავადმყოფ თავკაც **ჟერარ ულიეს** შეუძლია თამაში საერთოდ არ ნახოს, რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. თუმცა ფული.. საპრიზო ფონდთან დაკავშირებით საქმე ასეა: პრემიერლიგაში თითო ადგილზე 800 ათასი ფუნტით მეტია. კარგად რომ წარმოვიდგინოთ, შარშანდელი გავიხსენოთ: მე-20 ადგილზე გასულმა 800 ათასი მიიღო, მე-19 გუნდმა - 1,6 მილიონი და ასე შემდეგ. და რომელი ადგილის მოპოვება შეუძლია ჩვენ მიერ უმოტივაციოდ გამოცხადებულ „ასტონ ვილას"? „ლივერპულის" ძლევისა და მთელი რიგი დამთხვევების შემთხვევაში მე-9 ადგილის, რაც შარშან 9,6 მილიონ ფუნტად დაფასდა.

ახლა ლონდონურ დერბიზე, „ფულჰემისა" და „არსენალის" დაპირისპირებაზე გადავერთოთ. ეს შეხვედრა იმით გახლავთ საინტერესო, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდისთვის ევროთასებზე გასვლის საკითხს ეხება. „მეთოფეებმა", წინა ტურში შინ „ასტონ ვილასთან" 2:1 წააგეს, რასაც რამდენიმე დღეში „მანჩესტერ სიტის" მიერ „სტოკის" 3:0 დამარცხება მოჰყვა და შედეგად ჩრდილოლონდონელები მეოთხე ადგილზე ჩასრიალდნენ. თუ მათთვის ჩემპიონატი ასეც დასრულდება, მაშინ **არსენ ვენგერს** ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა ჯგუფური ეტაპიდან კი არ მოუწევს, არამედ შესარჩევიდან, რაც გაცილებით ცუდია. ამრიგად, ბოლო დღეს „არსენალს" „ფულჰემის" ძლევა და ბოლტონში „სიტის" წარუმატებლობა უნდა.

და „ფულჰემს" რაღა უნდა? დასავლეთლონდონელთა საქმე ასეა: მათ ევროლიგაში მოხვედრა „ფეარ პლეის" გზით შეუძლიათ და ამიტომ... „არსენალთან" შეხვედრაში მთავარია ყვითელი და წითელი ბარათები არ მიიღონ.

სიტის ფეხბურთელები გულშემატკივრებს ემადლიერებიან

როგორც უკვე ვთქვით, „არსენალის" კონკურენტი „მანჩესტერ სიტია", ის ბოლტონში თამაშობს. ბოლტონელთა 32 წლის მცველი **პოლ რობინსონი** ძალიან უკმაყოფილოა თავისი გუნდის ბოლო შეხვედრებით და იმედოვნებს, რომ „სიტისთან" წარმატებული თამაშით სეზონს რიხიანად დაამთავრებს.

„ჩვენ ევროლიგაში გამოსვლის შანსი ხელიდან გავუშვით და, ახლა, თუ ისევ ცუდად ვითამაშებთ, შეიძლება მეათე ადგილზეც კი ვერ გავიდეთ. ერთი სიტყვით, უკმაყოფილო ვარ, რადგან ევროპულ შეჯიბრებაში მინდოდა მონაწილეობა" - თქვა რობინსონმა და, ვფიქრობთ, ამ ნათქვამით ისტლენდელთა მეტოქის განწყობა ნათელი ხდება.

თუმცა, საბრძოლო განწყობა „სიტის" უფრო აქვს. სეზონის გამარჯვებით და მესამე ადგილით დასრულება **რობერტო მანჩინის** ფეხბურთელებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

და რას უნდა ველოდოთ ლივერპულის „გუდისონ პარკიდან", სადაც „ევერტონი" „ჩელსის" მასპინძლობს? პასუხი ასეთია: ამ შეხვედრას პრემიერლიგის ცხრილისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. **დევიდ მოიესის** გუნდი მეშვიდე ადგილზე არიან და ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება შეემთხვათ, მერვემდე დაქვეითებაა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება თუ „ფულჰემი" და „ჩელსი" მოიგებენ.

„ჩელსისთვის" კი ამ შეხვედრების შედეგს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც უფრო ნათლად გამოჩნდება გაუშვებენ **კარლო ანჩელოტის** თანამდებობიდან თუ აქვს დარჩენის შანსი. საინტერესოა, რომ „ჩელსის" „ევერტონთან" მოგება უჭირს. „ლურჯებმა" ეს, ბოლოს, 2009 წელს, ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში მოახერხეს. მაშინ მათ **გუს ჰიდინკი** წვრთნიდა, კაცი, რომლის „ოლდ ტრეფორდზე" დაბრუნება ასე ძლიერ სურს მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს**.

„ვულვერჰემპტონი" „ბლექბერნს" მასპინძლობს და ჩვენში რომ იტყვიან, დედა შვილს ხელში არ აიყვანსო, ისეთი თამაშია. რატომ? ჩახედეთ ცხრილს და თვალნათლივ დაინახავთ რაც ხდება. ეს ორი გუნდი იმ ხუთეულშია, რომელსაც ხვალინდელი დღე განაჩენს გამოუტანს. დანარჩენი სამი, ამ წუთას, ხსენებულ წყვილს ერთი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ეს ვითომ უპირატესობა არაფერს ნიშნავს. როგორც ხედავთ, მეტოქეებისთვის ფრეც არაფრის გარანტიას იძლევა. ამ გუნდების პირველი შეხვედრა, დეკემბერში, „ბლექბერნის" გამარჯვებით, 3:0 დამთავრდა.

თუ „ბლექბერნი" პრემიერლიგიდან გავარდება, კლუბის ახალ მეპატრონე კორპორაცია „ვენკის" სერიოზულად მოსთხოვენ ახსნა-განმარტებას, რატომ გაუშვეს თანამდებობიდან **სემ ელერდაისი**.

ელერდაისის მაგივრად დანიშნული **სტივ კინი** „ვულვერჰემპტონთან" შეხვედრის წინ 27 წლის კონგოელი ცენტრალური მცველის, **კრის სამბას** ნატკენ ბარძაყზე დარდობს:

„წინა ტურში, „იუნაიტედთან", კრისმა ჯერ საზარდული აიტკივა, მაგრამ ეს საშიშად არ მეჩვენა და მოედანზე დავტოვე, რასაც, სამწუხაროდ, ბარძაყის ტრავმა მოჰყვა. ჩვენ კარგად ვიცით, რა მნიშვნელობა აქვს სამბას გუნდისთვის და თუკი მისი თამაშის თუნდაც მინიმალური შანსი მოგვეცემა, ჩვენ მას ვათამაშებთ".

გავარდნის კიდევ ერთი კანდიდატი, „უიგანი" კი „სტოკში" თამაშობს. **რობერტო მარტინესის** გუნდმა მთელი სეზონი ბოლო სამეულში გაატარა, მაგრამ წინა ტურში გმირობა ჩაიდინა, „ვესტ ჰემთან" 2:0 ჩამორჩენას არ შეუშინდა, სამი გოლი შეაგდო და დღეს გადარჩენის შანსიც აქვს. უიგანელთა კიდევ ერთი კოზირი ის გახლავთ, რომ ამ შეხვედრაში „სტოკს" არაფერი აინტერესებს.

აზრი არ აქვს „ვესტ ჰემისა" და „სანდერლენდის" შეხვედრასაც, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ბლეკპულის" თამაში კი სტუმრებისთვის არის მნიშვნელოვანი. ამ შეხვედრაში ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად იქნება ჩემპიონობის მოზეიმე „იუნაიტედი" ფეხბურთის სათამაშოდ მზად. მეორე მხრივ კი, მანჩესტერელები ჩემპიონის რანგში, თავისი მაყურებლის წინაშე უგულოდ თამაშს იკადრებენ?

დაბოლოს, „ნიუკასლ იუნაიტედისა" და „ვესტ ბრომვიჩის" შეხვედრა, რომელშიც გუნდები ზედა ათეულში მოსახვედრად თუ მოიდენენ ოფლს.

ილია ბაბუნაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	37	22	11	4	74-35	77
2. ჩელსი	37	21	8	8	69-32	71
4. სიტი	37	20	8	9	58-33	68
3. არსენალი	37	19	10	8	70-41	67
5. ტოტენჰემი	37	15	14	8	53-45	59
6. ლივერპული	37	17	7	13	59-43	58
7. ევერტონი	37	12	15	10	50-45	51
8. ფულჰემი	37	11	15	11	47-41	48
9. სტოკი	37	13	7	17	46-47	46
10. ბოლტონი	37	12	10	15	52-54	46
11. ვესტ ბრომვიჩი	37	12	10	15	53-68	46
12. ნიუკასლი	37	11	12	14	53-54	45
13. ასტონ ვილა	37	11	12	14	47-59	45
14. სანდერლენდი	37	11	11	15	42-56	44
15. ბლეკბერნი	37	10	10	17	43-57	40
16. ვულვზი	37	11	7	19	44-63	40
17. ბირმინგემი	37	8	15	14	36-56	39
18. ბლეკპული	37	10	9	18	53-74	39
19. უიგანი	37	8	15	14	39-61	39
20. ვესტ ჰემი	37	7	12	18	43-67	33

ბომბარდირები: 20 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი), ტევესი; 17 - ბენტი (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი); 15 - ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 13 - კემპბელი (ბლეკპული), ქეროლი (ლივერპული), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), კუიტი (ლივერპული), მალუდა (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 12 - დემპსი (ფულჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), 11 ადამი (ბლეკპული), დროგბა (ჩელსი).

SERIE A

სერია ა. XXXVIII ტურის წინ

ბოლო ტურის სალიგო ინტრიგა

და პირლოს ბოლო მილანური

ხვალ, 20:00

ბოლონია VS ბარი

დისკვალიფიკაცია: ბრიტოსი, რამირესი – გლიკი, პარიზი.
ტრავმა: ბუშე, მონტელონგო, გარიჩი – რომერო, პარიზი, როსი, რუდოლფი, კუტუზოვი, ოკაკა, ს. მაზიელო, ბარეტო, კასტილო.

ხვალ, 20:00

ბრეშა VS ფიორენტინა

დისკვალიფიკაცია: ჰეტემაი, კონე – კროლდრუპი.
ტრავმა: დალამანო, კორდოვა, ძანეტი, მარეკო – ჯილარდინო, იოვეტიჩი, ბაბაქარი.

ხვალ, 20:00

კალიარი VS პარმა

დისკვალიფიკაცია: ჯემაილი (პარმა).
ტრავმა: ნენე, პიზანო – პალადინო, კრესპო.

ხვალ, 20:00

ჯენოა VS ჩეზენა

დისკვალიფიკაცია: დესტრო (ჯენოა).
ტრავმა: ფონ ბერგენი (ჩეზენა).

ხვალ, 20:00

ინტერი VS კატანია

ტრავმა: სნეიდერი, კორდობა – სპოლი, რიკიუტი, ბელუში.

ხვალ, 20:00

პალერმო VS კიევო

დისკვალიფიკაცია: ბაჩინოვიჩი, ერნანდესი (პალერმო).
ტრავმა: ბალცარეტი, პინილია – სარდო, ურიბე.

ხვალ, 23:45

რომა VS სამპდორია

დისკვალიფიკაცია: დე როსი (რომა).
ტრავმა: ჟუანი, კასეტი, ბრიგი, მექსე – მაკედა, სემიოლი.

ხვალ, 23:45

იუვენტუსი VS ნაპოლი

დისკვალიფიკაცია: მოტა – კავანი.
ტრავმა: სტორარი, გროსო, რინაუდო, სისოკო, კვალიარელა, იაკვინტა, გრიგერა (იუვენტუსი).

ხვალ, 23:45

ლეჩე VS ლაციო

დისკვალიფიკაცია: ტომოვიჩი (ლეჩე).
ტრავმა: გუსტავო, ფერარიო, ოფერე, ოლივერა, ბერტოლაჩი – დიაკიტე, რადუ, მეგნი.

ხვალ, 23:45

უდინეზე VS მილანი

ტრავმა: ბასტა, კოდა – იანკულოვსკი, ანტონინი.

ერთი ტურიც და, სერია B-ს 2010/2011 წლების გათამაშება ისტორიის საკუთრება გახდება. შემდეგ იქნება ბევრი ანალიზი, სტატისტიკური მონაცემები და ამ ყველაფრის შეჯამება – თუმცა, იქამდე ჯერ კიდევ ათი მატჩია დარჩენილი და ჩვენც გადავხედოთ კვირის დაგეგმილ პაექრობათა ნუსხას.

ყველაზე დიდ ინტერესს "უდინეზე"-"მილანის" პაექრობა იწვევს, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ჩემპიონის სტატუსით ჩადის უდინეში, სადაც ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდთან მოუწევს შეტოქება. "უდინეზე" მეოთხე ადგილზეა, ორი ქულით უსწრებს "ლაციოს" და თუ ფრედ მაინც დაამთავრა თავისი შეხვედრა, ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე სწორედ **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდი გავა. ანუ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრეტენდენტებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, უპირატესობა "უდინეზეს" მიენიჭება, რადგან ურთიერთშეხვედრებში ფრიულელებს უკეთესი მაჩვენებელი აქვთ. მართალია, რომში „ლაციომ" მოიგო (3:2), მაგრამ "სტადიო ფრიულიზე" უკვე "უდინეზემ" იძალა (2:1) და სტუმრად გატანილი გოლის უპირატესობა მოიპოვა. ერთი სიტყვით, რომაელებს იმის იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ ჩემპიონები სრული კონცენტრაციით ითამაშებენ, მაქსიმალურად მოინდომებენ და დაამარცხებენ მოტივირებულ მეტოქეს.

იტალიაში ამის ნაკლებად სჯერათ, მაგრამ "მილანის" მწვრთნელ-ფეხბურთელები რიხიან განცხადებებს არ აკლებენ – მოვუსმინოთ მასიმილიანო ალეგრის: "*სეზონი ფანტასტიკური გამოვიდა და გვსურს, გამარჯვებით დავასრულოთ. "მილანი" ყოველთვის იცავდა ფეარპლეის პრინციპებს და გამონაკლისი არც "უდინეზესთან" პაექრობა იქნება. ასე რომ, ფრიულიში საბრძოლველად მივდივართ და გვჯერა, რომ სამ ქულას მოვიპოვებთ. ვათამაშებ თუ არა ძირითად შემადგენლობას? – ყველა ის ფეხბურთელი მიმყავს უდინეში, რომლებსაც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ვეყრდნობოდი*".

"გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ალეგრი ტრადიციულ 4-3-1-2 ტაქტიკას გამოიყენებს და შეტევის წინა ხაზზე **იბრაჰიმოვიჩი-პატოს** ტანდემს გაამწესებს. მათ უკან **რობინიო** გაირჯება, რომელიც გამთამაშებლის ფუნქციას შეასრულებს, კიდევ უფრო უკან კი **ჯენარო გატუზო, მასიმო ამბროზინი** და **ანდრეა პირლო** იმოქმედებენ. ეს უკანასკნელი ცალკე სალაპარაკო თემაა – პირლო ათწლიან მილანურ კარიერას სწორედ ფრიულიზე ამთავრებს და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, მომდევნო სეზონიდან "იუვენტუსის" ღირსებას დაიცავს. "როსონერის" გულშემატკივრებისთვის პირლოსთან განშორება იოლი არ არის, თუმცა ასე გადაწყვიტა ალეგრიმ და მის აზრს დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს – მასიმილიანო სწრაფ ტემპზე აკეთებს აქცენტს და როგორც ჩანს, ანდრეაზე მეტად მას **კევინ პრინც ბოატენგი, მარკ ვან ბომელი**, ან ვთქვათ **მატიო ფლამინი** სჭირდება.

ფრანჩესკო გვიდოლინი ახალი ველოსიპედის გამოგონებას არ აპირებს, გუნდს 3-5-2 ტაქტიკით განალაგებს და იმ ფეხბურთელებს დაეყრდნობა, რომლებსაც მთელი სეზონის განმავლობაში ენდობოდა. თავდასხმაში **ანტონიო დი ნატალესა** და **ალექსის სანჩესს** ვიხილავთ, მათ უკან კი ტრადიციულ ხუთეულს: **ისლა, ინლერი, პინცი, ასამოა, არმერო**. გვიდოლინის მატჩისწინა კომენტარი საკმაოდ ვრცელია:

"*ფეხბურთელები დიდი წნეხის ქვეშ არიან და ყველანაირად ვცდილობ, ისინი ამისგან დავიხსნა. ცივი გონებით, მშვიდად უნდა ვითამაშოთ ჩვენი ფეხბურთი და ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად გავიმარჯვებთ. ფრეზე ნამდვილად არ ვფიქრობ, ჩვენი მიზანი სამი ქულის მოპოვებაა და სწორედ ამ მიზნით გავალთ მოედანზე. მეტოქე უმოტივაციოდ იქნება? – საატურნირო თვალსაზრისით ეს მართლაც ასეა, მაგრამ „როსონერიში" პროფესიონალი ფეხბურთელები ასპარეზობენ და დარწმუნებული ვარ, თავის დაზოგვას არ აპირებენ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ლიგის საგზური უკვე ჯიბეში გვიდევს, ძალიან ცდება – ასეთი მიდგომით ხელმოცარული დავრჩებით*".

საბრძოლო განწყობაზეა **ალექსის სანჩესი** და აცხადებს, რომ ეს თამაში მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საფეხბურთო კარიერაში: "*წინ დიდი ბრძოლა გველის, რომელიც ჩვენი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ. ძნელია, როდესაც მეტოქე გუნდში თერთმეტ ვარსკვლავს ხედავ, მაგრამ ცივი გონებით უნდა მივუდგეთ მატჩს და ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ. არ ვიცი, რა პოზიციაზე გამამწესებს მწვრთნელი, მაგრამ სადაც არ უნდა დავდგე, ყველაფერს დავდებ გულშემატკივართა გასახარებლად*".

იმ იმედით, რომ "მილანი" უდინეში გაიმარჯვებს, "ლაციო" "ლეჩეს" სამი ქულის მოსაპოვებლად ესტუმრება. "ჯალოროსიმ" წინა ტურში დაიბევა ადგილი სერია A-ში და ამის აღსანიშნავად ქალაქში დიდი ზეიმიც გაიმართა. საზეიმო ატმოსფერო იქნება სტადიონზეც და როგორც "ლეჩეს" მთავარი მწვრთნელი, **ლუიჯი დე კანიო** გვპირდება, განწყობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას გამარჯვებით აპირებენ: "*მესმის, რომ სამი ქულა "ლაციოს" უფრო სჭირდება, მაგრამ ჩვენი გულშემატკივრებისთვის ეს მეათეხარისხოვანია – ისინი გამარჯვებას ითხოვენ ჩვენგან და მათი განბილების უფლება არ გვაქვს. აუცილებელ მოგებაზე თავს ვერავინ დადებს, მაგრამ ბრძოლას რომ არ დავაკლებთ, ეს ფაქტია*".

რომაელთა მთავარი მწვრთნელი, **ედუარდო რეია** შეგირდებს ამხნევებს, "მილანის" ფეხბურთელებს კი სინდისზე აგდებს: "*ჩვენი თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რომ შემდეგ სანანებლად არ გაგვიხდეს საქმე. თანაც, მჯერა, რომ "მილანი" უდინეში მოიგებს და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ჩვენი გუნდი მოიპოვებს. საიდან ასეთი ოპტიმიზმი? – "როსონერიში" ნამდვილი პროფესიონალები ასპარეზობენ, მათ კარგად იციან ფეარპლეის პრინციპების შესახებ და ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ მოედანზე წასაგებად არ გავლენ. მე მჯერა "მილანის" და მჯერა ჩემი შეგირდების*".

საინტერესო მატჩი გაიმართება ტურინში, სადაც "იუვენტუსი" "ნაპოლის" უმასპინძლებს. თუ ტურინელებმა მოიგეს ეს თამაში, "რომამ" კი სახლში წააგო "სამპდორიასთან", ჯერ კიდევ **ლუიჯი დელ ნერის** გუნდი ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს. თუმცა, ძნელად წარმოსადგენია, რომ დედაქალაქელებმა "სტადიო ოლიპიკოზე" სამივე ქულა დაუთმონ სერია B-ში გავარდნილ მეტოქეს – აქედან გამომდინარე, ფავოროტად სწორედ **ვინჩენცო მონტელას** "ჯალოროსი" უნდა მივიჩნიოთ.

ლაშა წიკლაური

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მილანი	37	24	9	4	65-24	81
2. ინტერი	37	22	7	8	66-41	73
3. ნაპოლი	37	21	6	10	57-37	69
4. უდინეზე	37	20	5	12	65-43	65
5. ლაციო	37	19	6	12	51-37	63
6. რომა	37	17	9	11	56-51	60
7. იუვენტუსი	37	15	12	10	55-45	57
8. პალერმო	37	17	5	15	57-60	56
9. ფიორენტინა	37	12	14	11	47-42	50
10. ჯენოა	37	13	9	15	42-45	48
11. კატანია	37	12	10	15	39-49	46
12. პარმა	37	11	12	14	38-46	45
13. კალიარი	37	12	8	17	43-50	44
14. ჩეზენა	37	11	10	16	36-47	43
15. კიევო	37	10	13	14	35-39	43
16. ბოლონია	37	11	12	14	35-48	42
17. ლეჩე	37	11	8	18	44-62	41
18. სამპდორია	37	8	12	17	32-46	36
19. ბრეშა	37	7	10	20	32-50	31
20. ბარი	37	4	9	24	23-56	21

ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა

ბომბარდირები: 28 – დი ნატალე (უდინეზე); 26 - კავანი (ნაპოლი); 20 - ეტოო (ინტერი); 19 - დი ვაიო (ბოლონია), მატრი (იუვენტუსი); 16 - რობინიო (მილანი); 15 - პაცინი (ინტერი).



პირლო მილანს ემშვიდობება

ამბები

ერთვნული ბიბლიოთეკა ბევრი მიდის!

კარლოს ტევესმა „მანჩესტერ სიტის" განუცხადა, რომ წასვლას აპირებს. ისტლენდელების 27 წლის კაპიტანმა არგენტინულ რადიო „დელ პლატასთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა:

„მე „მანჩესტერ სიტიდან" წასვლა მინდა. ფეხბურთმა ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. დღეს ვერც კი გეტყვით, კიდევ ვითამაშებ თუ არა მსოფლიოს შემდეგ ჩემპიონატამდე, ამიტომ, ვხვდები არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში თუ ვერა, არაფერ შუაშია. მე კლუბისთვისაც ძალიან ბევრი გავიღე. „მანჩესტერ სიტის" დღევანდელი შედეგები ჩემი დამსახურებაც არის, მაგრამ გარემოს შეცვლა მჭირდება".

არადა, „სიტის თავკაცი" იმედოვნებდა, რომ ტევესი გუნდს მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაშიც გაუძღვებოდა. როგორც ჩანს, მწვრთნელს იმედი გაუცრუვდება. ამბობენ, რომ ტევესს, მომავალ სეზონში, ყველაზე მეტად ესპანეთში უნდა ველოდოთ. ერთადერთი, რამაც მის ტრანსფერს შეიძლება ხელი შეუშალოს, დიდი ხელფასია. არგენტინელი, ისტლენდზე, კვირაში 200 ათასს იღებს და, ბუნებრივია, ახალი კლუბისგანაც ასეთ გასამრჯელოს მოითხოვს.

ტევესმა განაგრძო: „ყველაზე კარგი „ბოკა ხუნიორსში" დაბრუნება იქნებოდა, მაგრამ ეს ძალიან რთულია. მე მათ ნახევარმცველ რომან რიკელმეს ველაპარაკე და იქ ორივემ ვახსენეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ სერიოზულად ამ საკითხს ჯერ ვერ განვიხილავთ, რადგან დიდი წინააღმდეგობა არსებობს და ეს ფინანსური საკითხია".

დენილსონი გარბის

„არსენალის" 23 წლის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, **დენილსონმა** *თქვა, რომ გუნდიდან წასვლა უნდა. კვირას, „არსენალს" „ფულჰემთან" აქვს სეზონის ბოლო თამაში, რომლის დამთავრების შემდეგაც დენილსონი სამშობლოში მიფრინავს. მან თქვა, რომ „მეთოფეთა" წარუმატებლობების გაძლება აღარ შეუძლია.*

„გასული სეზონი ჩემს კარიერაში უარესი იყო. მეტის გაძლება აღარ შემიძლია. მე ამბიციური კაცი ვარ, ლონდონში ტიტულების მოსაგებად ჩამოვედი, აქ კი უკვე ხუთი წელიწადია ვარ და ერთი ჯილდოც კი არ მომიპოვებია. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, ამიტომ, დროა თავს ვუშველო. გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ ეს გადაწყვეტილება უცბად, ცხელ გულზე მივიღე. ამ ნაბიჯზე დიდხანს ვფიქრობდი და დარჩენას წასვლა რვა თვის წინ ვამჯობინე. მომბეზრდა სტადიონიდან შინ უგუნებოდ დაბრუნება. თუმცა, დღემდე არაფერს ვამბობდი, რადგან არ მინდოდა ჩემი განცხადებით გუნდზე თუნდაც ოდნავი უარყოფითი ზეგავლენა მომეხდინა. არსენ ვენგერს კი შევხვდი და და ველაპარაკე. ის ჩემს გაშვებას დაყაბულდა.

ვიცი, ბევრი იფიქრებს, რომ გავგიჟდი. „არსენალი" ხომ დიდი კლუბია, დიდებული ორგანიზაციით, გამორჩეული მწვრთნელითა და ფეხბურთელებით. დიახ, „არსენალში" თავს კარგადაც ვგრძნობდი, მაგრამ ცხოვრება თავის პირობებს აყენებს. ვიცი, ჩემი ნაბიჯი დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ რაც არის, არის. ამ ნაბიჯს ვდგამ.

სად გადავალ? დაბეჯითებით გეტყვით, რომ „ჩელსიში" არ დავბრუნდები, „მანჩესტერ სიტიში" არ გადავალ და „არსენალის" მთავარ მოქიშპე „ტოტენჰემს" არავითარ შემთხვევაში არ შევეკვრები. იქნებ, ესპანეთში ან იტალიაში წავიდე".

ილია ბაბუნაშვილი

ლიგა 1. XXXVII ტურის წინ

ლილის გულშემატკივართა მოლოდინი შეიძლება დღესვე დასრულდეს

პარკ დე პრენსზე შამპანურებით

დღეს	
ოსერი-ბრესტი	23:00
ანსი-არლი	23:00
ლიონი-კაენი	23:00
მარსელი-ვალანსიენი	23:00
მონპელიე-მონაკო	23:00
ნიცა-ლორიანი	23:00
პსჟ-ლილი	23:00
რენი-ნანსი	23:00
სოშო-სტ. ეტიენი	23:00
ტულუზი-ბორდო	23:00

"პარისენ-ჟერმენი" და "ლილი" დედაქალაქში ერთ კვირაში მეორედ შეხვდებიან. სტუმარს სულ რაღაც ქულა სჭირდება, რათა ნახევარსაუკუნოვანზე ძველი ოცნება რეალობად აქციოს. პირველი დაპირისპირება "სტად დე ფრანსზე" შედგა და მისი შედეგი თქვენთვის ცნობილია: "ლილმა" 1:0 მოიგო. მეორე "წარმოდგენა" "პარკ დე პრენსზე" იქნება და ვნახოთ, მოახერხებს თუ არა შინ უძლეველი პსჟ სტუმართა გაწბილებას. "ძაღლებმა" "ოქროს დუბლამდე" დიდი ნაბიჯი ოთხშაბათსაც გადადგეს, როცა შინ კერკეტი კაკალი "სოშო" 1:0 დაამარცხეს. *"ყველაფერი უკვე კარგად გამოიყურება. მართალია, ჯერ მათემატიკურად "მარსელის" ჩემპიონობის შანსი კიდევ არსებობს, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ჩვენ ზეა დამოკიდებული და პრინციპში სხვები როგორ ითამაშებენ, ეს არც გვაინტერესებს. იმედი მაქვს, რომ უკვე შაბათს შეგვეძლება შამპანურების გახსნა,"* – განაცხადა **რუდი გარსიამ**.

არადა, თუკი ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ "პარკ დე პრენსი" საკმაოდ მოუხელთებელი არენაა "ძაღლებისთვის". 32 სტუმრობიდან სამი ქულით ხელდამშვენებულნი ისინი სულ ხუთჯერ დაბრუნდნენ და ბოლოს ასეთი ბედნიერება 1996 წელს ხვდათ წილად. ეს ყველაფერი მით უფრო დასაფასებელია, რომ "ლილს" უკვე რა ხანია, ცუდ ფორმაში ჰყავს საუკეთესო ბომბარდირი **მუსა სოვი**. სენეგალელმა იმდენი მოახერხა, რომ მას "ლორიანის" მეგოლე **კევინ გამეირო** დაეწია, არადა, რამდენიმე ტურის წინ ფრანგი კონკურენტს 5 ბურთით ჩამორჩებოდა. გასაგებია, რომ აფრიკელს ტრავმა ჰქონდა და დრო გაუცდა, თუმცა ის თავის გამოჩენას გამოჯანმრთელების შემდეგაც ვერ ახერხებს. საუკეთესო თავდამსხმელის პასიურობა სტუმართა გუნდს არ ეტყობა, ამას ისიც მოწმობს, რომ აგერ ზედიზედ 4 თამაში მოიგო. "ლილი" ლიგა 1-ში ყველაზე ძლიერია გასვლაზე აღებული ქულებით, პსჟ კი ერთ-ერთი საუკეთესოა შინ დაგროვილით.

მომავალი ჩემპიონების მიზნები გასაგებია. რაც შეეხება მასპინძელთა კოლექტივს: **ანტუან კომბუარეს** გუნდს უფლება არ აქვს, ეს დაპირისპირება არ მოიგოს... დავალება არცთუ იოლია, მაგრამ სასწორზე ჩემპიონთა ლიგაში გასვლის უფლება დევს. მათ ეს შანსი ერთხელ უკვე გაუშვეს ხელიდან, როცა გაჭირვებულ "ბორდოსთან" დამარცხდნენ. სწორედ ამას ჩიოდა კომბუარე, როცა აღნიშნა, "ბორდოს" რომ საკუთარი ძალების რწმენა აღედგინა, ამისთვის ყველაფერი გავაკეთეთო. *"რა თქმა უნდა, გაბრაზებული ვართ, რადგან ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მიდის. გასათვალისწინებელი იყო დაღლილობა, მაგრამ... ახლა მეორე უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ,"* – თქვა მან.

პსჟ-ს კაპიტანი და ლიდერი **კლოდ მაკელელე** არ ეყოლება. ვეტერანი ფრანგი გუნდს დარჩენილ მატჩებში დააკლდება. სავარაუდოა, რომ ის ფეხბურთიდან წასვლის განცხადებას სეზონის დასრულებისთანავე გააკეთებს.

"ლიონი" სეზონის ბოლოს საშინელ თამაშს აჩვენებს - ჯერ "ოსერთან" განადგურდა, შემდეგ მაჩანჩალა "ბრესტთან" დასჯერდა ფრეს. ამის გამო ისევე როგორც "მარსელმა" გაუშვა ხელიდან ჩემპიონობის შანსი, "ლიონმა" მე-2 ადგილის დაკავებისა და ლიგაში პირდაპირ მოხვედრის პატივი დათმო. თუმცა **კლოდ პიუელის** გუნდი მაინც უფრო ახლოს დგას ჩემპიონთა ლიგასთან, ვიდრე მისი უშუალო კონკურენტი პსჟ. ორქულიანი უპირატესობის გარდა მას ბურთების სხვაობაც უკეთესი აქვს. "ლიონი" ლიგის ზედიზედ 12 გათამაშების მონაწილეა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია ამ ტურნირის ისტორიაში. *"პსჟ-ს "ბორდოში" დამარცხება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო,* - თქვა საფრანგეთის ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა **ჟერემი ტულალანმა**. – *ჩვენ შარშანაც ანალოგიურ დაძაბულ ვითარებაში დავიმსახურეთ ჩემპიონთა ლიგის საგზური. კარგია, რომ უკვე ამ ტურში შეგვიძლია სანუკვარი მიზნის მიღწევა და საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლის გარანტიის მიღება".* პიუელის გუნდს თავდაჯერებას ის მატებს, რომ ძირითადში ბრუნდება საუკეთესო ბომბარდირი **ლისანდრო ლოპესი**. გახსოვთ, იყო ლაპარაკი, რომ არგენტინელისთვის სეზონი დასრულებული იყო, მაგრამ მოულოდნელად ის უკვე მწყობრშია. თუმცა ჯერ კიდევ ლაზარეთში არიან **ბაფეტიმბი გომისი** და **იოან გურკუფი**. არ იქნება ასევე სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული ხორვატი **დეიან ლოვრენი**.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლილი	36	20	12	4	63:32	72
2. მარსელი	36	18	12	6	58:35	66
3. ლიონი	36	16	12	8	59:40	60
4. პსჟ	36	15	13	8	53:38	58
5. რენი	36	15	11	10	36:30	56
6. სოშო	36	15	7	14	55:41	52
7. ლორიანი	36	12	13	11	45:44	49
8. ბორდო	36	11	15	10	41:40	48
9. სტ ეტიენი	36	12	12	12	44:44	48
10. მონპელიე	36	12	11	13	32:40	47
11. ოსერი	36	9	19	8	43:39	46
12. ვალანსიენი	36	9	17	10	41:38	44
13. ტულუზი	36	12	8	16	34:36	44
14. კაენი	36	11	11	14	44:49	44
15. ბრესტი	36	10	13	13	35:41	43
16. ნიცა	36	10	13	13	30:46	43
17. ნანსი	36	11	9	16	37:48	42
18. მონაკო	36	8	17	11	35:38	41
19. ლანსი	36	7	14	15	35:53	35
20. არლი	36	2	11	23	19:67	17

აიაქსი

ოცდამეათე

სტატია, რომელსაც ქვემოთ ნაიკითხავთ, "აიაქსის" ერთ-ერთი ფანკლუბის საიტზე გამოქვეყნდა. ავტორის წერის სტილი საკმაოდ საინტერესოდ მოგვეჩვენა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ის ჩვენს მკითხველსაც გავაცნოთ.

საჩემპიონო მატჩზე მსჯელობა უპრიანი იქნება ჯგუფ "ქვინის" უკვდავი ჰიტით დაგვენყო: "ჩვენ ჩემპიონები ვართ, წაგებულების დრო არ არის, იმიტომ, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ". შეიძლებოდა, მთელი ტექსტი მოგვეყვანა, მაგრამ ჩვენ ხომ ლირიკის საიტი არ გვაქვს. ასე რომ, მოდით, ერთად ვიმღეროთ ეს სტრიქონები. კიდევ არ მჯერა, რომ ჩვენ ჩემპიონატის უძლიერესი გუნდი გვყავს. შარშანდელმა ზედიზედ 14-მა გამარჯვებამ ტიტული ვერ მოგვიტანა, წლევანდელმა 6-მა და გარემოებათა დამთხვევამ – კი. და აი ისიც, ნაოცნებარი ოცდამეათე!

ძალიან დიდი ხანი გრძელდებოდა ეს 7 წელიწადი. სულ მინდოდა დამეწერა უბრალო და ასე სანატრელი სიტყვები: "აიაქსი" ჩემპიონია. თუნდაც არა მთელი მსოფლიოსი, მაგრამ ჰოლანდიის მაინც. ჩვენ, აიაქსიდებს ამ ეტაპზე მეტი არც გვინდა. მესამე საჩემპიონო ვარსკვლავის ჯადო მოხსნილია. ვუდუს შამანებმა უკან დაიხიეს და ახლა შეუძლიათ მშვიდად გაემგზავრონ სახლებში. შეგრძნება, რომ კისერზე დამოკლეს მახვილი გვაქვს დამიზნებული, მოხსნილია. ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სერია ჩემპიონის ტიტულის გარეშე, რამაც ფანებს აჩუქა ჭაღარა თმები, ვისკი, დაჭმული ფრჩხილები, აღუდგენელი ნერვული უჯრედები, იმედგაცრუება, წყენა, გაბოროტება და სიცარიელის შეგრძნება, ოფიციალურად შეწყვეტილია. ნუ დაიანებებთ, გადაიხადეთ 2,5 ევრო და "აიაქსის" საფირმო მაღაზიებში თქვენს მაისურებს მესამე ვარსკვლავს მიამაგრებენ.

საშინაო მატჩი აწ უკვე ყოფილი ჩემპიონის წინააღმდეგ 2010-11 წლების სეზონის ნამდვილი მშვენება გახდა. "აიაქსმა" არათუ რევანში აიღო თასის ფინალში ერთი კვირის წინანდელი მარცხისთვის, არამედ არც ერთი ის შეცდომა არ დაუშვია, რამაც გუნდს პრესტიჟული ტიტული დააკარგვინა. სეზონის შედეგებს, ჩვენ, ნამდვილი სუპერაიაქსიდები მოგვიანებით შევაჯამებთ. გავიხსენებთ **მარტინ იოლსაც** კი და შევაფასებთ ყველა იმ ადამიანს, ვინც გუნდის თამაშს აკეთებდა მთელი სეზონის განმავლობაში.

დავუბრუნდეთ მატჩს, სადაც დიდ ქვაბში იხარშებოდა სასალათე და კერძს პასუხი უნდა გაეცა უმნიშვნელოვანეს კითხვაზე: დაიმსახურებდა თუ არა ყოფილი აიაქსიდი, ახლა უკვე იმედის მომცემი მწვრთნელი, პატივს, ჩაეცვა შეფმზარეულის კოსტიუმი თუ ხელფასს ისე მიიღებდა, როგორც ვალდებულების ვერშემსრულებელი. მთავარ ინგრედიენტს კი მწვანე უნდა აენთო ძვირადღირებული ალაფურშეტისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და ძალზე ამბიციური საფუძველი - **იოჰან კრუიფი**. ის ხომ მომავალში "აიაქსის" უმთავრესი მსახური უნდა იყოს. მეორეხარისხოვანი ფეხბურთელების გამოწვრთნა, მათი გუნდის სამსახურში ჩაყენება და უკვე პენსიაზე გასაშვები მოთამაშეების ჩანაცვლება – ამ ყოველივეს საოცარი თვალი და ალღო სჭირდება. კიდევ ერთი არასათანადო ნაბიჯი, რასაც გუნდი კიდევ ერთხელ შეეძლო დაეტოვებინა ჩემპიონის ტიტულის გარეშე და მთელი ის ინგრედიენტები, რაც ჩამოვთვალეთ, არნახული ზეწოლის ქვეშ მოექცეოდა. პირველი კი უეჭველად კრუიფი იქნებოდა და დაინყებოდა ჩურჩული, რომ "მეფე ნამდვილი არ არის".

პატივი მივაგოთ **ფრანკ დე ბურს**, მან ხელები დაიკაპიწა, გამოცდამდე ცივი გონებით მივიდა და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მას ამაში "ამსტერდამ არენაც" დაეხმარა. შეუძლებელია გადაფასო ტრიბუნებზე შეკრებილი ხალხის როლი, ვინც ზეპრინციპული დაპირისპირებისას გუნდს გვერდით დაუდგა. ფრანკი წარბშეუხრელად გაუმკლავდა ამოცანას – ჯერ კიდევ ორთქლამდინარი ღვეზელი სუფრაზე სასალათით მიიტანა. ყოველი მსურველი, ვინც ღვეზელის გემოს გასინჯავს, იქ რაღაცას მაინც იპოვის თავისას.

რა ფრე? მხოლოდ მოგება. მატჩის მოვლენები? ღირს კი ისინი აღწერად? შეუძლებელია ამას უბრალოდ ფეხბურთი უწოდო მათთვის, ვინც მას უყურა, კითხულობდა და უსმენდა მაისურს ქვეშ თეთრ-წითელი გულით. ნერვების ნამდვილი გამოცდა. აფეთქება 1:0-ის, 2:0-ის შემდეგ. სიმების დაჭიმვა მეტოქის საპასუხო გოლის შემდეგ. ჩვენმა მესამე გოლმა მოიტანა ასე ხანგრძლივად ნანატრი (ბოდიში) ორგაზმი. უბრალოდ გმირის **სიმ დე იონგის** დუბლის შემდეგ მე აღარ მჯეროდა, რომ ჩვენ ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. ნახეთ, სიმმა როგორ გაიტანა? ვიცი, რომ ნახეთ. პირველი კიდევ ჰო, მაგრამ როგორ ცივსისხლიანად გაიტანა თავისი მეორე? პასიც ნახეთ? სილამაზე იყო, არა? როგორი პასი მისცა მას ჩვენმა ახალმა ლაუდრუპმა!

განსაკუთრებული მადლობა მთელ გუნდს - წითელ-თეთრ პერსონებს ერთად და ცალ-ცალკე. **ანიტა-დე ზეუვერიკსენი** – ფანტასტიკა! იან (**ფერტონგენი**), ტობი (**ალდეევეირელდი**), მადლობა, როგორც ნაღდი კაცები ისე თამაშობდით! **ვერმეერი** – ხედავდით, როგორ თამაშობდა შავი კატა გამოსვლებზე? **ვან დერ ვილი** – თასის ფინალის შემდეგ გამოსწორდა, ორი გოლი შექმნა. აპლოდისმენტები მას! ახლა მას უკვე შეუძლია წავიდეს.

ებისილიო, მატჩის ყველაზე სუსტი მონაწილე. **ბოილესენი** მის ფონზე უკეთესი იყო. **ენო, ოოიერი, ბლინდი, ოლეგერი, ოზბილიზი, ცვიტანოვიჩი, ბიზოტი, ლოდეირო**, სტეკი (**სტეკელენბურგი**), **ლინდგრენი, ვერჰოვენი** – გილოცავთ გამარჯვებას!

ამსტერდამი 30!!!

30-ე საჩემპიონო ტიტულის აღსანიშნავად აიაქსის მაისურაზე უკვე გაჩნდა მესამე ვარსკვლავი

ევრო 2016

საფრანგეთმა გააარკვია

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ დაასახელა ის ქალაქები და სტადიონები, რომლებიც ევრო 2016-ს უმასპინძლებენ. ძირითადი კანდიდატები ისედაც ცნობილი იყო. ასარჩევად დარჩენილი იყო სენტ ეტიენის "ჟოფრუა გიშარი" და ლანსის "ფელიქს ბოლარი". ფედერაციამ უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა. ასე რომ, ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია მასპინძელი არენების სრულად ჩამოთვლა:

1. "სტად დე ფრანსი" (სენ დენი) – 80 000; 2. "პარკ დე პრენსი" (პარიზი) - 48 712; 3. "მეტროპოლი" (ლილი) - 17 754; 4. "აბე დეშამი" (ბორდო) – 24 993; 5. "სტად დე რუი" (ნიცა) - 18 696; 6. "ველოდრომი" (მარსელი) – 60 000; 7. "ფელიქს ბოლარი" (ლანსი) – 41 233; 8. "მარსელ პიკო" (ნანსი) - 20 087.

დასახელებულია ასევე სათადარიგო სტადიონების სახელებიც: 1. "მუნიციპალი" (ტულუზი) – 35 000; 2. "ჟოფრუა გიშარი" (სტ. ეტიენი) – 35 600.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. ბოლო ტურის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანური რულეტკა: ექვსიდან ერთი ჭყვია ნაღდია

მესი მორჩა, დარჩა კრიშტიანოს ბურთი და მოედანი

ძველი და ახალი რეკორდსმენები: უგო სანჩესი და კრიშტიანო რონალდო ოქროს ბუცებით იწონებენ თავს

ჩემპიონატში უკვე ბევრი რამ გარკვეულია, მათ შორის მთავარი - ჩემპიონის ვინაობა: ლა ლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ბარსელონამ“ გაინაღდა 21-ე ტიტული. განაწილებულია პირველი ოთხეულიც და ცნობილია ევროთასების საგზურის 7-ვე მფლობელი (4 ჩემპიონთა ლიგაზე, 3 ევროპის ლიგაზე), ვიცით იმ ორი გუნდის ვინაობაც, რომლებიც სეგუნდადივიზიონში დაქვეითდებიან. „პიჩიჩის“ ტიტულს ვეღარავინ შეეცილება **კრიშტიანო რონალდოს**, რომელიც უკვე 7 გოლით უსწრებს უშუალო კონკურენტ **ლიონელ მესის**, რომელიც ამ სეზონში აღარ ითამაშებს. მაშ, რაღა დარჩა გასარკვევი?

მცირე ინტრიგები ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და მათ სამ კატეგორიად ვყოფთ: 1. რომელი გუნდი გაიზიარებს „ალმერიას“ და „ერკულესის“ ბედს და პრიმერას დაემშვიდობება. „კანდიდატი“ ექვსია, „საგზური“ - ერთი. 2. როგორ გადაინაწილებენ ევროპის ლიგაზე გასული „ატლეტიკო“, „სევილია“ და „ბილბაო“ მე-5 - მე-7 ადგილებს. ამას აქვს გარკვეული მცირე მნიშვნელობა. 3. შეძლებს თუ არა კრიშტიანო რონალდო ლა ლიგის ახალი რეკორდის დამყარებას. პორტუგალიელმა ძველი გაიმეორა და პირველივე გოლი „ალმერიას“ კარში ისტორიული იქნება.

ჩემპიონი ლა ლიგას (და არა სეზონს, „ბარსელონას“ ერთი და უმთავრესი მატჩი რჩება გასამართავი - ჩემპიონთა ლიგის ფინალი „უემბლიზე“ ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ) ანდალუსიაში დაასრულებს. სულაც, რომ წააგოს, მაქსიმუმ, რაც შეიძლება მოხდეს ისაა, რომ „რეალი“ სეზონს 1 ქულით ნაკლებით დაასრულებს. და რატომ უნდა წააგოს „ბარსელონამ“, რომელსაც აქამდე მხოლოდ 2 მარცხი აქვს? თანაც მისმა მეტოქე „მალაგამ“ უკვე დაიგულა თავი სამშვიდობოს 46 ქულით ცხრილის შუაშია.

„ბარსამ“ მატჩისთვის ვარჯიში ოთხშაბათიდან დაიწყო, მას მერე, რაც **პეპ გვარდიოლამ** სამი დღე დაასვენა გუნდი. სამივე ტრავმირებული: **გაბი მილიტო**, **კარლეს პუიოლი** და **ადრიანო** ბაზაზე გამოჩდნენ. მილიტომ გუნდთან ერთადაც წაივარჯიშა, კაპიტანი მხოლოდ სპეციალურ ვარჯიშებს ატარებდა, ბრაზილიელ მცველს კი ექიმებმა მწვანე აუნთეს - ის ჯანმრთელია და შეუძლია თამაში.

მეორე დღეს პეპმა გადაწყვიტა ლიგის ფინალის გამო 8 ფეხბურთელი დაასვენოს, კატალონიაში რჩებიან: **ვალდესი**, მესი, **ჩავი**, **ინიესტა**, **ვილია**, პუიოლი, **პიკე** და მილიტო. ამათგან მილიტო და პუიოლი ისედაც ვერ შეძლებდნენ თამაშს. პეპმა სამაგიეროდ უხმო სარეზერვო გუნდის ბიჭებს: **ბარტრას**, **დოს სანტოსს**, **ალკანტარას**, **სერხი რობერტოს** და მეკარე **ოიერს**. **დანი ალვეშმა** და ადრიანომ ვარჯიშზე შეიტყვეს, რომ ბრაზილიის ნაკრებში არიან გამოძახებულნი ჰოლანდიასთან და რუმინეთთან ამხანაგური მატჩებისთვის (4 და 7 ივნისს).

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე გვარდიოლამ აღიარა, რომ შაბათის მატჩზე მეტად მომავალ ფინალზე ფიქრობს: *„რა თქმა უნდა, მომავალი მატჩისთვის ჩვეულად ვემზადებით, მაგრამ მცირე დეტალებშიც კი ჩანს, რომ ყოველი ჩვენგანი ლონდონზე ფიქრობს. ამიტომაც გადავწყვიტე „მალაგასთან“ ახალგაზრდები ვათამაშო, მათ მეტი მოტივაცია აქვთ და ერთი სული აქვთ დამიმტკიცონ, რომ პირველ გუნდში თამაშს იმსახურებენ. სხვები კი აქ უჩვენოდ ივარჯიშებენ შაბათს და კვირას დაისვენებენ“.*

საუკეთესო შემადგენლობით არც „მალაგა“ გამოვა. წინა ტურში გაძევებულ არგენტინელ **მარტინ დემიკელისს** დისკვალიფიკაცია აქვს, ხოლო დიდებულ ფორმაში მყოფ **ჟულიო ბაპტიშტას** ტრავმა აწუხებს. **მანუელ პელეგრინის** მათ გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ტრავმირებულია კიდევ ერთი ფორვარდი - **რონდონი**.

მადრიდის „რეალი“ შინ უკვე გავარდნილ „ალმერიას“ მასპინძლობს და, არა გვგონია, მიზნის მიღწევა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ **ჟოზე მოურინიოს** ფეხბურთელების დასვენება, წესით, აღარაფერში ესაჭიროება. ამ შეხვედრით „რეალისთვის“ საფეხბურთო სეზონი სრულდება.

ამ შეხვედრაში „სამეფო კლუბი“ ერთიანი ძალებით შეეცდება რონალდოს ლა ლიგის რეკორდი დაამყარებინოს. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელმა რეკორდი, რომელიც ლეგენდარულ ბასკ ფორვარდ **ტელმო ზარას** და მექსიკელ **უგო სანჩესს** ეკუთვნოდა უკვე გაიმეორა (38 გოლი ჩემპიონატში), მაგრამ მადეირელს რეზერვში 90 წუთი აქვს „ალმერიასთან“. ზარა უკვე გარდაცვლილია და გუშინ „სანტიაგო ბერნაბეუს“ უგო სანჩესი ეწვია და რონალდოს შეხვდა. უგო სანჩესმა აღნიშნა, რომ გახარებულია რონალდოს მიღწევით და სჯერა, რომ მასთან ერთად „რეალი“ კიდევ ბევრ ტიტულს მოიპოვებს და ესპანეთის თასი მხოლოდ დასაწყისია. სანჩესი ამტკიცებს, რომ გაუხარდება კიდეც, თუკი რონალდო მის რეკორდს დაამხობს: *„შაბათს მე მათ შორის ვიქნები, ვინც რონალდოს გოლს იზეიმებს. ეს იქნება ბრწყინვალე მომენტი კლუბის ისტორიაში. აი, სხვას რომ დაემხო ჩემი რეკორდი, ვთქვათ, მესის, ნამდვილად მეწყინებოდა“.*

ჟოზე მოურინიომ გუნდის ვარჯიში რომ განაახლა, იქ გერმანელი **სამი ხედირა** გამოჩნდა, თუმცა ნახევარმცველმა მხოლოდ ინდივიდუალურად ივარჯიშა. რა თქმა უნდა, მისი თამაში „ალმერიასთან“ გამორიცხულია. ჟოზემ სარეზერვო გუნდიდან ვარჯიშზე **ხესუსი**, **ხოსელუ** და **მანდი** იხმო. საინტერესოა, რომ გუნდის ვარჯიშს **ზინედინ ზიდანი** დაესწრო და მოურინიოს დიდხანს ესაუბრა.

გუშინ პორტუგალიელი თავკაცი იმ 18 ფეხბურთელზე შეჯერდა, რომელთაც აუტსაიდერთან მატჩში დაეყრდნობა. სიაში მოხვდნენ: **კანალესი**, **პედრო ლეონი** და ზემონახსენები ახალგაზრდები. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **ლასანა დიარა** და **გაგო**. მოურინიო ბოლო ტურში ასვენებს: **კასილიასს**, **ადანს**, **მარსელოს**, **იგუაინს**, **დი მარიას** და **გარაის**. „ალმერიას“ არ ეყოლება ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **მიჩელი**, რომელმაც ისეთი ტრავმა მიიღო, რომ ერთ თვეს ვეღარ ივარჯიშებს. ტრავმირებულია **მოდესტე მბამიც**.

ახლა ტურის მთავარ ინტრიგას დავუბრუნდეთ: პრიმერადან გავარდნა კიდევ 6 გუნდს ემუქრება. ესენია: „სარაგოსა“ (42 ქულა), „დეპორტივო“ და „ხეტაფე“ (43-43), „ოსასუნა“, „რეალ სოსიედადი“ და „მალიორკა“ (44-44).

ხავიერ აგირეს გუნდს ამათში ყველაზე ცოტა ქულა აქვს, არაგონელები ვალენსიას სტუმრობენ, სადაც მათი მასპინძელი „ლევანტეა“. აი, ასეთ გასაჭირში ჩაიგდო თავი „სარაგოსამ“. წაგების შემთხვევაში აგირეს გუნდი ვარდება, თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის ვარაუდი, რომ „სარაგოსას“ ფრეც არ უშველის, მაგრამ მაინც ყველაფერი არაგონელთა ხელშია, მათ შეუძლიათ სხვა თამაშებზე არ იფიქრონ - მოგების შემთხვევაში „სარაგოსა“ 100%-ით რჩება პრიმერაში. „ლევანტეს“ უკვე თავი ქუდში აქვს 45 ქულის მიუხედავად და, თუ „სარაგოსა“ მოუგებს ეწევა. ბოლო ტურში ერთი თამაშია, სადაც გავარდნის ორი კანდიდატი ეთამაშება ერთმანეთს და „ლევანტემ“ რომც წაგოს. ან „ხეტაფეს“ გაუსწრებს ან მის მასპინძელ „რეალ სოსიედადს“. სწორედ ამ მიზეზის გამო ჰყოფნის მოგება „სარაგოსასაც“. გავარდნის სამი სხვა კანდიდატი („დეპორტივო“, „ოსასუნა“ და „მალიორკა“) თითქმის უმოტივაციო გუნდებს ეთამაშებიან. მოკლედ, მთავარი დაპირისპირება სან სებასტიანში, „ანოეტაზე“ გაიმართება. საკმარისია, ბასკებმა მშობლიურ სტადიონზე ფრეს მიაღწიონ, რომ პრიმერადივიზიონში დარჩებიან, ხოლო „ხეტაფეს“ თითქმის გაწირავენ. მოკლედ, ჩვენ შევეცადეთ გასავარდნი ინტრიგის მთავარი მომენტები გამოგვემზეურებინა. ძალიან რომ ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს, კალკულატორების მომარჯვება მოგვიწევს - ჩიტი ბრდღვნად არა ღირს! მოვა დღევანდელი საღამოც და ყველაფერი გაირკვევა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	37	29	6	2	92-20	93
2. რეალი	37	28	5	4	94-32	89
3. ვალენსია	37	20	8	9	62-44	68
4. ვილიარეალი	37	18	8	11	54-43	62
5. ატლეტიკო	37	16	7	14	58-50	55
6. სევილია	37	16	7	14	59-59	55
7. ბილბაო	37	17	4	16	57-54	55
8. ესპანიოლი	37	15	4	18	44-52	49
9. სპორტინგი	37	11	13	13	35-42	46
10. მალაგა	37	13	7	17	53-65	46
11. რასინგი	37	12	10	15	40-54	46
12. ლევანტე	37	12	9	16	40-50	45
13. მალიორკა	37	12	8	17	38-52	44
14. სოსიედადი	37	14	2	21	48-65	44
15. ოსასუნა	37	12	8	17	44-46	44
16. ხეტაფე	37	12	7	18	48-59	43
17. დეპორტივო	37	10	13	14	31-45	43
18. სარაგოსა	37	11	9	17	38-52	42
19. ერკულესი	37	9	7	21	36-60	34
20. ალმერია	37	6	12	19	35-62	30

ბომბარდირები: 38 - რონალდო (რეალი); 31 - მესი (ბარსელონა); 18 - ვილია (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი), ნეგრედო (სევილია); 17 - სოლდადო (ვალენსია), ფ. ლორენტე (ბილბაო), აგუერო (ატლეტიკო); 14 - რონდონი (მალაგა).

რონალდო სიტიში გადავა?

ინგლისში გავრცელდა ხმა, რომ მადრიდის „რეალი“ 26 წლის პორტუგალიელ ვარსკვლავ **კრიშტიანო რონალდოს** „მანჩესტერ სიტის“ მიჰყიდის. ასახელებენ სატრანსფერო თანხასაც - 150 მილიონი ფუნტი, რაც დღევანდელი კურსით დაახლოებით 242 მილიონი დოლარი ანუ 170 მილიონი ევროა. წერენ, რომ მადრიდელებს კარგად მოეხსენებათ: ასეთი თანხის გადამხდელი მხოლოდ ისტლენდელები არიან.

საინტერესოა, რომ „სიტი“ ამ ინფორმაციას უარყოფს, ესპანური წყაროები კი დაჟინებით ამტკიცებენ, თითქოს კლუბებს შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. თანხა მართლაც ძალიან დიდია. ამდენი ფულის გადახდა თვით არაბი მილიარდერებისთვისაც არ იქნება იოლი, თუმცა ინგლისში თანხაზე არანაკლებ ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ მანჩესტერი ის ქალაქია, სადაც კრიშტიანომ უკვე ითამაშა, ოღონდ... არა ისტლენდზე, არამედ „ოლდ ტრეფორდზე“, „იუნაიტედის“ შემადგენლობაში.

დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ვარსკვლავის „სიტიში“ გადასვლას „ოლდ ტრეფორდზე“ ღალატად აღიქვამენ. ეს გზა არგენტინელმა **კარლოს ტევესმა** უკვე გაიარა და „იუნაიტედის“ გულშემატკივრებს ის ამის გამო სძულთ.

რამ შეიძლება რონალდო ასეთ ნაბიჯზე წაიყვანოს? რასაკვირველია, ფულმა. ამბობენ, რომ პორტუგალიელს ისტლენდზე, ხუთი წლის განმავლობაში, კვირაში 300 ათას ფუნტს ჰპირდებიან.

შეგახსენებთ, რონალდომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ 2009 წელს იმიტომ დატოვა, რომ სწამდა, „რეალი“ მისი გუნდი იყო. „იუნაიტედის“ შეფმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** მაშინ წინააღმდეგობა ორი მიზეზის გამო არ გაუწია. ერთი, რომ „რეალმა“ 80 მილიონი ფუნტი გადაუხადა და მეორეც, ფეხბურთელი საზღვარგარეთ მიდიოდა და არა მის კონკურენტ გუნდში.

დღეს, რონალდოს და „რეალის“ თავკაც **ჟოზე მოურინიოს** შორის შავმა კატამ გაირბინა და „სამეფო კლუბი“ მზად არის პორტუგალიელის თაობაზე სხვადასხვა შემოთავაზებას მოუსმინოს.

ილია ბაბუნაშვილი

დღეს, 20:00

გალაგა ბარსელონა VS

დისკვალიფიკაცია: დემიკელისი (მალ)
ტრავმა: კალა, კამაჩო, ასენხო, რონდონი, ოვუსუ, მალაგუენო, დუდა - მილიტო, ადრიანო, პუიოლი, მონტოია

დღეს, 22:00

ერკულესი სპორტინგი VS

დისკვალიფიკაცია: დე ლას კუევასი (სპო)
ტრავმა: დრენტე, სარი, ვალდესი, პულჰაკი, კრისტიანი, რუფეტე, ტოტე, ტომერი - სასტრე, კუელიარი

დღეს, 22:00

რეალი ალვერია VS

ტრავმა: გაგო, ხედირა, ლ. დიარა - ნიეტო, მბამი, ფეგული

დღეს, 00:00

ესპანიოლი სევილია VS

ტრავმა: ბაენა, მარკესი, ს. გარსია, მატიონი, დატოლო, ჰენია, ალვარესი, ფორლინი - ფასიო, ნავასი, ჩიგარინი, გუარენტე, რაკიტიჩი, ნავარო

დღეს, 00:00

დეპორტივო ვალენსია VS

დისკვალიფიკაცია: აიტამი (დეპ)
ტრავმა: ურეტა, ტომასი, ჟუკა, როდრიგესი, კასტრო, დეზმარე - ვისენტე (?), ტ. კოსტა (?), დომინგესი

დღეს, 00:00

ლევანტე სარაგოსა VS

დისკვალიფიკაცია: ნადალი (ლევ)
ტრავმა: ხუანლუ, გონსალესი, დელ ორნო, სერხიო, პერესი - დიოგო (?), კონტინი, ლაგუარდია

დღეს, 00:00

მალიორკა ატლეტიკო VS

ტრავმა: ენრიხი (?), ტეხერა, კორალესი - გოდინი, პერეა

დღეს, 00:00

ოსასუნა ვილიარეალი VS

დისკვალიფიკაცია: კანი (ვილ)
ტრავმა: არანდა, რუპერი, რობერტო, ნელსონი, მასუდი - ა. ლოპესი, გონსალო, ოლივა

დღეს, 00:00

სოსიედადი ხეტაფე VS

ტრავმა: დემიდოვი, ხ. ლორენტე (?) - ლოპესი, გომესი (?), გავილანი

დღეს, 00:00

რასინგი ბილბაო VS

ტრავმა: სერანო, კენედი, სანტოსი, ტონიო, კოლსა - ოსიო (?), აურტენეჩე, სერიო, კასერასი, რამალიო, სუსაეტა, კამპო

დღეს წერტილი დაესმება რიგით მე-80 მარათონს სახელად პრიმერადივიზიონი. ტურნირი, რომელიც 28 აგვისტოს დაიწყო და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. ლა ლიგაში 370 მატჩი უკვე გაიმართა, 10-იღა დარჩა და უკვე 1006 გოლია გატანილი.

● გერმანიის თასი. ფინალის წინ

მილან სასიჩი (დუისბურგი) და რალფ რანგნიკი (შალკე)

შალკემ უნდა მოიგოს, მაგრამ ზებრებს არ სძინავთ

ფინალი, სადაც როლები თავიდანვე გადანაწილებული იყო

დუისბურგი VS შალკე

სავარაუდო შემადგენლობები

დუისბურგი (4-2-3-1): იელდელი - ბ. კერნი, რაიხე, ბაჟიჩი, ვეინაუ - ბანოვიჩი, სუკალო - ილმაზი, გრლიჩი, შაჰანი - შეფლერი.

შალკე (4-2-3-1): ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ესკუდერო - პაპადოპულოსი, კლუგე - ფარფანი, რაული, ხურადო - ჰუნტელაარი.

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

დღეს ბერლინში გერმანიის თასის ფინალი გაიმართება. „შალკეს", რომელმაც ბუნდესლიგაში ძალიან ცუდად იასპარეზა, შესანიშნავი შანსი აქვს, თასის მოგებით, ევროპის ლიგის საგზური მოიპოვოს. მეტიც, გელზენკირხენული კლუბი ფაქტობრივად ვალდებულია, დღევანდელი ფინალი მოიგოს, რადგან მეტოქე ჰყავს ისეთი, მარცხი ძალიან დიდი სირცხვილი იქნება. თავად ის ფაქტი, რომ მეორებუნდესლიგელმა „დუისბურგმა" თასის ფინალში გააღწია, სენსაცია და ამ გუნდისთვის ძალიან დიდი მიღწევაა. „შალკესთვის" კი ამ მატჩის ვერმოგება სრული კატასტროფა იქნება. გელზენკირხენული კლუბის თავკაც **რალფ რანგნიკს** კატასტროფის არ ეშინია, თუმცა მეტოქეს სერიოზულად უყურებს. „პროფესორ რალფს" სერიოზული საკადრო პრობლემები არ ანუხებს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „დუისბურგის" თავკაც **მილან სასიჩზე**.

დააკლდება დუისბურგს ლიდერი?

საქმე იმაშია, რომ „დუისბურგის" ლიდერი **ივიცა გრლიჩი** ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და დღეს მისი თამაში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. გუშინ გამართულ წინასაფინალო პრესკონფერენციაზე 35 წლის შემტევი ნახევარმცველი მაინც გამოცხადდა და ქომაგებს დაჰპირდა, მინიმალური შანსიც რომ მქონდეს, რისკს არ შევუშინდები და აუცილებლად ვითამაშებო. შეძლებს თუ არა გრლიჩი მოედანზე გასვლას, ეს დღეს ნაშუადღევს გადაწყდება.

უფრო დიდი პრობლემა ისაა, რომ ივიცა არ არის „დუისბურგის" ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ფინალს გამოაკლდება - ტრავმები აწუხებთ **შტეფან მაიერჰოფერსა** და **ბენიამინ კერნსაც**. *„სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ისტორიული მატჩის წინ დაგვიშავდა წამყვანი ფეხბურთელები,* - აცხადებს დუისბურგის ხორვატი დამრიგებელი სასიჩი, - *შაბათ დილას ყველაფერს გავაანალიზებთ, სიტუაციას შევაფასებთ და გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ."* მისი განცხადებით, გუნდის სამედიცინო შტაბი განსაკუთრებით გრლიჩზე მუშაობს, რადგან ეს უკანასკნელი MSV-ს უმთავრესი მოთამაშეა.

საკადრო პრობლემები ამითაც არ ამონურულა: „ლელოს" მკითხველი „დუისბურგის" შესახებ ინფორმირებული არ იქნება და ამიტომაც უნდა დავწეროთ, რომ სასიჩს კაპიტანი **სრდიან ბალიაკი** და უნიჭიერესი **იულიან კოხი** დიდი ხანია ლაზარეთში ჰყავს. დაგვეთანხმებით, რომ ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ამცირებს იმის შანსს, რომ „დუისბურგმა" ფინალში სენსაცია მოახდინოს. მიუხედავად ამისა, „ზებრები" არ წუწუნებენ.

„თამაში 90 წუთს გრძელდება და შესაძლოა, 120 წუთიც გასტანოს. რაკი „შალკეს" ყველა უპირობო ფავორიტად მიიჩნევს, ჩვენ შეგვიძლია, თავისუფლად ვითამაშოთ," - ეს გრლიჩის სიტყვებია.

„საკადრო პრობლემები მოტივაციას არ დაგვიგდებს, ამ თამაშის მოგება ძალიან გვინდა. თითოეულმა მოთამაშემ თავი უნდა დადოს. ჩვენ შეუძლებელი უნდა შევძლოთ!" - ეს კი სასიჩის განცხადებაა.

რანგნიკი: ჩვენ ვიცით, რა და როგორ...

პრესკონფერენციაზე რანგნიკს აშკარა ფავორიტის სტატუსის გაპროტესტება არც უცდია და „შალკეს" 53 წლის დამრიგებელი ფინალის წაგებაზე ერთი წამითაც არ ფიქრობს: *„არავის და არაფრის გვეშინია. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ თამაშს მოვიგებთ, თუმცა ამისათვის აუცილებელია, რომ ნორმალურად ვითამაშოთ,"* - თუმცა „პროფესორმა" ისიც თქვა, მეტოქეს პატივს ვცემთ, გერმანიის თასის ფინალში შემთხვევით ვერავინ გადის, „ზებრებმა" „კიოლნისა" (2:1) და „კაიზერსლაუტერნის" (2:0) სახით პირველი ბუნდესლიგის ორი წარმომადგენელი დაამარცხეს, რაც სერიოზული მიღწევაა.

რანგნიკს ხელს არც ის ფაქტი უშლის, რომ მისმა შეგირდებმა ბოლო ექვსი ოფიციალური მატჩი წააგეს. *„ჩემი აზრით, ამ შეხვედრებშიც კარგად ვითამაშეთ და მაქსიმუმი გავაკეთეთ. მე მხოლოდ „კიოლნთან" (1:2) პირველი ტაიმით დავრჩი უკმაყოფილო,"* - თქვა რალფმა, რომელსაც ფინალში ყველაზე მეტად გამოცდილი ესპანელი გოლეადორის, **რაულის** ეიმედება: *„ის არის ფეხბურთელი, რომელსაც მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ასე იყო ნახევარფინალში, „ბაიერნთან" შეხვედრაშიც და იმედია, ასე იქნება ფინალშიც."*

კითხვები რომ გამოელიათ, სანამ ჟურნალისტები რამეს მოიფიქრებდნენ, „შალკეს" მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდმა** დაასწრო და თქვა, ახლა არ მკითხოთ, გუნდი მესამე ფორმით რომ თამაშობს, ეს ბიჭებზე ცუდად ხომ არ იმოქმედებსო. *„სანერვიულო არაფერია, ჩვენი ფანები ფეხბურთელებს ნამდვილად იცნობენ. „დუისბურგის" ფერებიც ლურჯი და თეთრია, ჩვენ კი სტუმრის სტატუსი გვაქვს, რის გამოც იძულებულები გავხდით, მესამე ფორმა ჩავიცვათ,"* - თქვა ჰელდტმა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „შალკეს" ამ სეზონში ამ ფორმით არ უთამაშია. გელზენკირხენული კლუბის მესამე ფორმის ფერს ოფიციალურად „ულტრა ბეაუტყ" ჰქვია...

● გერმანია. ბუნდესლიგა. ვლეი ოფი. პირველი მატჩი

გლადბაბახ 93-ე წუთზე!

დე კამარგოს ოქროს გოლმა ბორუსიას შვებით ამოასუნთქა

ბორუსია (მ)–ბოხუმი 1:0

ბორუსია მ. (4-2-2-2): ტერ შტეგენი - იანტშეკი, შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი - როისი (84. მატმური), არანგო - ჰანკე, იდრისუ (67. დე კამარგო).

ბოხუმი (4-1-2-2-1): ლუთე - კოპლინი, მალტრიტცი, იაია, ოსტროცოლეკი - იუჰანსონი - დაბროვსკი, ტოსკი (83. აზაუაგი) - ფრაიერი, ქორქმაზი (71. ფედერიკო) - მ. აიდინი (46. ჩონგ ტესე).

გოლი: 1:0 დე კამარგო (93)

გაფრთხილება: 1-3

მაყურებელი: 54 057

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" თავდამსხმელმა **იგორ დე კამარგომ**, პირველი ბუნდესლიგის საგზურის პლეი ოფის პირველ მატჩში, მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსან „ბოხუმს" გოლი 93-ე წუთზე გაუტანა და დიდი შანსია, რომ „გლადბახმა" სწორედ ამ გოლით მოახერხოს ელიტაში ადგილის შენარჩუნება. საპასუხო მატჩი ბოხუმის „რურშტადიონზე" მომავალ ოთხშაბათს გაიმართება.

შეხვედრა მშვიდად ნარიმართა, მიუხედავად მატჩის უდიდესი მნიშვნელობისა, ფეხბურთელები ნერვების მოთოკვას საფინალო სასტვენამდე ახერხებდნენ, მაგრამ როგორც კი თამაში დამთავრდა, ბოხუმელები მსაჯ **პერლს** მივარდნენ და ლანძღვა-გინების კასკადი დააყარეს. საქმე იმაშია, რომ მსაჯმა შეხვედრას ორი წუთი დაამატა, დე კამარგომ კი გოლი მესამე დამატებულ წუთზე გაიტანა. შესაბამისად, ბოხუმელებმა ნაგება მსაჯს დააბრალეს. 2 წუთი და 16 წამი უკვე გასული იყო, როცა პერლმა მიონხენგლადბახელებს აუტის მოწოდების ნება დართო და სწორედ ამ აუტს მოჰყვა ის, რამაც მიონხენგლადბახელები ძალიან გააბედნიერა, ბოხუმელებს კი სასო წარუკვეთა: ბურთი ბოხუმის კარის სიახლოვემდე მიიტანეს, სადაც დე კამარგომ იყოჩაღა და ხუთი მეტრიდან გამარჯვების, მეტიც, ოქროს გოლი გაიტანა.

ბოხუმელთაგან ყველაზე მეტად მწვრთნელი **ფრიდჰელმ ფუნკელი** გაბრაზდა - მოედანზე შევარდა და მსაჯისკენ გაიწია, თან საათზე მიუთითებდა. მატჩის შემდეგ პერლმა თქვა, გუნდები იმდენ ხანს ვათამაშე, რამდენიც საჭიროდ ჩავთვალე, ბოხუმელებს დრო გაჰყავდათო.

„ეს უსამართლობაა. დამატებულ წუთებში დრო არ გაგვიყვანია. ორი წუთის ნაცვლად, სამი გვათამაშა, უფრო სწორად, თამაში იქამდე არ დაამთავრა, სანამ „გლადბახმა" გოლი არ შეგვიგდო," - განრისხებული იყო ბოხუმელთა კაპიტანი **დაბროვსკიც**.

ისე, მართალია, ბოხუმელები მთელი მატჩის განმავლობაში უდიდესი თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ „გლადბახმა" გამარჯვება არ დაიმსახურა. ბოხუმელთა მეკარე **ლუთემ** არაერთხელ იხსნა თანაგუნდელები, განსაკუთრებით კარგად კი ჰანკესა და არანგოს დარტყმების დროს ითამაშა. დე კამარგოს დარტყმის მომენტში კი ლუთეც უძლური აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, მატჩის შემდეგ „გლადბახის" გულშემატკივრებმა ძალიან ცუდი ამბავი შეიტყვეს: „ბორუსიას" 21 წლის ლიდერი **მარკო როისი** დაშავდა და დიდი შანსია, რომ საპასუხო შეხვედრაში ვერ იასპარეზოს. თუ ვერ ითამაშა, ცხადი ხდება, რომ როისი ვერც გერმანიის ნაკრებში გამოცხადდება - როგორც იცით, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** მარკო ურუგვაისთან, აზერბაიჯანთან და ავსტრიასთან მატჩებისთვის გამოიძახა. როგორც ჩანს, როისის დებიუტი გერმანიის ნაკრებში ვერც ამჯერად შედგება.

● ბაიერნი

ნილსის მისია მიუნხენში: გოლები!

პეტერსენს 9 ნომერი მისცეს, ჰაინკესი მას ძალიან სერიოზულად უყურებს

22 წლის თავდამსხმელი **ნილს პეტერსენი** გუშინ „ბაიერნის" ოფისში პირველად მივიდა და თავი ზღაპარში ეგონა – მან რეკორდმაისტერთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გეცოდინებათ: პეტერსენი „ბაიერნში" „კოტბუსიდან" გადავიდა. გასრულებულ სეზონში ის „ენერგის" ფორმით ასპარეზობდა, 25 გოლი გაიტანა და მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამიტომაც იყიდეს მიუნხენელებმა – 2.8 მილიონ ევროდ.

„როცა „ბაიერნში" გეპატიჟებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ გეძლევა უნიკალური შანსი, რომელიც ხელიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვა. რომელიღაც გუნდზე ხომ არაა ლაპარაკი, საქმე თვით მიუნხენის „ბაიერნს" ეხება! როცა გავიგე, რომ ბავარიელებს ჩემი გადაბირება მართლა სერიოზულად სურდათ, მაშინვე თანახმა ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ტრანსფერი შედგა," - უთხრა პეტერსენმა ჟურნალისტებს.

მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო გოლეადორმა იცის, რომ რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი ჯაფა დაადგება, მაგრამ ყველაფრისთვის მზადაა. ნილსი ყველა კონკურენტს (**მარიო გომესი, ივიცა ოლიჩი, თომას მიულერი, მიროსლავ კლოზე**) აფასებს, მაგრამ მათი არ ეშინია: *„ფაქტი იყო, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადამედგა. ფაქტია ისიც, რომ არავისი მეშინია და ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონკურენტებს ვაჯობო."*

კითხვაზე, მიაჩნია თუ არა, რომ სასტარტოში ადგილის დამკვიდრებას შეძლებს, პეტერსენმა ასე უპასუხა: *„არ ვიცი, ეს მერე გამოჩნდება. მე ჩემი მხრიდან მაქსიმუმს გავაკეთებ! ჩემი მიზანი „ბაიერნის" ფორმით ძალიან ბევრი გოლის გატანაა."*

ამას სიამოვნებით მოისმენს „ბაიერნის" მომავალი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესიც**, რომლის შესახებ პეტერსენი შემდეგს ამბობს: *„იუპ ჰაინკესმა ჩემს ტრანსფერში ძალიან დიდი როლი ითამაშა. მას ახალგაზრდა ფეხბურთელების სწორ გზაზე დაყენება იდეალურად ეხერხება და მიხარია, რომ სწორედ იუპი იქნება „ბაიერნის" მწვრთნელი."*

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ნილსმა მიუნხენში საცხოვრებელი ბინის ძებნა დაიწყო, ჟურნალისტებს კი უთხრა, მშვიდი ცხოვრება მიყვარს და მშვიდ უბანს ავარჩევო. სხვათა შორის, ნილს პეტერსენი „ბაიერნში" 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ბაიერნის ახალი თავდამსხმელი ნილს პეტერსენი

ეროვნული

ძიუდო. ალმასკომის სხდომა

სამუდამო დისკვალიფიკაცია

სადამსჯელო ღონისძიებების ტალღა გრძელდება

ფეხბურთის შემდეგ ძიუდოს ჯერი დადგა - გუშინ ამ ფედერაციის ალმასკომმაც გამოუტანა განაჩენი საკუთარ სპორტსმენებს და სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ასეთი უმკაცრესი განაჩენი ორ ფალავანს ერგო - მძიმე წონაში ეროვნული ნაკრების ნევრ **ნოდარ მეტრეველს** და საქართველოს 2009 წლის ჩემპიონ **იოსებ წელაურს** (81). მეტრეველი ბაქოში, „დიდ პრიზზე" მომხდარი დანაშაულისთვის დაისაჯა - ქურდობაშია ეჭვმიტანილი, წელაური კი - ჩხუბისთვის. ეს ინციდენტი უნივერსიადაზე მოხდა, როცა ნაგებით განაწყენებული სპორტსმენი ტატამიდან გასვლისას თავს დაესხა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯ **ნიკო ზაუტაშვილს** და ხელჩართულ ჩხუბში მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენა.

გუშინვე ალმასკომმა კიდევ ორი სპორტსმენი დასაჯა, ოღონდ გაცილებით ლმობიერად, 6-თვიანი დისკვალიფიკაციით: ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონი **არჩილ შინჯიკაშვილი** (90) და **ივანე დავითაშვილი** (66). მიზეზი არ დაუკონკრეტებიათ, ზოგადად ითქვა, რომ ისიც უნივერსიადაზე არასპორტული საქციელისთვის ჩამოაშორეს სპორტს, თუმცა კულუარული ინფორმაციით, ბრალდება აქაც ბაქოს ანალოგიურია.

იყო ლაპარაკი, თითქოს ვიღაც მესამეც დაისაჯა, მაგრამ დანაშაული აქაც გაუხმაურებელი დარჩა.

ალმასკომმა აგრეთვე იმსჯელა სისტემატურ დარღვევებზე და ნაკრებებში დისციპლინის გამყარების აუცილებლობაზე — ვარჯიშებზე დაგვიანება ან სულაც გაცდენა, მწვრთნელებისადმი დაუმორჩილებლობა და ასე შემდეგ. მიღებული დადგენილებით, დამრღვევთა მიმართ ფინანსურ-ადმინისტრაციული სასჯელი გატარდება.

„მკაცრი სანქციები მომავალშიც განხორციელდება ნებისმიერ არასპორტულ საქციელზე. სპორტი არაა ქურდობის და მიმუნობის ადგილი. ვინც არ დაემორჩილება დისციპლინას და საერთო რეჟიმს, ის არც სპორტში იქნება" - განაცხადა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა**. გუშინ ამავე პოზიციაზე იყო ყველა - ძიუდოს ფედერაციის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე,** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** თუ სხვა. თუმცა ვარძელაშვილი უფრო შორსაც წავიდა და რეალობას ბოლომდე თუ არა, მაინც გვარიანად ჩამოხადა ნიღაბი. *„სამწუხაროდ, ქართულ სპორტში წლების განმავლობაში დამკვიდრდა დაუსჯელობის სინდრომი. სხვადასხვა სახეობაში მრავლადაა ისეთი მიუღებელი შემთხვევები, როგორიცაა გინება, ხელისა და წიხლის დარტყმა, შეხვედრების ყიდვა-გაყიდვა, ქურდობა და ასე შემდეგ. საუბედუროდ, ამის უამრავი მაგალითია გამოვლენილი. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება ასეთი მკაცრი სანქციების შესახებ, თორემ გუნდებში დისციპლინას ვერ დავამყარებთ. ვფიქრობთ, სანქციები უმკაცრესი უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ სათანადო კულტურა ჩამოვაყალიბოთ სპორტსმენებშიც და მწვრთნელებშიც. სხვანაირად ქართული სპორტი ვერ განვითარდება. მომავალში ანალოგიურად დაისჯება ყველა, ვინც დაარღვევს დისციპლინას, ხოლო განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულისთვის საერთოდ მოიკვეთებიან სპორტიდან"*.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, რაც მინისტრმა ბრძანა, მართლაც ჩვეულებრივია ქართულ სპორტში, მაგრამ აქამდე ამაზე ლაპარაკს ყველა ერიდებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მეტ გამჭვირვალობას ვისურვებდით. ინფორმაციის ნაკლებობა ჭორების გავრცელებას იწვევს. მასმედიით ისიც კი ითქვა, თითქოს ჩვენმა სპორტსმენმა ბაქოში მაღაზია გაძარცვა! არადა, ჯერ კიდევ ბაქოდან ჩვენი გუნდის ჩამოსვლამდე ლაპარაკობდნენ, რომ ქურდობა დარბაზში მოხდა და არა მაღაზიაში. იქნებ ღიად და საჯაროდ არავინ ლაპარაკობს, მაგრამ კულუარებში დეტალურად ვრცელდება იქაური ამბავი, როგორ ითხოვდა ფრანგი მწვრთნელი სატელეფონო ბარათის დაბრუნებას (აპარატს არ დაევეძებო) და როგორ გაარკვიეს საქმის ვითარება ვიდეოჩანაწერის გაშიფვრით. ასეთ პირობებში, როცა ყველამ ყველაფერი იცის, ინფორმაციის დამალვა იმ ქართულ ანდაზას გვაგონებს, ბრმას რომ ცოლი მოუკვდება და არ ეუბნებიან. ვფიქრობთ, თავად ფედერაციები უნდა ავრცელებდნენ ოფიციალურ განცხადებას და მაშინ არც ზემოაღნიშნულის მსგავსი ჭორები გავრცელდება. მავანს პრობლემასთან ბრძოლას, მედიისთვის სიმართლის დამალვა ურჩევნია, ამას კი სირაქლემას პოზამდე მივყავართ.

ბოლოდროინდელი ამბები გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებამ უკვე სერიოზულად გადაწყვიტა სპორტის კრიმინალისგან გაწმენდა. აქვე ჩნდება სინანულნარევი კითხვა - რატომ დავკარგეთ ამდენი დრო? იმავე ძიუდოში მსგავს ფაქტებზე ადრე რომ აემაღლებინათ ხმა, ახლა დისციპლინაც დამყარებული იქნებოდა და აღარც ასეთ სავალალო დღეში აღმოვჩნდებოდით, რაც იმავე ძიუდოში, მძიმე წონაში შეგვექმნა - ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე, გაგანია სალიცენზიო სეზონში მხოლოდ **ზვიად ხანჯალიაშვილის** იმედად დავრჩით, რადგან **ადამ ოქრუაშვილიც** დასჯილია პოლონეთის ტურნირზე მომხდარი ასევე მიუღებელი საქციელისთვის. მართალია, მისი სასჯელი ბევრად ხანმოკლეა და მალე დაუმთავრდება, მაგრამ ბაქოს ტურნირი ხომ გამოტოვა. თან ოქრუაშვილი სალიცენზიო რეიტინგში ჩვენგან საუკეთესოა, ხანჯალიაშვილსაც უსნრებს. პარადოქსია - მძიმე წონაში სულ სამი რიგიანი სპორტსმენი გვყავს (**ლაშა გუჯეჯიანი** ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, არ ვარჯიშობს და არც გვიგულისხმია), იმათგან ორი კი დისკვალიფიცირებულია! ასევე ადრევე იყო საჭირო ჩხუბის, აყალმაყალის, დანისა თუ ხელ-ფეხის ქნევისათვის ასეთი უმკაცრესი სასჯელების დაწესება და მაშინ დღეს წელაურის შემთხვევაც არ იქნებოდა. არადა, ძიუდოში ეს ყველაფერი სისტემატურად, ლამის ყოველ ტურნირზე ხდებოდა - გვინახავს დაჭრილიც, სახედასისხლიანებულიც, ცხვირგატეხილიც, სამართებლით სახეგადასერილიც და უღვთოდ ნაცემიც, მაგრამ სამართლიანობის ზეიმის ნაცვლად საბოლოოდ ყველაფერი ქართული „ჩაწყობით" მთავრდებოდა. ჭირი თავს არ მალავს და არც შუბი იმალება ხალთაში. სწორედაც ამიტომ ამოხეთქა ამ ყველაფერმა...

ირაკლი თავაძე

ხელბურთი

ჩემპიონები

ჩემპიონი უცვლელია

გუშინ გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპორტკომპლექსში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის V ტურის დარჩენილ სამ შეხვედრას უმასპინძლა. ჩემპიონატის ლიდერმა "თბილისისა" აგრარული უნივერსიტეტის გაერთიანებულმა გუნდმა ამჯერადაც დამაჯერებლად ითამაშა და "ბათუმი" 41:39 დაამარცხა. თბილისელმა ხელბურთელებმა საერთო ჯამში 24 გამარჯვება და ერთი ფრე მიითვალეს. 31:31 დასრულდა შეხვედრა "ქუთაისსა" და თსუ-ს შორის, ხოლო სტუმარმა აზერბაიჯანის ნაკრებმა "ქარიშხალა" 30:26 სძლია.

გათამაშების ცხრილში მეორე ადგილი და 25 ქულა მოიპოვა "ქუთაისმა", რომელსაც "ქარიშხალა" 5 ქულით ჩამორჩება. სამწუხაროდ, ჩემპიონატის განმავლობაში ცუდად იასპარეზეს "ბათუმმა" და თსუ-მ, შედეგად მე-4 და მე-5 ადგილებს დასჯერდნენ.

როგორც გახსოვთ, III ტურიდან გორის გუნდი უსახსრობის გამო ჩემპიონატში ვეღარ მონაწილეობდა. რადგან მეზობელ აზერბაიჯანში ეროვნული ჩემპიონატი უკვე დასრულებულია, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ გორელების ნაცვლად მე-6 გუნდად აზერბაიჯანის ნაკრები გაამწესა. დარჩენილ ტურებში აზერბაიჯანელმა ქართველ ხელბურთელებს ღირსეული ნააღმდეგობა გაუწიეს და ჩემპიონატის მოგების მსურველთ არაერთი ქულაც დააკარგვინეს.

244 გატანილი ბურთით საუკეთესო ბომბარდირი "ბათუმის" ხელბურთელი გოგიტა ნიკურაძე გახდა. აღსანიშნავია, რომ ნიკურაძე მიზეზთა გამო V ტურის შეხვედრებში ვერ მონაწილეობდა.

რევაზ ჭანტურია (სსაუ/თბილისის მწვრთნელი): — ბოლო ტურში ჩვენმა გუნდმა შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა, რადგან ძირითადის 4 მოთამაშე ჯარში გაიწვიეს. გასულ ტურში ტრავმა მიიღო ჩვენმა მეკარემ და ვერც ის გვეხმარებოდა. მოთამაშეთა დანაკლისი თამაშსაც დაეტყო და შეხვედრებს ადვილად ვეღარ ვიგებდით. მეტოქე გუნდები საკმაოდ ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. წლეულს საქართველოს ჩემპიონატმა ბევრი კარგი მოთამაშე, არა მარტო ჩვენი, არამედ მეტოქე გუნდების შემადგენლობებშიც გამოავლინა.

	თ	მ	ფ	ნ	ქ
1. სსაუ/თბილისი	25	24	1	0	49
2. ქუთაისი	25	12	1	12	25
3. ქარიშხალა	25	10	0	15	20
4. ბათუმი	25	7	3	15	17
5. თსუ	25	6	3	16	15

სსაუ/თბილისი: კიკნაძე, გონჩაროვი, ქარდავა, წითელაშვილი, მაისურაძე, ნივნივაძე, ყაველაშვილი, გელაშვილი, გოგეშვილი, თეთრუაშვილი, იობაშვილი, თევზაძე, ელგანდაშვილი, კალანდაძე, მჟავანაძე.

სალომე ხარატიშვილი

ჩოგბურთი

პირველად, ლაბაძის შემდეგ

ბოლოს ქართველმა ჩოგბურთელმა „დიდი სლემის" ტურნირის ძირითად ბადეში 5 წლის წინათ ითამაშა - მაშინ უიმბლდონის ტურნირზე **ირაკლი ლაბაძემ** ერთმანეთზე მიაწყო **ალექსანდერ პეია, გასტონ გაუდიო** (მაშინ მსოფლიოს მე-12 ჩოგანი) და **მარდი ფიში** და მხოლოდ მერვედფინალში წააგო, თანაც **რაფაელ ნადალთან**. ამის შემდეგ ქართველთათვის „დიდი სლემის" ტურნირები მიუწვდომელი ოცნება იყო. და აი, **ანა ტატიშვილმა** (107) „როლან გაროსის" ძირითად ბადეში თამაში მაღალი რეიტინგით დაიმსახურა. გუშინ გაირკვა ანას პირველი მეტოქის ვინაობა პარიზის კორტებზე.

კენჭისყრამ ქართველს არ გაუმართლა - ტატიშვილის მეტოქე მსოფლიოს მე-11 ჩოგანი („როლან გაროსზეც" ამ ნომრით განთესილი) ფრანგი **მარიონ ბარტოლია.** ბარტოლისთვის ეს რიგით მე-10 საფრანგეთის ღია პირველობაა. კარიერაში ფრანგს 5,4 მილიონი დოლარი მოუპოვებია. ამასთან ანას მონაგარი (250 ათასი დოლარი) რა მოსატანია.

ამასობაში იზმირის საერთაშორისო ტურნირში (თურქეთი, 25 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (285) მეოთხედფინალური ეტაპიც დაძლია - მე-7 ნომრად განთესილ ბრიტანელ **ტარა მურს** (346) 6:3, 6:7 (4), 7:6 (4) მოუგო. ნახევარფინალში ქართველი რუმინელ **მიჰაელა ბუზარნესკუს** (356) შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ის და **თათია მიქაძე** (306) წყვილთა ბადის ნახევარფინალში არიან გასულები.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო. ნაცვუ ბაშო. 8-22 მარტი

ტოჩინოშინის ისტორიული...

გუშინ ტოკიოში ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც სუმოს ქართველ გულშემატკივრებს სურდათ - სამივე ქართველმა მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** გამარჯვება - მან კარიერაში პირველად შეძლო ესტონელი ჩემპიონი **ბარუტოს** დამარცხება (მე-8 ცდაზე!) და საჩემპიონო შანსები დაიბრუნა. ზაფხულის ბაშოზე ტოჩინოშინს 11-2 ბალანსი აქვს, ეს მეორე შედეგია სუპერტურნირზე. დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოც** ხელის განვდენაზეა, რადგან იოკოძუნამ გუშინ მე-13 ორთაბრძოლაზე შეწყვიტა მოგებათა სერია და ახლა ქართველ რიკიშის მხოლოდ ერთი გამარჯვებით სჯობს.

ბაშოს ასეთ ფინალზე ვერც კი ვიოცნებებდით - ტოჩინოშინი ჰაკუჰოს პირველი და ლამის ერთადერთი კონკურენტია. ესტონელი გოლიათი ლევანისთვის დღემდე აუღებელი ციხესიმაგრე იყო. სასტარტო დაჯახების შემდეგ ჩვენებურმა უკეთესი დგომი მიიღო - მუშა ცაციათი ჩასჭიდა ხელი ბარუტოს, თავად კი ამის გაკეთების შანსი არ მისცა მეტოქეს. მაშინ ბარუტომ მხოლოდ მარჯვენა ხელით გადაწყვიტა ილეთის გაკეთება, მაგრამ შიტატენაგე არ გამოუვიდა, დოჰიოს კიდეზე ამას ლევანმა ბრწყინვალე ილეთით (უვატენაგე) უპასუხა და ბარუტო დარბაზში მოისროლა და თავადაც მიჰყვა. მართლაც და, თვალსასაჩერო ევროპული დუელი გამოვიდა.

როდესაც დიდი ჩემპიონი ჰაკუჰო და ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** დოჰიოს სასტარტო დაჯახებისთვის მუშტებით დაეყრდნენ, იაპონიაში მორიგი მინისძვრა მოხდა. ამან, ეტყობა, კონცენტრაცია დააკარგვინა ჰაკუჰოს და ჰარუმაფუჯიმ მას სილა გაანნა და მთელი ძალით შეუტია. იოკოძუნა მაინც გამოძვრა სიტუაციიდან, მაგრამ ჰარუმაფუჯიმ თანამემამულეს ძალების მოკრებვა არ აცალა და დოჰიოდან გაიყვანა.



დღეს ტოჩინოშინი სეკივაკე **კოტოშოგიკუს** ხვდება, რომელთანაც 23 წლის ქართველს უარყოფითი ბალანსი აქვს - 3:7. ამასობაში, ჰაკუჰო ბარუტოს შეხვდება. თუკი ქართველი დაამარცხებს იაპონელს და დიდი ჩემპიონიც მოიგებს, ასპარეზობის ბოლო დღეს ჩემპიონის თანისთვის (იმპერატორის თასი ამ ბაშოზე არ იქნება) ტოჩინოშინი და ჰაკუჰო იბრძოლებენ.

გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) შოტენრო დაამარცხა და 6-7 ბალანსი გაუხდა. დღეს ქართველი **დაიდოს** შეერკინება (1:0 ურთიერთშეხვედრებში). **კოკაიმაც (ლევან ცაგურია)** იმარჯვა და 5-8 ბალანსი გაუხდა ძურიოს დივიზიონში.

XIII დღე

მაკუუჩი: ჰარუმაფუჯი-ჰაკუჰო (იორიკირი), კაიო-არანი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ბარუტო (უვატენაგე). კოტოშოგიკუ-კისენოსატო (იორიკირი), კაკურიუ-კაისი (შიტატენირი), ტოიონოშიმა-ამინიშიკი (იორიკირი), გოეიდო-იოშიკაძე (ოშიტაოში), ტოჩიოძანი-ჰომაშო (იორიკირი), ვაკანოსატო-კიტატაიკი (იორიკირი), ოკინოუმი-ტამავაში (ოშიდაში), ტაკეკაძე-ტოიოჰიბიკი (ოკურიდაში), კიოკუტენჰო-კიმურაიამა (იორიკირი), **გაგამარუ**-შოტენრო (იორიკირი), ტოსაიუტაკა-მიაბიამა (იორიკირი), ტოკიტენკუ-სასსეკირიუ (შიტატენაგე), ვაკაკიოუ-ტაკამისაკარი (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-ტაკაიასუ (ჰატაკიკომი), ტაკარაფუჯი-ტოჩინონადა (იორიკირი); **ძურიო: კოკაი**-მასუნოიამა (კოტენაგე).

საბურნირო მდგომარეობა

12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

11-2: **ტოჩინოშინი** (მაეგაშირა 6).

10-3: ბარუტო (ოძეკი), კაკურიუ (კომუსუბი), ტოსაიუტაკა (მ 9), კაისი (მ 10).

9-4: კოტოშოგიკუ (სეკივაკე), გოეიდო (მ 1).

... 6-7: **გაგამარუ** (მ 14)

XIV დღე

მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი: ჰაკუჰო-ბარუტო, ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე, კაიო-კისენოსატო, **ტოჩინოშინი**-კოტოშოგიკუ, ტოიონოშიმა-ოკინოუმი, კაკურიუ-ტოსაიუტაკა, გოეიდო-ვაკაკიოუ, ტოიოჰიბიკი-ტოჩიოძანი, ჰომაშო-შოტენრო, **გაგამარუ**-დაიდო; **ძურიო: კოკაი**-ცურუგიდაკე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სპორტის მუზეუმი

მიბრძანდით, დაათვალიერეთ...

საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი 1965 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა თბილისში. 2008 წლის 29 აპრილს მუზეუმი გაქურდეს და 50 სპორტული მედალი წაიღეს, მათ შორის ოლიმპიური. მას შემდეგ მუზეუმი გამოკეტილი იყო. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ძალისხმევით კვლავ გაიღო ამ დღეებში მუზეუმის კარები და პირველი დამთვალიერებლებიც მიიღო.

„ყველაფერი მოვაწესრიგეთ, მუზეუმს დირექტორიც ახალი ჰყავს. ექსპონატები ქართული სპორტის ახალი წარმატებებით გამდიდრდება" — გვითხრა ზემოხსენებული სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **ირაკლი სამყურაშვილმა.**

თენგიზ თომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის ჩემპიონატი



ერთიც და ნახევარფინალია

მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუმ“ მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩშიც დაამტკიცა, რომ „ვარეზეზე“ ძლიერი გუნდია. მართალია, პირველი შეხვედრისგან განსხვავებით ვარეზელთა დამარცხება გაუჭირდა, მაგრამ მეოთხე პერიოდში დამაჯერებელი თამაშის წყალობით წარმატებას მაინც მიაღწია - 67:64.

მესამე პერიოდის ბოლომდე სტუმარი ვარეზელები წინ იყვნენ (53:49), თუმცა ეს ის სხვაობა არ იყო, „კანტუს“ გაბათილება გასჭირვებოდა. ასეც მოხდა - მანუს თანაგუნდელებმა მეოთხე პერიოდი 18:11 მოიგეს და სერიაში 2:0 დაწინაურდნენ.

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა მარკოიშვილმა 15 წუთი ითამაშა და 3-3 ქულა-მოხსნა მოაგროვა. მან 4-დან 1 სამქულიანი გამოიყენა. მატჩის ბომბარდირი კანტუელი **ნიკოლა მაძარინო** გახდა - 24 ქულა მოაგროვა.

მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი 22 მაისს ვარეზეში გაიმართება. დღეს კი **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი“ „მონტეპასკისთან“ მეორე მატჩს ჩაატარებს.

სუპერ ტივი
თბილისის სპორტის სასახლე
არმია - თსუ 14:00

სუპერ ტივი
ქუთაისის სპორტის სასახლე
ქუთაისი - სოხუმი 18:00

● ზვიადი არმია

ფინალების რეკორდი, 9 ათასი...

სუპერლიგა გადამწყვეტ სტადიაში შევიდა - გუშინ სპორტის სასახლეში ფინალური სერია „არმიამ“ მოგებით გახსნა. გამარჯვებულთა ლიდერმა ზვიად ბაბიაშვილმა სწორად აღნიშნა - ლამაზი თამაში იყოო. მართლაც, მოედანზე დრამატულ შეხვედრას გულშემატკივრებით გადაჭედილმა დარბაზმა დამატებითი ხიბლი შესძინა. ბოლო წლებში ფინალებზე ქომაგთა სარეკორდო რაოდენობა სწორედ გუშინ მივიდა - 9 ათასი. უმეტესობა „არმიელი“ იყო, რომლებსაც სპეციალურად შეკერილი თეთრი ქუდ-მაისურები და საქართველოს დროშები ამშვენებდათ. საინტერესო სიახლე შემოგვთავაზეს თსუ-ს ქომაგებმა: ლურჯ-თეთრი ქაღალდებით ტრიბუნაზე დიდად გადაჭიმეს - „თსუ“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

■ ■ ■

ასეთ ატმოსფეროში თამაში ნებისმიერი კალათბურთელისთვის სასიამოვნოა, თუმცა პირველივე წუთებიდან თავი იჩინა წნეხმა, რომელსაც თავი ვერც ერთი გუნდის კალათბურთელებმა დააღწიეს. თავად განსაჯეთ: პირველი ტაიმი 37:27 დასრულდა, რაც მეტად დაბალი მაჩვენებელია, ხოლო თსუელები ბოლო პერიოდამდე ვერაფრით ახერხებდნენ მთავარი კოზირის გამოყენებას - სამქულიანების რეალიზებას. 32 წუთის განმავლობაში მათ ერთადერთი შორეული ტყორცნა ჰქონდათ რეალიზებული. თუმცა, ეს მხოლოდ წნეხს არ უნდა დაბრალდეს - პირველი მეოთხედის ბოლოს „არმია“ ზონურ დაცვაზე გადავიდა, შედეგად თსუ-ს ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება გაუჭირდა. ზონური დაცვის დაძლევა სამქულიანებითაა შესაძლებელი, მაგრამ როგორც გითხარით, არმიელები ყურადღებით თამაშობდნენ და მეტოქეს პერიმეტრიდან ტყორცნას არ ანებებდნენ.

■ ■ ■

„არმიას“ სუპერლიგაში საუკეთესო მეფარეები ჰყავს, თუმცა პირველ ტაიმში ფარქვეშ ცოტა გაუჭირდა: სტუდენტმა **ილია ლონდარიძემ** ბურთი 6-ჯერ მოხსნა, ხოლო თსუ-მ ამ კომპონენტში მეტოქეს 17:13 აჯობა. მეორე პერიოდიდან ნომინალურმა მასპინძლებმა (არმიელებმა) ფარქვეშ თამაში გამოასწორეს და საბოლოოდ მოხსნებში 59:47 იმარჯვეს. საყურადღებოა, რომ ყველაზე მეტჯერ ფარიდან ასხლეტილ ბურთს ფორვარდი **დავით საყვარელიძე** (200 სმ) დაეუფლა - 12-ჯერ. მასვე ეკუთვნის გადამწყვეტი მოხსნა: საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე „არმია“ 2 ქულის სხვაობით იგებდა (73:71), ანატოლი ბოისამ ორივე საჯარიმო ააცილა... ბურთი თსუ-ს კალათბურთელებს რომ მოეხსნათ, 9 წამში შესაძლოა შეტევა შედეგიანად დაეგვირგვინებინათ, მაგრამ საჯარიმო ტყორცნის შემდეგ ბურთი მეტოქის ფარზე საყვარელიძემ მოხსნა, რითაც „არმიას“ სერიის პირველი გამარჯვება მოუტანა. ასევე მნიშვნელოვანი იყო სირენამდე 3 წამით ადრე **კოტე ტულუშის** მიერ რეალიზებული ორი საჯარიმო, რომლის შემდეგაც ძალოვნები 4 ქულით დაწინაურდნენ (75:71) და სტუდენტებს თამაშის გადარჩენის შანსი არ დარჩათ.

■ ■ ■

ვახსენეთ საყვარელიძე, ტულუში, მაგრამ არაფერი გვითქვამს ზვიად ბაბიაშვილზე. საწყისი სამი მეოთხედის განმავლობაში იგი ჩრდილში იყო, 8 ქულა ჰქონდა ჩაგდებული (9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 0 საჯარიმო). მეოთხე პერიოდში კი შეუჩერებელი გახლდათ: 14 ქულა მიითვალა და საბოლოოდ მატჩის ბომბარდირობაც არავის დაუთმო - 22 ქულა. ბოლო პერიოდში ზვიადმა 3-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 4-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და დაგვანახა, რომ გამოცდილება უკვალოდ არ იკარგება. მისი სიზუსტე რომ არა, თსუ თამაშს შემოატრიალებდა - მეოთხე რაუნდში 5 სამქულიანი ჩააგდო.

■ ■ ■

დღეს, 14 საათზე სერიის მეორე მატჩია. თსუ-ს მწვრთნელი, **ნუგზარ ჭეიშვილი** გვპირდება, რომ ფინალები მშრალი ანგარიშით არ დასრულდება. ვნახოთ, რა აზრისაა „არმია“.

ქრონოლოგია

IV პერიოდი

9:30	მ. ბერიშვილი 2ქ (51:54)
8:36	შარაბიძე 1ქ (55:51)
8:17	საყვარელიძე 1ქ (56:51)
8:08	ბაბიაშვილი 2ქ (58:51)
7:59	ფანჩულიძე 3ქ (58:54)
7:37	ბაბიაშვილი 3ქ (61:54)
7:14	ლონდარიძე 2ქ (61:56)
6:57	ბაბიაშვილი 2ქ (63:56)
4:44	ბაბიაშვილი 2ქ (65:56)
4:38	მ. ბერიშვილი 1ქ (65:57)
4:02	ბაბიაშვილი 1ქ (66:57)
3:13	მ. ბერიშვილი V ფოლი
3:13	ტულუში 1+1 (ააცილა)
2:19	ბაბიაშვილი 3ქ (69:57)
1:57	კორკოტაძე 3ქ (69:60)
1:29	კორკოტაძე 3ქ (69:63)
1:18	ბაბიაშვილი 2ქ (71:63)
0:53	ლონდარიძე 2ქ (71:65)
0:44	ჩიტაშვილი V ფოლი
0:44	ბაბიაშვილი 1ქ (72:65)
0:36	ფანჩულიძე 3ქ (72:68)
0:30	ბოისა 1ქ (73:68)
0:20	ფანჩულიძე 3ქ (73:71)
0:09	ბოისა 1+1 (ააცილა)
0:09	საყვარელიძე მოხსნა
0:03	ტულუში 1+1 (75:71)

გვერდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა

კომენტარი
ზვიად ბაბიაშვილი
(არმია)

- მოხარული ვარ, რომ დღეს გულშემატკივარმა ლამაზი თამაში იხილა. დაძაბული ორთაბრძოლა იყო, სწორედ ისეთი, როგორიც ფინალს შეშვენის - არავინ არაფერს თმობს. რაც შეეხება ჩემს თამაშს, ვერაფერს ვიტყვი გარდა ერთისა - დღეს „არმიამ“ გუნდური თამაშის წყალობით მოიგო.

კომენტარი
ნუგზარ ჭეიშვილი
(თსუ-ს მწვრთნელი):

- ჩვენს ხელთ არსებული რესურსით მაქსიმუმი გავაკეთეთ. საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეულ გუნდს ბოლომდე ვებრძოლეთ და გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებამდე გაურკვეველი იყო. გადამწყვეტ მომენტში ფორტუნამ „არმიის“ მხარე დაიჭირა. ხვალ უფრო რთული ბრძოლა გველის. დარწმუნებული ვარ, ეს სერია 3:0 არ დასრულდება.

20 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

არმია-თსუ 75:71

16:19, 21:8, 17:22, 21:22

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი

არმია	წთ	2-ქულიანი			3-ქულიანი			საჯარიმო			მოხსნა			პ	ჯ	შ	ჩ	დ	ქ
		ჩ	ნ	%	ჩ	ნ	%	ჩ	ნ	%	მ	ს	ჯ						
4. გივი ბაქრაძე	04:36	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	0
5 ზვიად ბაბიაშვილი *	28:43	7	12	58.3	2	2	100	2	7	28.6	1	4	5	1	3	0	0	1	22
6 ანატოლი ბოისა *	23:24	0	3	0	1	4	25	1	4	25	2	4	6	2	2	4	1	1	4
10 კოტე ტულუში *	39:31	1	4	25	2	5	40	5	8	62.5	1	5	6	6	3	3	2	0	13
11 გიორგი პირველაშვილი	07:17	1	2	50	0	1	0	0	0	0	2	0	2	1	1	1	1	0	2
13 რევაზ ათანელიშვილი	12:15	4	8	50	0	0	0	2	4	50	2	5	7	0	3	1	0	2	10
21 დავით საყვარელიძე	25:25	1	5	20	0	0	0	1	2	50	2	10	12	5	4	5	2	0	3
23 გიორგი შარაბიძე *	31:08	7	15	46.7	0	0	0	5	6	83.3	9	4	13	1	4	3	1	2	19
24 ბუბა ბერიშვილი *	27:41	1	4	25	0	2	0	0	0	0	0	2	2	1	4	1	4	1	2
გუნდი												3	3	6	0	1	0	0	0
ჯამი		22	54	40.74	5	14	35.71	16	31	51.61	22	37	59	18	25	18	12	7	75

შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს

თსუ	წთ	2-ქულიანი			3-ქულიანი			საჯარიმო			მოხსნა			პ	ჯ	შ	ჩ	დ	ქ
		ჩ	ნ	%	ჩ	ნ	%	ჩ	ნ	%	მ	ს	ჯ						
5 მიხეილ ფანჩულიძე	21:46	1	3	33.3	3	10	30	0	0	0	0	3	3	1	3	1	1	0	11
6 გიორგი ბაფრინდაშვილი *	33:40	1	3	33.3	0	3	0	1	2	50	3	1	4	3	2	5	1	0	3
7 გიორგი მარხვაშვილი *	15:41	0	4	0	1	2	50	0	0	0	0	2	2	1	0	1	0	0	3
8 შალვა კოხრეიძე	05:38	0	1	0	0	0	0	0	0	0	2	2	4	2	4	1	0	0	0
9 ილია ლონდარიძე *	33:20	6	13	46.2	0	0	0	4	6	66.7	4	6	10	0	3	1	3	2	16
10 ზურაბ კორკოტაძე	07:14	0	2	0	2	5	40	0	0	0	0	1	1	0	0	0	1	0	6
11 მიხეილ ჩიტაშვილი	21:46	1	4	25	0	2	0	0	0	0	3	4	7	4	5	2	4	0	2
13 რიჩარდ მათიაშვილი *	28:05	5	13	38.5	0	2	0	2	4	50	2	3	5	2	2	2	2	0	12
15 მიხეილ ბერიშვილი *	32:50	4	7	57.1	0	6	0	10	11	90.9	4	0	4	0	5	1	0	3	18
გუნდი											5	2	7	0	0	0	0	0	
ჯამი		18	50	36.00	6	30	20.00	17	23	73.91	23	24	47	13	24	14	12	5	71

შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა

ქართული სპორტი

● ჭიდაობა

კიდევ სამი მედალი

ახალგაზრდა ქართველმა ბერძენ-რომაელებმა გუშინ თავიანთ მონაგარს კიდევ სამი მედალი შემატეს ერევანში დასრულებულ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლევონ ჯულფალაკიანის** სახელობის თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში. ამჯერად ჩვენებს ოქრო არ მოუპოვებიათ, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო ირგუნეს. ვიცე-ჩემპიონი **ამირან შავაძე** (55) გახდა, **როინ ძირკვაძემ** (66) და **ილია კანდელაკმა** (84) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ გუშინ გამართული ოთხი წონითი კატეგორიიდან ერთში მონაწილე არ გვყავდა. შეგახსენებთ აგრეთვე ჩვენებურთა გუშინწინდელ მონაგარს - 5 ჯილდო, რომელთაგანაც 2-2 ოქრო-ბრინჯაოა და 1 ვერცხლი. ჩემპიონები **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60) და **იაკობ ქაჯაია** (96) გახდნენ, **ირაკლი ქაჯაია** (96) მეორეზე გავიდა, **ფირუზ წულუკიძე** და **დავით თურქიშვილი** (ორივე - 60) - მესამეზე.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა. სომხეთის ტურნირი.

ისტორიული წარმატება

სომხურ ეჩმიაძინში, მშვილდოსანთა ევროპის ახალგაზრდული თასის რიგით პირველ ეტაპზე გუშინ ჩვენებმა ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს - ჭაბუკთა ასაკში შერეულ წყვილებში **ირაკლი ქვლივიძე** და **თეონა კუტალაძე** ფინალში გავიდნენ, რაც ქართული მშვილდოსნობისთვის ამ დისტანციაზე პირველი მიღწევაა.

ჩვენებურები საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ პირველ ადგილზე იყვნენ, პლეი ოფში კი სამი შეხვედრა მოიგეს - **როზა** და **ლევონ გრიგორიანების** მასპინძლურ დუეტს 132:122 აჯობეს, **ლუკას დანიელისა** და **მადისონ შეპერსის** ფრანგული წყვილი 141:139 დაამარცხეს, ნახევარფინალში კი გერმანელებთან, **მაქსიმილიან ვერკმიულერთან** და **კატარინა ბაიერთან** 145:143 იმარჯვეს. ფინალი დღეს გაიმართება, ჩვენები კი უკრაინელებს, **ოლეგ ომელჩენკოსა** და **ანასტასია პავლოვას** შეხვდებიან.

გუშინვე ბიჭების ნაკრებმა (შეგახსენებთ, რომ ჩვენგან იქ მხოლოდ ჭაბუკები გამოდიან) გუნდურ ტურნირშიც იასპარეზა. თორნიკე რიჟამაძის, ქვლივიძისა და ლაშა ფხაკაძისგან შემდგარი ქართული სამეული პლეი ოფის პირველ წრეში მასპინძლებს ხვდებოდა და დიდი სხვაობითაც დაამარცხა - 211:177. მეორე წრეში ჩვენებურთა მეტოქე სომხეთზე ბევრად ძლიერი სლოვენია იყო, თუმცა ჩვენებმა მათთან მაინც მედგრად იომეს და მხოლოდ ორი ქულით დათმეს შეხვედრა - 210:212.

ირაკლი თავაძე

● უნივერსიადა 2011

სტუ ლიდერობს

თხუთმეტი უმაღლესი სასწავლებლის გუნდები მონაწილეობდნენ გუშინ „უნივერსიადა 2011"-ის პროგრამით გამართულ ქუჩის კალათბურთში. ქვეჯგუფებში ჩატარებული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში აგრარულმა უნივერსიტეტმა დამატებით დროში თსუ-ს აჯობა 11:9. ასეთივე ანგარიშით სტუ-მ სამედიცინო უნივერსიტეტი დაამარცხა. ტექნიკოსებმა ფინალშიც იყოჩაღეს — აგრარულ უნივერსიტეტს 12:4 მოუგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი თსუ-ს მძლეველ (16:10) მედიკოსებს ხვდათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 10 სახეობის შემდეგ 24 მედლით (9 ოქრო, 9 ვერცხლი, 6 ბრინჯაო) სტუ ლიდერობს. 17-17 მედლით მეორე-მესამე ადგილებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა (6, 6, 5) და აგრარული უნივერსიტეტის (5, 5, 7) სპორტსმენები იყოფენ.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

სწრაფშიც სტუმარი...

თბილისში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობამ ქუთაისში გადაინაცვლა. იქ გუშინ დაიწყო და დღეს დამთავრდება კონტინენტის პირველობა სწრაფ ჭადრაკში (თითოეული პარტიისთვის 15 წუთი ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით), რომელიც ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **მაია ჩიბურდანიძის** 50 წლისთავს ეძღვნება.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ჩატარდება (საპრიზო თანხაა 10400 ევრო), სხვადასხვა ქვეყნის 74 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის - 29 დიდოსტატი. გუშინ ექვსი ტური დამთავრდა. 5,5 ქულით პირველ ადგილზეა **ჰოანგ თან ჩანგი** (უნგრეთი). ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **მაკა ფურცელაძე, სალომე მელია, ნანა ძაგნიძე** და **ინგა ჭარხალაშვილი** (ყველა — საქართველო). რუს დებს — **ნადეჟდა** და **ტატიანა კოსინცევებს, ლილით მკრტიჩიანსა** (სომხეთი) და **ნატალია ჟუკოვას** (უკრაინა) 4,5:4,5 ქულა აქვთ.

დღეს დასკვნითი ხუთი ტური გაიმართება.

ვაჟა დანელია

● სინქრონული ცურვა

ქრისტინემ ლუქსემბურგის თასი მოიგო

მეოცედ გაიმართა ლუქსემბურგში სინქრონულად მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მოასპარეზეთა შორის იყო 15 წლის **ქრისტინე ბოჭორიშვილი**. იგი ცნობილი ქართველი სინქრონისტის, ჯგუფურ ვარჯიშსა და დუეტში (**ტატიანა გუტიაკულოვასთან** ერთად) საქართველოს ნაკრების წევრის — **ნინო ლომოურის** ქალიშვილია. ქალატონი ნინო დიდი ხანია, სალონიკიში ცხოვრობს და იქაურ კლუბში **მწვრთნელად** მუშაობს, ქალიშვილსაც თავად ავარჯიშებს. ქრისტინემ თანატოლთა შორის რამდენიმე ტურნირში ისახელა თავი. რამდენიმე დღის წინათ კი სოლოში ლუქსემბურგის თასი მოიგო. 1993 წელსა და უფრო გვიან დაბადებულთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში 48 სპორტსმენი ჩაება. ფიგურებში ჩვენებურმა 33,3800 ქულით მესამე ადგილი დაიკავა (33, 5680 ქულით პირველი იყო **ისა ვანდერ-მიულენი**, მეორე — 33,3820 ქულით — **ნატაშა დე მიულინი**) და ფინალში გავიდა, სადაც 22 მეტოქესთან მოუწია პაექრობა. თავისუფალ ვარჯიშში ქართველმა სპორტსმენმა 37,6125 ქულა მოაგროვა. საბოლოოდ კი 71,1925 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე-მესამე ადგილები **ელენი ნიერინკმა** (68,4820) და ისა ვანდერ-მიულენმა (68,3505) გაინაწილეს.

ქრისტინე ბოჭორიშვილი წლეულს 29 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ბელგრადში (სერბეთი) 1992-1995 წლებში დაბადებულთა ევროპის პირველობაზე იასპარეზებს. მართალია, ორი-სამი წლით უფროსებს დაუპირისპირდება, მაგრამ, იმედია, იქაც გვასახელებს.

ვაჟა დანელია

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წელი. კორტინა დამპეცო იტალია ზამთრის VII ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი

● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

პირველი ჩვენამდე მოღწეული ევროპის უძველესი მოსაწვევი ბარათი (დოღზე მიპატიჟება), რომელიც გერმანიაშია დაბეჭდილი 1511 წლის დეკემბრითაა დათარიღებული.

■ ■ ■

პირველმა განუწყვეტლივ 300-ზე მეტ საფეხბურთო მატჩში ითამაშა იტალიელმა **დინო ძოფიმ**. იგი 302 შეხვედრაში იდგა შეუცვლელად კარში.

■ ■ ■

პირველად საერთაშორისო მატჩი რაგბიში ჩატარდა 1871 წელს. შოტლანდიის ნაკრებმა 1:0 მოუგო ინგლისის ეროვნულ გუნდს.

● ვიქტორინა.

1. რაგბიში მსოფლიოს თასის პირველი გათამაშების ფინალი მოიგო ახალმა ზელანდიამ, ვის აჯობა თასისთვის ბრძოლაში?

ა – უელსს
ბ – ავსტრალიას
გ – საფრანგეთს

2. რომელი წლის ზაფხულის თამაშებზე აანთეს პირველად ოლიმპიური ცეცხლი?

ა – 1924 წელს
ბ – 1928 წელს
გ – 1932 წელს

3. სად ჩატარდა ზაფხულის XX ოლიმპიური თამაშები?

ა – მონრეალში
ბ – მეხიკოში
გ – მიუნხენში

4. რომელ წელს გაიტანა პირველმა ერთ სეზონში გრიგორი ფედოტოვმა 100 გოლი?

ა – 1948 წელს
ბ – 1950 წელს
გ – 1952 წელს

5. რომელ წელს ჩატარდა ძიუდოში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი?

ა – 1954 წელს
ბ – 1956 წელს
გ – 1962 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ

● თარიღი. 21 - 27 მაისი

21. 1904 წ. შეიქმნა ფიფა.

22. 1892 წ. სტოკჰოლმში ჩატარდა პირველი საფეხბურთო შეხვედრა. ეს დღე შვეიციის ფეხბურთის დაბადების დღედ ითვლება.

23. 1988 წ. საფრანგეთის ქალაქ ნანსში საფეხბურთო ფესტივალზე გაიმართა **მიშელ პლატინის** გამოსათხოვარი მატჩი.

24. 1964 წ. ქ. ლიმაში (პერუ) ოლიმპიური თამაშების შესარჩევი მატჩის დროს მომხდარი ტრაგედიისას დაიღუპა 328 ადამიანი.

25. 1901 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „რივერ პლეიტი" (ბუენოს-აირესი, არგენტინა).

26. 1928 წ. ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების შესახებ.

27. 1934 წ. საბჭოთა კავშირში დანესდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

27. 1908 წ. ბრიუსელში დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ანდერლეხტი".

● ღვთისავარ ანთაძის კუბოზე

ფეხბურთი ახლო ხედით

11-მეტრიანები გამარჯვებულის გამოსავლენად

ისეთ მატჩებში, სადაც გამარჯვებული აუცილებლად უნდა გამოვლინდეს, ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ ინიშნება პენალტების სერია.

მატჩის შემდგომი პენალტები არ ითვლება მატჩის ნანილად და არ ინერება მატჩის ოქმში გოლის ავტორთა გვარები. მსაჯს შეუძლია პენალტების სერიის დროს გამოიყენოს დისციპლინარული სანქციები.

თავდაპირველად, მსაჯი ირჩევს კარს, რომელშიც შესრულდება პენალტების სერია. შემდეგ ატარებს კენჭისყრას და არკვევს, რომელი გუნდი შეასრულებს პირველ დარტყმას. პენალტების დამრტყმელთა ვინაობას არჩევს მხოლოდ მონაწილე გუნდი, ოღონდ შერჩევა უნდა მოხდეს მოედანზე მყოფთაგან. თუკი პენალტის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს, პენალტების სერიაში დამატების უფლება არ არსებობს.

პენალტების სერიის დროს არ შეიძლება მოთამაშის შეცვლა, ოღონდ ეს არ ეხება მეკარეს, თუკი მან მიიღო ტრავმა და შეცვლების ლიმიტი ამოწურული არ არის. ასევე, შესაძლებელია მეკარის ფუნქციები სხვა მოთამაშემ შეასრულოს.

თუკი გუნდები არათანაბარ მდგომარეობაში არიან (გაძევებული ფეხბურთელი), ფიფას უახლოესი ნესების თანახმად, იგი ვალდებულია მოთამაშეთა რაოდენობით გაუთანაბრდეს მეტოქეს. პენალტების სერიების დროს მწვრთნელები უნდა იყვნენ ჩვეულებრივ სათადარიგოთა სკამზე, ფეხბურთელები კი მოედნის ცენტრში.

● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									5-1	7	I
B									3-2	5	II
C									1-3	4	III
D									1-4	0	IV

წინა ამოცანის პასუხი

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		4:0	0:0	1:0	3	2	1	0	5-0	7	I
B	0:4		2:0	1:0	3	2	0	1	3-4	6	II
C	0:0	0:2		1:1	3	0	2	1	1-3	2	III
D	0:1	0:1	1:1		3	0	1	2	1-3	1	IV

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის** პროექტით

კროსვორდი



თარაზულად: 1. ის, ვისაც გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს; 8. "ალანიას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი; 9. ლადო ბურდულის ყოფილი უკრაინული საფეხბ. კლუბი; 10. საფრანგეთის საფეხბურ. ნაკრების ყოფილი მეკარე; 11. საბჭ. საფეხბ. ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი; 13. ყაზახეთის საფეხბ. კლუბი; 15. პორტუგალიის საფეხბ. კლუბი; 18. საბჭოთა ჰოკეისტი; 19. კანადელი ჰოკეისტი; 21. საქართველოს საფეხბ. ნაკრების ყოფილი მცველი; 22. ბილიკი სამკურნალო სიარულისათვის; 23. ყატარის საფეხბ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 25. გერმანიის საფეხბ. ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი; 28. "ბოკა ხუნიორსის" ყოფილი კაპიტანი; 30. გასულ საუკუნეში ურუგვაელი და იტალიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 31. ვეტერანი ტანმოვარჯიშე ქალი ... სალაძე; 32. თ\სტილით ამერიკელი მოჭიდავე.

შვეულად: 1. კალათბურთში წესის დარღვევა; 2. მოსკოვის "ცსკა-"ს ბრაზილიელი თავდამსხმელი; 3. "რომას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი; 4. "იუვენტუსის" ყოფილი მეკარე; 5. მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი; 6. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი; 7. ბელგრადის საფეხბ. კლუბი "ცრვენა ..."; 10. ზამთრის სპორტის სახეობა; 12. ბელგიელი ყოფილი პირველი ჩოგანი; 14. ლეგენდარული ჰოლონელი მეკარე; 15. "მანჩესტერის" და ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი; 16. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 17. ფეხბურთი, ნოდარ ... ; 20. "ბილანის" ყოფილი კაპიტანი; 24. ბრაზილიის "სანტოსის" ნახევარმცველი; 25. "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი; 27. განელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი; 29. კორეული წარმოშობის "ფახთაკორის" ყოფილი ფეხბურთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

ლიგამუსი და ივერია დაწინაურდნენ

დასასრულს უახლოვდება წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც წლეულს ოთხი გუნდი მონაწილეობს. გუშინ „ოლიმპიკის" აუზში ორი შეხვედრა გაიმართა. ოქროს მედლებისთვის პირველ ფინალურ მატჩში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსი" „თბილისს" დაუპირისპირდა. ამ გუნდების ჯგუფური ტურნირის პაექრობაში ილიაუნელებმა 15:11 გაიმარჯვეს.

ფინალში ოქროს და ბრინჯაოს მედლებისთვის ორ-ორი ორთაბრძოლაა დაგეგმილი. პირველი მატჩები, როგორც ალვნიშნეთ,სს გუშინ ჩატარდა. თბილისელები რევანშის წყურვილით გავიდნენ სარბიელზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოეცარათ ხელი — ისევ „ლიგამუსმა" იმარჯვა 17:13. აქვე შევნიშნავთ, რომ ორივე გუნდი საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. გუშინდელი ნაგებით „თბილისს" ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავს, თუმცა მისი მდგომარეობა გაცილებით რთულია, რადგან განმეორებით შეხვედრაში „ლიგამუსს" ფრე და სამი ბურთით ნაგებაც ხელს აძლევს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად.

„ლიგამუსი"-„თბილისი" 17:13

„ლიგამუსი": სტრუიჩი, ბაქრაძე, შენგელია, პოპოვიჩი, კორდიჩი, ხვედელიანი, ტაბატაძე, რუსიშვილი, რურუა, გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი, ჭუმბურიძე, მანძულაშვილი,

„თბილისი": ნამორაძე, ქენქაძე, ყავლაშვილი, ჩომახაშვილი, ლაითაძე, ბაბუნაშვილი, მანძულაშვილი, ბალათურია, ქავთარაძე, ჩერქეზიშვილი, გოგავა.

ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები — „ივერია" და „ზვიგენები" ბრინჯაოსთვის იბრძვიან. „ივერია" უმთავრესად 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული, „ზვიგენებმა" კი ვეტერანები შემოიკრიბა. გუშინდელ დაძაბულ დაპირისპირებაში ახალგაზრდებმა 10:5 სძლიეს მეტოქეს და კვარცხლბეკის მესამე საფეხურისკენ ნაბიჯი გადადგეს.

„ივერია"-„ზვიგენები" 10:5

„ივერია": ფავლენიშვილი, ბულაძე, დავითური, ცანკაშვილი, სხილაძე, ქართველიშვილი, გელაშვილი, ურუშაძე, სულაძე, ქარჩილაძე, პეიტრიშვილი, გოჩიტაშვილი.

„ზვიგენები": ჩიხლაძე, ალხაზოვი, ქერქაძე, თორდია, ბერიშვილი, ჟღენტი, კანდელაკი, ბროლაძე, ჩხეიძე, ალიბეგაშვილი, გიორგაძე, კინწურაშვილი, მაჭავარიანი.

„ოლიმპიკის" აუზში დღეს განმეორებითი შეხვედრები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ფრენბურთი

მესამე მეტოქე ვერ დაძლიეს

პალჟბურთის ქართული წყვილები საქა-რთველო და გეორ-გია მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპს ერთდროულად გამოეთიშნენ. საქა-რთველომ, რომელიც პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში ასპარეზობდა, შეჯიბრების მეორე დღეს კანადურ დუეტ ლიზარდი-მარტინთან წააგო სამ სეტში - 21:14, 12:21, 13:15. შედეგად ჩვენი ფრენბურთელები 22 ადგილს დასჯერდნენ და 120 სარეიტინგო ქულა ირგუნეს.

გეორ-გიას მორიგი მეტოქე ჩეხეთის დედაქალაქ პრალაში იტალიელი ძმები **ინგროსოები** იყვნენ. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველი სეტი 21:19 მოიგეს, მაგრამ მერე მეტოქეზე ოდნავ უყურადღებოდ გაისარჯნენ და ზედიზედ ორი სეტი წააგეს - 17:21, 11:15.

გეორ-გიამ, საქა-რთველოს მსგავსად 22-ე ადგილი დაიკავა და რეიტინგს 120 ქულა შემატა. მსოფლიო ტურის მომდევნო ეტაპი 6-11 ივნისს პეკინში გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

ლეგიონერები

თედო ზიბზიბაძე

გადამწყვეტ ბრძოლაში ხუთი ჩაებმება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გათამაშება სხვადასხვა დივიზიონში დასასრულს უახლოვდება. ელიტურ, პირველ დივიზიონში ამ უქმეებზე შესვენებაა და ნახევარფინალური შეხვედრები ერთი კვირის თავზე გაიმართება. აქ ჩემპიონობისთვის ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი „კლერმონი" და „მონპელიე" იბრძვის.

ფედერალ 1 დივიზიონში კი, დღეს ელიტურ, მეორე დივიზიონში გადასასვლელ მეოთხედფინალში სამი „ქართული გუნდი" ითამაშებს. **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი" სტუმრად ეთამაშება „ლიმოჟს", რომელიც შეჯიბრების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. ლიმოჟელებმა მერვედფინალში ორი მატჩის ჯამში დავით კაჭარავას „ნიცა" დაამარცხეს.

პარიზელებმა კი, რომელთა თავკაციც საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძეა,** გათამაშებას „ლანამეზანი" გამოთიშეს. „მასის", რომელიც ზედიზედ მეოთხე წელიწადია ელიტაში დაწინაურებას ცდილობს, უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევს. განმეორებითი შეხვედრა მასიში ერთი კვირის შემდეგ გაიმართება.

ამ წყვილში გამარჯვებულის მეტოქე ნახევარფინალში **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძის, დავით დადუნაშვილის** „პერიგოსა" და „ბობინის" შორის უკეთესი იქნება. ჩვენებურთა გუნდი პირველ შეხვედრას სტუმრად გამართავს.

პერიგოელებმა მერვედფინალში დამაჯერებლად სძლია საკმაოდ ძლიერ „ლავორს" (32:12, 56:10), რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ამბიციების საფუძვლიანობა. „ლავორთან" შეხვედრებში არ უთამაშია საქართველოს ნაკრების შუამარბ **თედო ზიბზიბაძეს,** რომელსაც მიკრო ტრავმა ჰქონდა და გუნდის მწვრთნელმა მისი დასვენება არჩიეს. „ბობინისთან" მატჩში, სავარაუდოდ, ის ძირითად შემადგენლობაში იქნება.

პერიგოელთა მეტოქემ, მერვედფინალში ორი მატჩის ჯამში „ლილი დაამარცხა.

ლაშა მალაღურაძისა და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიე" მეოთხედფინალის პირველ მატჩს სტუმრად გამართავს „ბურგ ან ბრესთან". ლანგედოკელთა გუნდი, რომელიც საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანია, მეორე წელიწადია, ელიტურ, მეორე დივიზიონში დაბრუნებას ცდილობს.

„ბეზიეს" ხელმძღვანელებმა საამისოდ ლეგენდარული ახალზელანდიელი მგეზავი **ენდრიუ მერთენსიც** კი მიიწვიეს, თუმცა მან ქართველი მორაგბის, ლაშა მალაღურაძის კონკურენციას ვერ გაუძლო და ბოლო რამდენიმე თამაშია, სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

ჩვენებურთა გუნდმა მერვედფინალში ორი მატჩის ჯამში „მარმანდი" დაამარცა (25:22, 19:13). ქულების ნახევარზე მეტი გუნდს სწორედ მალაღურაძემ მოუტანა. ლანგედოკელთა ამჟამინდელმა მეტოქემ გათამაშებას „კასტანე" გამოთიშა.

გამარჯვების შემთხვევაში „ბეზიეს" მეტოქე „ტიროსსა" და „ვანს" შორის მოგებული იქნება. შეგახსენებთ, რომ ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს ფინალში გასული ორი გუნდი მიიღებს.

ფედერალ 1

მეოთხედფინალი

ლიმოჟი-მასი, ბობინი-პერიგო, ბურგ ან ბრესი-ბეზიე, ვანი-ტიროსი

ესპუართა, ანუ სათადარიგო გუნდების შეჯიბრებაში კი დღეს „ქართული ფინალი" გაიმართება. **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი", რომელიც რეგულარული გათამაშების გამარჯვებულია, **ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონს" დაუპირისპირდება.

მიქაუტაძე და ჩილაჩავა ფინალში ვერ ითამაშებენ, რადგან საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში არიან გამოძახებული „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" სასპარეზოდ.

ესპუარები

ფინალი

ტულონი-კლერმონი

ბესიკ ჯანგავაძე

ზე რაგბი

დიდი ზეიმი და მწუხარება ოქლენდში

ზე რაგბის გათამაშების მე-14 ტური ცენტრალური შეხვედრით გაიხსნა, რომელშიც B ჯგუფის ლიდერმა ოქლენდის „ბლუზმა" C ჯგუფის ლიდერ კეიპთაუნის „სტორმერზს" უმასპინძლა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა და დრამატული სცენარით განვითარდა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში მეტოქეს ყველაფერში აჯობეს და 16-ქულიანი სხვაობით მოუგეს - 19:3.

კეიპთაუნელებს ასეთი ცუდი პირველი ტაიმი წლეულს ჯერ არ უთამაშია, თუმცა მეორე ნახევარში ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა. სტუმრებმა მატჩის 71-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს - 26:21. შეხვედრის ბოლო წუთზე კი, გამარჯვების ლელო მესამეხაზელმა **სხალკ ბურხერმა** გაიტანა, შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლიონელ ნდუვენაგემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა და სტორმერზელებმა მორიგი, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს - 28:26.

„სტორმერზი" მომდევნო ტურში კანბერაში „ბარამბიზს" ეთამაშება, რომელიც A ჯგუფში მეოთხე ადგილზეა და უმოტივაციოდაა დარჩენილი.

A ჯგუფის ლიდერი ბრისბენის „რედსი" ამ ტურში ისვენებს, მეორე ადგილოსანი სიდნეის „ვორათაზი" კი შინ ეთამაშება D ჯგუფის აუტსაიდერ იოჰანესბურგის „ლაიონზს". წესით, სიდნეელებმა იოლად უნდა მოიგონ, თანაც ერთი საპრემიო ქულაც მიითვალონ, მაგრამ „ლაიონზმა" წინა ტურში კანბერაში სენსაცია გამოჭედა, მოულოდნელად მასპინძელი „ბრამბიზი" დაამარცხა, რაც მიმდინარე გათამაშებაში იოჰანესბურგელთა მეორე გამარჯვებაა.

ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა „ლომები" სიდნეიშიც გაიმეორონ გმირობა, თუმცა ფაქტია, რომ ამ გუნდების ბოლო ცხრა შეხვედრაში ცხრავეჯერ „ვორათაზმა" გაიმარჯვა.

სიდნეელები, როგორც უკვე ვთქვით, A ჯგუფშის მეორე ადგილზე არიან და კარგი შანს აქვთ პლეი ოფში გააღწიონ. „ლაიონზთან" მარცხმა კი შესაძლოა მდგომარეობა საგრძნობლად გაურთულოს.

ზე რაგბის შარშანდელი გამარჯვებული, პრეტორიის „ბლუ ბულზი" სტუმრად ეთამაშება C ჯგუფის მეორეადგილოსან დურბანის „ნატალ შარქსს". „ლურჯი ხარები" მასპინძელთა გუნდს შვიდი ქულით ჩამორჩებიან და იმისთვის, რომ პლეი ოფში თამაშის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლა განაგრძონ, აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი შანსია, ჩემპიონები პლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

ცხადია, საბრძოლველად არიან განწყობილნი დურბანელებიც, რომლებიც ბოლო წლებია „ბლუ ბულზთან" მუდამ აგებენ და ახლა ამ ნეგატიური ტრადიციის დარღვევას ეცდებიან.

პრეტორიელთა ცხრა ნომერმა **ფური დუ პრიმ** ამ შეხვედრას ფინალის ტოლფასი უწოდა, რაც რეალურად შეესაბამება შექმნილ მდგომარეობას. ფაქტობრივად, ასეა, ვინც მოიგებს პლეი ოფშია.

ნაპირიში ახალზელანდიური დერბი გაიმართება, სადაც ზე რაგბის შვიდგზის ჩემპიონი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი", რომელიც B ჯგუფში მეორე ადგილზეა, მეოთხეადგილოსან ჰემილტონის „ჩიფსს" მასპინძლობს. „ჯვაროსნებმა" წინა ტურში სენსაციურად წააგეს შინ ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან" და ყველაფერს იღონებენ, ეს სირცხვილი გაცილებით ძლიერ და ტრადიციულ მეტოქესთან გამარჯვებით რომ ჩამოირეცხონ.

„კრუსეიდერზის" ბანაკში საბრძოლოსთან ერთად, სახალისო განწყობაცაა, რადგან ახლახან გუნდის ლიდერმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მგეზავმა, დენ კარტერმა კონტრაქტი 2015 წლამდე გაახანგრძლივა. ამას კიდევ ერთი ლეგენდარული მორაგბის, **რიჩი მაკქოუს** კომენტარი მოჰყვა, რომელიც ქომაგებს გუნდთან კონტრაქტის გაფორმებას მომავალ კვირაში დაჰპირდა. ორივე მორაგბე „ჩიფსთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნება.

XIV ტური

ვორათაზი-ლაიონზი, ფორსი-ბრამბიზი

სატურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 50 ქულა, 2. ვორათაზი - 40, 3. ფორსი - 25, 4. ბრამბიზი - 22, 5. მელბურნ რებლზი - 19.

B ჯგუფი

ბლუზი-სტორმერზი 26:28, კრუსეიდერზი-ჩიფსი

სატურნირო მდგომარეობა

1. ბლუზი - 50 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 44, 3. ჰაილენდერზი - 39, 4. ჩიფსი - 29, 5. ჰარიკენზი - 25.

C ჯგუფი

ჩიტაზი-მელბურნ რებლზი, ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი

სატურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 48 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 43, 3. ბლუ ბულზი - 36, 4. ჩიტაზი - 29, 5. ლაიონზი - 19.

ბესიკ ჯანგავაძე

ბლუზი-სტორმერზი

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

დერეკ უილიამსი

ვინ იქნება ახალი ლებრონი?

როგორც უკვე ვწერდით, წლევანდელ დრაფტზე პირველ ნომრად არჩევის უფლება „კლივლენდ კავალიერზმა“ მიიღო. კლუბმა დრაფტის ლატარია ხუთშაბათს მოიგო და პრესამ და მთლიანად საკალათბურთო სამყარომ უკვე დაიწყო ბჭობა იმაზე, თუ რომელ კალათბურთელზე გააკეთებს არჩევანს „კლივლენდის“ ხელმძღვანელობა. „კავალერებს“ 2003 წელსაც ჰქონდათ ანალოგიური უფლება და მაშინ დრაფტის პირველი ნომერი **ლებრონ ჯეიმსი** *გახდა.*

ერთ-ერთი პოტენციური „ლებრონ ჯეიმსი“ შეიძლება გახდეს „არიზონას“ ფორვარდი **დერიკ უილიამსი**. *ყოველ შემთხვევაში, კალათბურთელი ამ აზრს სრულად იზიარებს.*

„ვფიქრობ, სწორედ მე გავხდები დრაფტის პირველი ნომერი, რადგან NCAA-ის ყველაზე ვარსკვლავური მოთამაშე ვარ. ამიტომაც „კლივლენდში“ ვითამაშებ. მიმაჩნია, რომ შევძლებ ლებრონის შეცვლას. „კავალიერზს“ სწორედ ისეთი კალათბურთელი აკლია, როგორიც მე ვარ“, - განაცხადა დერიკ უილიამსმა.

■ ■ ■

რაც შეეხება ნამდვილ ლებრონ ჯეიმსს, მას შეუძლია კომპანია „ნაიკს“ უდიდესი ფინანსური მოგება მოუტანოს. კერძოდ, თუ წელს „მაიამი ჰიტის“ ლიდერი კარიერაში პირველ ტიტულს მოიგებს, ამერიკული კომპანია ჩინეთში საკუთარი ატრიბუტიკის რეალიზაციით 4 მილიარდი დოლარის მოგებას ნახავს.

NBA-ის ერთ-ერთ უპირველეს ვარსკვლავს უკვე აქვს MVP-ის ორი ტიტული და ოლიმპიადის ოქროს მედალი. NBA-ის ჩემპიონის წოდება კი ლებრონს ამ რეგიონში პოპულარობით **მაიკლ ჯორდანსა** *და* **კობი ბრაიანტს** *გაუთანაბრებს.*

„ჩინელ ახალგაზრდებს ძალიან უყვართ ლებრონი, მაგრამ აქ მისი პოპულარობა რამდენამდე შეზღუდულია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ჯეიმსს ჯერაც არ მოუპოვებია NBA-ის ჩემპიონის ტიტული“, - ამბობს **ტერი როუდსი**, *რომელიც რვა წელი მუშაობდა შანხაიში „ნაიკის“ მარკეტინგული სამსახურის დირექტორად.*

● ველოსპორტი

არმსტრონგს არ ასვენებენ

ამერიკელმა ველომრბოლმა **ტაილერ ჰემილტონმა**, *რომელიც დოპინგის გამოყენებისთვის რვა წლით არის დისკვალიფიცირებული, განაცხადა, რომ საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ მიიღო 1999 წლის ტურ დე ფრანსის დროს დოპინგი მისმა მაშინდელმა თანაგუნდელმა* **ლენს არმსტრონგმა**.

ჰემილტონის სიტყვებით (მაშინ ის და ლენსი ერთად გამოდიოდნენ ამერიკულ გუნდ U.S. Postal-ში), მან არმსტრონგის მაცივარში ნახა საქვეყნოდ ცნობილი სისხლის დოპინგი - EPO, აგრეთვე თვალს ადევნებდა, როგორ იკეთებდა ლეგენდარული ლენსი ინიექციებს.

„არმსტრონგი სხვა ველომრბოლებისგან არაფრით განსხვავდება. დამიჯერეთ, ის იმავე პრეპარატებს იღებდა, რასაც სხვები“, - განაცხადა ჰემილტონმა.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა **ალბერტო კონტადორის** *საქმის განხილვის თარიღი. საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონის წინააღმდეგ ორ საქმეს 6-8 ივნისს განიხილავს.*

ესპანელ ველომრბოლს ორი ორგანიზაცია უჩივის - ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი (UCI) და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA). ეს თარიღი სპეციალურად არის შერჩეული - საქმის განხილვიდან ორი კვირის თავზე ტურ დე ფრანსი დაიწყება და თუ კონტადორს გაამართლებენ, მას ფრანგულ ველომარათონში მონაწილეობის უფლება ექნება.

შეგახსენებთ, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ გადაწყვიტეს გაასაჩივრონ ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა კონტადორის ერთწლიანი დისკვალიფიკაცია.

ერთ დროს ერთად იყვნენ

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

სრულფასოვანი რევანში

„ოკლაჰომამ“ ბოლო მეოთხედში (რომელიც **რასელ უესტბრუკის** გარეშე ჩაიარა) სათადარიგოების ბრწყინვალე თამაშით გამარჯვება გამოსტაცა „დალასს“ მეორე მატჩში და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

მატჩის წინ ორი კანონზომიერება იყო დაფიქსირებული - ერთი მხრივ, 2011 წლის პლეი ოფში „დალასი“ შინ არ აგებდა, ამასთან, „ოკლაჰომას“ წინა არც ერთ სერიაში ზედიზედ ორი მატჩი არ ჰქონდა წაგებული. არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ სერიაში ბევრ რამეს არა გუნდების სუპერვარსკვლავები, არამედ მათი დამხმარეები გადაწყვეტდნენ. პირველმა მატჩმა ეს ჰიპოთეზა მთლიანად დაადასტურა: მაშინ გადამწყვეტი აღმოჩნდა არა **კევინ დურანტისა** (40 ქულა) და **დირკ ნოვიცკის** (48) სნაიპერული გმირობები, არამედ სათადარიგოთა შედეგიანობა (მასპინძლების 53 ქულა სტუმრების 22 ქულის წინააღმდეგ). მეორე მატჩის გადამწყვეტ მომენტში „ოკლაჰომას“ დამრიგებელმა **სკოტ ბრუქსმა** რეზერვისტებზე გააკეთა აქცენტი და გაუმართლა. სათადარიგოების დუელი ისევ დიდი სხვაობით დასრულდა, ოღონდ ამჯერად სტუმრების სასარგებლოდ - 50:29.

პირველ ნახევარში მასპინძლების უპირატესობა 11 ქულას აღწევდა, მაგრამ მეორეში „მავერიქსი“ ხშირად რჩებოდა მდევრის როლში. თუმცა „ოკლაჰომას“ უპირატესობა პირობითი იყო და როგორც წესი, 6 ქულას არ აღემატებოდა. ხოლო **ტაისონ ჩენდლერისა** და **ჯეისონ კიდის** აქტიურობით „დალასმა“ წინ გასვლაც მოახერხა. და სწორედ აქ გამოვიდა სცენაზე **ჯეიმს ჰარდენი**. 76:73-ზე, მესამე მეოთხედის ბოლო ნამზე 21 წლის მცველმა სამქულიანი ჩააგდო და თან მეტოქეს წესი დაარღვევინა, ბოლო მეოთხედში კი 10 ქულა მიითვალა.

NBA-ში გავრცელებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ბოლო მეოთხედის დასაწყისში სასტარტო ხუთეულის წევრებს დასვენების საშუალებას აძლევენ, რათა ლიდერები გადამწყვეტ წუთებს დასვენებული შეხვდნენ. დურანტს თუ არ ჩავთვლით, „ოკლაჰომადან“ მოედანზე მხოლოდ რეზერვისტები იმყოფებოდნენ. ბრუქსი არჩევანის წინაშე დადგა: დაეტოვებინა მოედანზე შესანიშნავ სათამაშო რიტმში მყოფი სათადარიგოები თუ სასტარტოებისთვის მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. ბრუქსმა პირველი ვარიანტი აირჩია. „მემფისთან“ სერიის მეშვიდე მატჩში სამმაგი დუბლის ავტორს უესტბრუკს ბოლო მეოთხედში ერთი წამით არ უთამაშია! და ამის გამო უკმაყოფილება არ გამოუხატავს, პირიქით, სახიდან ღიმილი არ მოშორებია.

მის არყოფნაში შესანიშნავად გაუძღვა გამთამაშებლის ფუნქციებს **მეინორი**. **კუკმა** ორი უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო, **კოლისონი** კი გარკვეული პერიოდი კარგად იჭერდა ნოვიცკის. თუმცა ბოლოსკენ ორი საჯარიმო აიცილა და „დალასს“ შანსი მისცა - „მინუს ექვსი“ საფინალო სირენამდე წუთითა და 19 წამით ადრე. ბოლო წუთზე კი კოლისონმა დირკჯნ მეექვსე პერსონალური მიიღო. გერმანელმა ამ ეპიზოდში ფანდს მიმართა - სამქულიანის შესრულებისას ჰაერში „დაეკიდა“ და სამი საჯარიმო სროლის უფლება მიიღო.

იმ მომენტისთვის „ლეიკერსთან“ სერიის მეორე მატჩიდან მოყოლებული ნოვიცკის ზედიზედ 38 საჯარიმო ჰქონდა ჩაგდებული. ეს სერია 39-ე ტყორცნაზე შეწყდა და ამან ფაქტობრივად მოუსპო „დალასს“ თამაშის გადარჩენის შანსი. სამიდან ორი საჯარიმოს რეალიზაციის შემდეგ ჩამორჩენა არა სამი, არამედ ოთხი ქულა იყო - ეს კი დიდი განსხვავებაა.

ნოვიცკის საჯარიმოების სერიასთან ერთად შეწყდა პლეი ოფში „მავერიქსის“ შვიდმატჩიანი მოგებათა სერია.

ჰარდენი და დურანტი

დასავლეთი

დალასი-ოკლაჰომა	100:106

31:26, 26:33, 19:18, 24:29

დ: ნოვიცკი (29+5 მოხსნა+5 პასი), ჩენდლერი (19+13 მოხსნა), კიდი (13+7 პასი+5 მოხსნა+5 ჩაჭრა), ბარეა (11+4 პასი), მერიონი (9+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (8), ტერი (8), სტივენსონი (5), ჰეივუდი (2), მაინმი.

ო: დურანტი (24+4 პასი), ჰარდენი (23+7 მოხსნა+4 პასი), უესტბრუკი (18+4 პასი), მეინორი (13), კუკი (8), იბაკა (6+6 მოხსნა), კოლისონი (6+7 მოხსნა+2 დაფარება), პერკინსი (4), სეფოლოშა (4+5 მოხსნა), მოჰამედი.

სერია: 1–1

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

დათვები წინ გავიდნენ

სწრაფი გოლის გატანისა და „ტამპასთვის“ საკუთარი თამაშის თავზე მოხვევით „ბოსტონმა“ გასვლითი მატჩის მოგება და სერიაში დაწინაურება მოახერხა.

წინა ორ შეხვედრაში „ბოსტონის“ მეკარემ **ტიმ ტომასმა** ათი შაიბა გაუშვა, რაც არ არის დამახასიათებელი მისთვის და მთლიანად „დათვების“ მცველებისთვის. მართალია, მეორე შეხვედრა „ბრუინზმა“ 6:5 მოიგო, მაგრამ მისი მწვრთნელი **კლოდ ჟულიენი** უკმაყოფილო იყო სერიის მსვლელობით. გუშინ კი ბოსტონელთა დამრიგებელი წესით კმაყოფილი დარჩებოდა შედეგითაც და თამაშის ხასიათითაც.

ანგარიში მეორე წუთზე გაიხსნა, როცა სტუმრებმა გამოიყენეს შვედი **ჰედმანის** შეცდომა - ამ მცველმა რატომღაც უმეთვალყურეოდ დატოვა კარის წინ **კრეისი** და ჩეხმა ლეგიონერმა იოლად გაუტანა **როლოსონს** - 0:1.

„ტამპას“ სიტუაციის გამოსასწორებლად დრო საკმარისზე მეტი ჰქონდა, მაგრამ პირველმა გოლმა „ბოსტონს“ საკუთარი თამაშის დემონსტრირების საშუალება მისცა - ასეთ დროს გუნდი განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, ანგარიშის გათანაბრება კი თითქმის შეუძლებელია.

მასპინძლები, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ, მაგრამ შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ. თუ „ბოსტონის“ კართან მაინც იქმნებოდა ხიფათი, მაშინ უბრალოდ ბრწყინვალედ მოქმედებდა ტიმ ტომასი.

საკუთარი გუნდის გადარჩენა არც „ტამპას“ მეკარე **დუეინ როლოსონს** ავიწყდებოდა. ერთხელ ის **პატრის ბერუერონმაც** შეაწუხა. ეს ფორვარდი იმიტომ ვახსენეთ, რომ მან ამ სერიაში პირველად ითამაშა და დამაჯერებლობა შესძინა საკუთარ გუნდს.

ბოლო 20-წუთიულში სტუმრებმა მეორე გოლიც გაიტანეს. **ენდრიუ ფერენსმა** შორიდან დაარტყმა და მცირე რიკოშეტის შემდეგ შაიბა როლოსონს ფეხებსშუა გაუძვრა. ამის შემდეგ „ლაითნინგს“ დასაკარგი არაფერი ჰქონდა და დიდი ძალებით წავიდა წინ. ტომასს დარჩენილ დროში გაუჭირდა, მაგრამ არ გატყდა და საჩუქრად „შათაუტი“ მიიღო. ეს ტიმის მეათე „მშრალი“ მატჩია სეზონში და მეორე - პლეი ოფში.

ბოსტონი-ტამპა	0:2

0:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 კრეისი-7 (ლუჩიჩი-4, ბოიჩუკი-2), 0:2 ფერენსი-2 (რაიდერი-6, კელი-5).

სერია: 1–2

● ამბები

ჩოგბურთი

როდიკის და ფერერის გარეშე

კიდევ ორი ჩოგბურთელი გამოაკლდა როლან გაროსის მამაკაცთა ბადეს. საფრანგეთის ღია პირველობაზე ვერ ითამაშებენ ამერიკელი **ენდი როდიკი** *და ამ ტურნირის 2003 წლის გამარჯვებული* **ხუან კარლოს ფერერი**.

როდიკმა ვერ მოასწრო მხარის ტრავმის მკურნალობა და ახლა მთელ ყურადღებას უიმბლდონზე გადაიტანს. შეგახსენებთ, რომ ენდიმ უარი თქვა რომის მასტერსის ფინალში თამაშზე და ამ კვირას გამოტოვა ნიცას ტურნირი. ამერიკელს როლან გაროსზე ცხრაჯერ უთამაშია, მაგრამ მეოთხე წრეზე შორს არასოდეს გასულა.

ასევე მხარის ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა პარიზში ვეტერანი ფერერი. მან წელს მხოლოდ ორ ტურნირში შეძლო მონაწილეობის მიღება.

კალათბურთი

იაოს პიუსგონში უნდა

„ჰიუსტონ როკეტსის“ ცენტრმა **იაო მინმა** *ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მარცხენა ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და არ აპირებს კარიერის ნაადრევად დასრულებას.*

პირველი ივლისიდან იაო შეზღუდული უფლებების მქონე თავისუფალი აგენტი გახდება, თუმცა ცენტრმა „როკეტსში“ დარჩენის სურვილი გამოთქვა. ამ სეზონში იაომ მხოლოდ ხუთი მატჩის ჩატარება მოასწრო.

ფრანგები ძლიერები იქნებიან

საფრანგეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 2011 წლის ევრობასკეტისთვის გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა. ფრანგები ლიტვაში უძლიერესი შემადგენლობით აპირებენ გამოსვლას.

24 კალათბურთელისგან შემდგარ სიაში NBA-ის 9 ლეგიონერს ვხედავთ - **როდრიგ ბობუას** („დალასი“), **ტონი პარკერს** („სან ანტონიო“), **ნიკოლა ბატუმს** („პორტლენდი“), **მიკაელ პიეტრუსს** („ფინიქსი“), **ბორის დიაოს** („შარლოტი“), **იან მაინმის** („დალასი“), **ჟოაკიმ ნოას** („ჩიკაგო“), **კევინ სერაფინსა** („ვაშინგტონი“) და **რონი ტურიაფს** („ნიუ იორკი“).

გუნდს კიდევ ორი ლეგიონერი ჰყავს - „ვალენსიაში“ მოთამაშე **ნანდო დე კოლო** *და* **ფლორან პიეტრუსი**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ფორმულა 1. ესპანეთის გრანპრი



მარკ უებერი

უებერის დუბლი

პარასკევს ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნა ესპანეთის გრანპრი. გუშინდელი ორივე ვარჯიში „რედ ბულის" პილოტმა **მარკ უებერმა** მოიგო. ორჯერ შეაღწია სამეულში ავსტრალიელის თანაგუნდელმა და ჩემპიონატის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა**, თითოჯერ - **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი") და **ნიკო როსბერგმა** („მერსედესი").

პირველმა პრაქტიკამ მშვიდ რიტმში ჩაიარა, ყოველგვარი გართულების გარეშე. პილოტები სხვადასხვა პროგრამით მოქმედებდნენ. პირველი ჩასათვლელი ლეგ **ფელიპე მასამ** („ფერარი") დააფიქსირა, მაგრამ ერთ წუთში ის „მერსედესის" ორივე პილოტმა ჩამოაქვეითა. თუმცა ჰემილტონისა და **ჯენსონ ბატონის** დრო მოკრძალებული იყო - მათ 1:33-დან გამოსვლა ვერ შეძლეს. რა თქმა უნდა, სესიის ბოლოს ეს დრო შესამჩნევად გაუმჯობესდა.

პირველი ადგილისთვის ბრძოლა საერთოდ არ ყოფილა. მარკ უებერმა თავიდანვე აჩვენა კარგი დრო და მისი გაუმჯობესება ვერავინ მოახერხა. უფრო მეტიც, ფეტელი, რომელმაც მეორე დრო დააფიქსირა, თანაგუნდელს წამზე მეტით ჩამორჩა. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ უებერმა თავისი საუკეთესო წრე ოთხი წამით ნელა გაიარა, ვიდრე შარშანდელ პირველ პრაქტიკაზე ეს ლუის ჰემილტონმა გააკეთა. ეს კიდევ ერთხედ ადასტურებს იმას, რომ გუშინდელი პრაქტიკა შორს იყო იდეალურისგან.

პირველ სესიაში ერთადერთი გამოსარჩევი მოვლენა იყო **პასტორ მალდონადოს** („უილიამსი") გავარდნა. ვენესუელელმა მე-12 მოსახვევში ვერ დაიმორჩილა მანქანა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. მანქანა დიდად არ დაზარალებულა, მაგრამ პასტორმა ვარჯიში ვეღარ გააგრძელა. „უილიამსს" სასიამოვნო ამბავიც ჰქონდა - **რუბენს ბარიკელომ** მეათე ადგილი დაიკავა, რაც ცუდი არ არის ბრიტანული საჯვინიბოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე.

აუტსაიდერებმა მათთვის მოულოდნელი შედეგები აჩვენეს. აქ ძალიან დიდი სიმჭიდროვე იყო და მხოლოდ **კოვალაინენმა** გაუსწრო ამ ჯგუფს. უფრო მეტიც, ფინელს პრაქტიკულად არაფერი ნაუგია **ალგერსუარისა** და **კობაიაშისთვის**.

23. იარნო ტრული (ლოტუსი) - +6.276 (12)
24. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +6.964 (25)

■ ■ ■

მეორე პრაქტიკა, ისევე როგორც პირველი, მშვიდ რიტმში განვითარდა, თუმცა წრეზე დროები შესამჩნევად გაუმჯობესდა. ამის მიზეზი გახდა სამწამიანი სხვაობა ხისტ („ჰარდი") და რბილ („სოფტი") საბურავებს შორის.

სესიის პირველი წუთები პილოტებმა ისევ „ჰარდის" საბურავებით დაინყეს და ლიდერობა ხელთ იგდო ლუის ჰემილტონმა. მან წრე წუთსა და 25,2 წამში გაიარა, თუმცა ბრიტანელი ვერ ჩაითვლებოდა ფავორიტად, რადგან იმ მომენტში „რედ ბულის" პილოტები სარბოლო მახასიათებლებზე მუშაობდნენ - ისინი სამი-ოთხი წამით ჩამორჩნენ ლუისს. თუმცა შემდეგ სურათი შეიცვალა.

„სოფტზე" გადასვლის შემდეგ პილოტებმა შესამჩნევად გაზარდეს ტემპი. უებერი ისევ ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა - მისი მაჩვენებელი იყო წუთი და 22,4 წამი. სხვათა შორის, კომპანია „პირელიმ" წარმატებით იმუშავა საბურავების გამძლეობის გაუმჯობესებაზე - პილოტებმა ერთი კომპლექტით ბევრი წრე გაიარეს, თუმცა ყოველ წრეზე დროს კარგავდნენ.

პრაქტიკულად, სესიის ბოლომდე ინარჩუნებდა მეორე ადგილს სებასტიან ფეტელი, მაგრამ ჰემილტონმა მოასწრო „რედ ბულის" წყვილს შორის მოქცევა. ბრიტანელმა სწრაფი წრეების სერია სესიის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გაიარა და პრაქტიკულად, დაენია უებერს - ლუისს სულ რაღაც ოთხი მეასედი წამი არ ეყო პირველ ადგილზე გასასვლელად. ბატონსაც იგივე ტაქტიკა ჰქონდა, მაგრამ მას მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის ეყო სისწრაფე.

მოულოდნელობებიდან უნდა აღვნიშნოთ „ფორს ინდიას" სუსტი სესია. ეს გუნდი აუტსაიდერთა რიგებში ჩაეწერა. ნამდვილ აუტსაიდერებს შორის კი სიმშვიდე იყო: „ლოტუსმა" დამაჯერებლად მოიგო „მაჩანჩალების" მინი-ტურნირი, HRT-მ კი ვერ შეძლო „ვირჯინისთვის" კონკურენციის გაწევა.

I პრაქტიკა

1. მარკ უებერი (რედ ბული) - 1:25.142 (27 წრე)
2. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +1.007 (20)
3. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +1.237 (29)
4. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +1.338 (27)
5. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +1.596 (26)
6. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +1.846 (19)
7. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +1.874 (32)
8. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +1.990 (21)
9. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +1.996 (22)
10. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +2.070 (20)
11. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2.099 (22)
12. დანიელ რიკიარდო (ტორო როსო) - +2.329 (23)
13. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +2.863 (11)
14. ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) - +2.885 (26)
15. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +3.021 (22)
16. ფელიპე მასა (ფერარი) - +3.512 (28)
17. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +3.677 (23)
18. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +3.853 (9)
19. ჯეიკ კოვალაინენი (ლოტუსი) - +4.089 (21)
20. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +5.754 (18)
21. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +6.093 (24)
22. ვიტანტონიო ლიუზი (HRT) - +6.126 (23)

II პრაქტიკა

1. მარკ უებერი (რედ ბული) - 1:22.470 (35 წრე)
2. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +0.039 (27)
3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +0.356 (37)
4. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) -+0.718 (32)
5. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +1.098 (34)
6. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +1.116 (35)
7. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +1.511 (30)
8. ფელიპე მასა (ფერარი) - +1.808 (30)
9. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +1.820 (33)
10. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +1.896 (31)
11. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2.013 (38)
12. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2.316 (43)
13. სებასტიან ბუუმი (ტორო როსო) - +2.826 (33)
14. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +2.833 (38)
15. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +2.987 (34)
16. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +3.133 (43)
17. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +3.603 (32)
18. ჯეიკ კოვალაინენი (ლოტუსი) - +3.947 (37)
19. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +4.653 (20)
20. იარნო ტრული (ლოტუსი) - +4.719 (34)
21. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +5.566 (36)
22. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5.592 (28)
23. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +6.999 (28)
24. ვიტანტონიო ლიუზი (HRT) - +7.006 (31)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 19

სლოვაკეთი-საბერძნეთი	1:2
საფრანგეთი-ბელარუსი	2:0

ინგლისი

II ლიგა

აკრინგტონი-სტევენეიჯი	0:1
შრიუსბერი-ტორკი	0:0

იტალია

სერია B

ემპოლი-ტორინო	1:1

ესპანეთი

II დივიზიონი

გრანადა-ვილიარეალი B	3:0

გერმანია

პლეი ოფი

დინამო (დრ)-ოსნაბრიუკი	1:1

რეგიონალლიგა (დას)

ტრირი-კიოლნი A	2:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

აიაჩო-ისტრი	2:0
შატორუ-სედანი	1:0
დიჟონი-ბულონი	1:1
გრენობლი-კლერმონი	2:2
მეცი-ნიმი	3:0
ნანტი-ჰავრი	2:1
რეიმსი-ევიანი	1:2
ტური-ანჟერსი	1:1
ტრუა-ლავალი	3:2
ვანი-ლე მანი	4:3

დანია

სილკეგორგი-ოლბორგი	4:3
ლუგნგიუ-ბრონდბიუ	1:2

II დივიზიონი

როსკილდე-ჰვიდოვრე	3:1
ვესტსილანდი-კიოლდინგი	3:3
აგფ ორჰუსი-ნაესტვედი	2:1
ფრედერისია-ბრონსჰოი	0:0
ჰიორინგი-ფინი	0:3

შვედეთი

ჰაკენი-მალმიო	1:1
ჰელსინგბორგი-კალმარი	1:0

II დივიზიონი

იონჩოპინგი-ფალკენბერგი	0:2

ფინეთი

ტურკუ-იუვიასკიულა	2:3

ავსტრია

II დივიზიონი

ლუშტენაუ-ალტახი	2:4
ადმირა-აუსტრია (ლ)	5:3
გრატკორნი-გრიოდიგი	1:3
ჰარტბერგი-ვენა	2:0
სტ. პოლტენი-სტ. ანდრე	6:2

თურქეთი

გალათასარაი-ძონია	2:0
გუიუძსეჰირი-მანიშა	0:0

ირლანდია

ბოჰემიანსი-სტ. პატრიკსი	0:1
დერი-ბრეი	1:1
უნივერსიტი-დანდალკი	0:2
შემროკი-დროგედა	3:0

II დივიზიონი

ლიმერიკი-ფინ ჰარპსი	1:0
მერვუ-სოლტჰილი	0:0
უელბურნი-ლონგფორდი	1:0
უექსფორდი-კორკი	1:2

ჩეხეთი

II დივიზიონი

დუკლა-კლადნო	3:1
ტერეკი-ანენი	1:0
ყუბანი-ნალჩიკი	1:1
რუბინი-ლოკომოტივი	0:0

პოლონეთი

ბელხატოვი-ზაგლებე	0:2
გურნიკი-ულიონსკი	3:1

უნგრეთი

ვაშაში-კეჩმეკეტი	1:1

იაპონია

სერეზო-კავასაკი	3:3

კალათბურთი

ესპანეთი

რეალი-ფუენლაბრადა	93:72
კახა ლაბორალი-გრან კანარია	86:82
ვალენსია-ბილბაო	72:79

იტალია

მილანი-სასარი	73:63
კანტუ-ვარეზე	67:64

საფრანგეთი

ლე მანი-ფოლე	70:76
როანი-გრაველენი	83:75

ჩოგბურთი

ATP. ნიცა

დოგოპოლოვი-ჰანესკუ	3:6, 3:6
ბერდიხი-ალმაგრო	4:6, 4:6

WTA. ბრიუსელი

ზვონარევა-ჰენგი	3:6, 3:6
ვოზნიაცკი-სკიავონე	6:4, 4:6, 6:3

WTA. სტრასბური

მედინა გარიგესი-ბარტოლი	1:6, 2:6
პეტკოვიჩი-ჰანტუხოვა	6:4, 3:6, 6:4

მს. ჩემპიონატი

კოლშრაიბერი-იუენი	2:6, 6:3, 6:2
ტიპსარევიჩი-ხ. ტრავერო	7:6, 6:1

● TV პროგრამა

21 მაისი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ბარსელონა (LIVE).
22:00 გერმანიის თასი. ფინალი. დუისბურგი-შალკე (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ხეტაფე (LIVE).

GMG-სპორტი

09:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. II მატჩი.
11:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. II მატჩი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი (LIVE).
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. III მატჩი (LIVE).

I არხი

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ბარსელონა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ხეტაფე (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი (LIVE).
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. III მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-სარაგოსა (LIVE).
05:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ბერნარდ ჰოპკინსი-ჟან პასკალი. აშშ (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

11:25 რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ზენიტი (LIVE).
13:45 რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-ამკარი (LIVE).
16:00 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-კრილია (LIVE).
18:15 რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-კრასნოდარი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. გუნდური ჩემპიონატი. ფინალი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

SPORT+

16:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-კრილია (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ვალანსი (LIVE).

EUROSPORT

12:30 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ჩეხეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIV ეტაპი. იტალია (LIVE).
01:00 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VII ეტაპი. აშშ (LIVE).

EUROSPORT-2

13:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რიჩმონდი-ესენდონი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. პლეი ოფი (LIVE).

22 მაისი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის თასი. ფინალი. დუისბურგი-შალკე.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ხეტაფე.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია.
18:00 იტალიის შოუ.
18:30 ესპანეთის შოუ.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბლექპული (LIVE).
21:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-მილანი (LIVE).
01:10 არგენტინის ჩემპიონატი. რივერი-სან ლორენცო (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის. ტურის მიმოხილვა.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. III მატჩი.
14:30 ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. I დღე. პარიზი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. I დღე. პარიზი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ნაპოლი (LIVE).
00:40 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. III მატჩი.
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. III მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-კორინთიანსი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ხოსე-ვანკუვერი. IV მატჩი (LIVE).
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. III მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

14:25 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. როდა-დენ ჰააგი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

18:00 რუსეთის თასი. ფინალი. ცსკა-ალანია (LIVE).

SPORT+

22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-მილანი (LIVE).

EUROSPORT

11:00 ავტოსპორტი. GP3-ის სერია. I რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
11:30 ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
12:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ჩეხეთი (LIVE).
13:00 ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. I დღე. პარიზი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XV ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. I დღე. პარიზი (LIVE).
01:00 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VIII ეტაპი. აშშ (LIVE).

EUROSPORT-2

13:45 ავტოსპორტი. „პორშეს" თასი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
14:30 ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. I დღე. პარიზი (LIVE).

● კვირის ბოლოს

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ჩოგბურთი

როლან გაროსი ციფრებში

სეზონში „დიდი სლემის“ მეორე ტურნირი უახლოეს კვირას დაიწყება. სანამ როლან გაროსის კორტებზე საჩოგბურთო ბატალიები დაიწყება, მანამდე საფრანგეთის ღია პირველობის ისტორიის მოკლე ექსკურსს შემოგთავაზებთ.

საფრანგეთის ღია პირველობის ისტორია 1891 წლიდან იწყება. ოთხი ყველაზე პრესტიჟული ტურნირიდან ის რიგით მესამე იყო - უიმბლდონისა და ამერიკის ღია პირველობის შემდეგ. სხვათა შორის, ტერმინი „დიდი სლემი“ მხოლოდ 1933 წელს იქნა შემოღებული - ამ სერიის რიგით მეოთხე ტურნირის წარმოქმნიდან თითქმის 30 წლის შემდეგ. ის შემოიღო „ნიუ იორკ თაიმსის“ მესვეტემ **ჯონ კირანმა**. იმ წელს ავსტრალიელმა **ჯონ კროუფორდმა** გაიმარჯვა ავსტრალიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატებში და ამერიკის ღია პირველობის წინ კირანმა ოთხივე ტურნირზე მოგების შესაძლებლობა ბრიჯში „დიდ სლემის“ აღებას შეადარა. მართალია, კროუფორდმა ამერიკაში ფინალი წააგო ლეგენდარულ **ფრედ პერისთან**, მაგრამ ტერმინი დღემდე შემორჩა.

■ ■ ■

დიდი ხნის განმავლობაში ფრანგული ტურნირი დახურული იყო გარე სამყაროსთვის - მასში მონაწილეობის უფლება მხოლოდ საფრანგეთის საჩოგბურთო კლუბების წევრებს ჰქონდათ. ამ კლუბებში შეიძლება ყოფილიყვნენ სხვა ქვეყნების მოქალაქეები, მაგრამ 1891-1924 (იქამდე, სანამ ტურნირმა საერთაშორისო სტატუსი მიიღო) წლებში იქ მხოლოდ ერთმა უცხოელმა გაიმარჯვა. ქალთა ერთეულების თანრიგში, რომელიც 1897 წელს გამოჩნდა, 30 წლის განმავლობაში მთავარ პრიზს მხოლოდ ფრანგი ქალები იგებდნენ.

■ ■ ■

საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ 1925 წლიდან ტურნირი ყველასთვის ღია გახადა და ხელი შეუწყო მის მომავალ განვითარებას. თუმცა იმ წლებში ადგილობრივ გულშემატკივრებს შეეძლოთ არ ენერვიულათ ფრანგი ჩოგბურთელების გამო - ქალთა ჩოგბურთში სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგა **სიუზან ლენგლენი**, მამაკაცებში კი ბატონობდა „ოთხი მუშკეტერი“.

სუზანმა, რომელმაც საბოლოოდ მხოლოდ 39 წელი იცოცხლა, ექვს-ექვსჯერ მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონი; გარდა ამისა, 1920 წლის ოლიმპიადაზე მოიპოვა ოქროს ორი და ბრინჯაოს ერთი მედალი. დღეს მის სახელს ატარებს როლან გაროსის კომპლექსის მეორე კორტი. ცნობისთვის, ცენტრალური კორტი **ფილიპ შატრიეს** სახელობისაა - ეს პიროვნება მრავალი წლის განმავლობაში ედგა სათავეში საფრანგეთისა და საერთაშორისო ჩოგბურთის ფედერაციებს.

■ ■ ■

რაც შეეხება „მუშკეტერების“ ოთხეულს, მათზე განსაკუთრებული საუბარია. ესენი იყვნენ - **ჟან ბოროტრა, ანრი კოშე, რენე ლაკოსტი** და **ჟაკ ბრიუნიონი**, რომლებმაც ფრანგულ ჩოგბურთს დიდება მოუტანეს. ოთხმა ჯამში „დიდი სლემის“ 43 ტიტული მოიპოვა, აქედან 20 ერთეულთა თანრიგში (მხოლოდ ბრიუნიონს არ ჰქონდა ერთეულებში „დიდი სლემის“ ტიტული). გარდა ამისა, 1927-32 წლებში ისინი არავის უთმობდნენ დევისის თასს, რომლის პრესტიჟი მაშინ უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს.

■ ■ ■

როლან გაროსის კომპლექსის იდეა 1927 წლის ფინალში სტუმრად ამერიკელებთან დამარცხების შემდეგ წარმოიშვა. საქმე ისაა, რომ მაშინ საფრანგეთს არ ჰქონდა სტადიონი, რომელიც ღირსეულად უმასპინძლებდა დევისის თასის ფინალს (იმ წლებში მოქმედი ჩემპიონი მხოლოდ ფინალში თამაშობდა, დანარჩენები კი მასთან შესახვედრად იბრძოდნენ). საბოლოოდ, კლუბმა Stade Francais-მ, რომელიც ბულონის ტყის გვერდით მიწის ნაკვეთს ფლობდა, სამი ჰექტარი ფართობი გამოყო ახალი საჩოგბურთო კომპლექსის ასაშენებლად, ოღონდ ერთი პირობით - სტადიონისთვის ცნობილი ფრანგი მფრინავის, პირველ მსოფლიო ომში დაღუპული **როლან გაროსის** სახელი უნდა ეწოდებინათ. საქმე ისაა, რომ გაროსი Stade Francais-ის წევრი იყო. ასე გაჩნდა მფრინავის დაღუპვიდან ათი წლის თავზე პარიზში როლან გაროსის საჩოგბურთო კომპლექსი.

■ ■ ■

„მუშკეტერები“ მორიგეობით იგებდნენ ტურნირს 1924-32 წლებში (ორჯერ გაიმარჯვა ბოროტრამ, სამჯერ - ლაკოსტმა და ოთხჯერ - კოშემ), რის შემდეგაც მათ დატოვეს საჩოგბურთო სცენა. სხვათა შორის, მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში თასს „მუშკეტერთა“ საპატივცემულოდ სწორედ მათი სახელი დაარქვეს. კარიერის დასრულების შემდეგ ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი კვალი ლაკოსტმა დატოვა. მას ჯერ კიდევ კორტზე გამოსვლისას შეარქვეს „ნიანგი“ და მოგვიანებით რენემ სპორტული ფორმის მწარმოებელი ფირმა დააარსა, რომელიც დღემდე პოპულარულია. საფრანგეთს ასეთი წარმატებული ჩოგბურთელები აღარ ჰყოლია და „მუშკეტერების“ შემდეგ პარიზში მთავარი პრიზი მხოლოდ ორჯერ დარჩა. 1946 წელს უძლიერესი გახდა **მარსელ ბერნარი**, 1983 წელს კი სახელგანთქმული **იანიკ ნოა**, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ საკმაოდ პოპულარული შოუმენი და მომღერალი გახდა.

■ ■ ■

საინტერესოა თვალი გადავავლოთ როლან გაროსის რამდენიმე რეკორდს, რომელიც Open Era-ში (1968 წლიდან მოყოლებული) დაფიქსირდა. **ბიორნ ბორგმა** ყველაზე მეტი ტიტული (ექვსი) მოიპოვა ერთეულთა თანრიგში; გარდა ამისა, შვედს ეკუთვნის ზედიზედ მოგებათა რეკორდი (ოთხი; 2008 წელს იმავე შედეგს მიაღწია **რაფაელ ნადალმა**).

ქალთა ერთეულებში ყველაზე მეტჯერ **კრის ევერტმა** გაიმარჯვა - შვიდჯერ, მაგრამ ამასთან, მხოლოდ ორჯერ შეძლო ტიტულის დაცვა. ანალოგიური მიღწევა აქვთ **მონიკა სელეშსა** (1990, 1992) და **ჟუსტინ ანენს** (2005, 2007).

■ ■ ■

ტურნირის ყველაზე გრძელი მატჩები 2004 და 2010 წლებში ჩატარდა. შვიდი წლის წინ **ფაბრის სანტორომ** 6 საათი და 33 წუთი (ეს დრო აბსოლუტური რეკორდი შარშანდელ უიმბლდონამდე, სანამ ცნობილი მარათონული მატჩი არ გამართეს **ჯონ ისნერმა** და **ნიკოლა მაუმ**) მოანდომა თანამემამულე **არნო კლემანის** დამარცხებას. ქალების ტურნირზე კი ხანგრძლივობის რეკორდი დააფიქსირეს **კურუმი ნარამ** და **მონიკა ნიკულესკუმ**, რომლებმაც კვალიფიკაციის ფინალურ რაუნდში 4 საათი და 42 წუთი დაყვეს მოედანზე.

■ ■ ■

შესაძლოა, როლან გაროსის 110-ე გათამაშებამ ახალი რეკორდი შემოგვთავაზოს. ყველაზე რეალურია ერთი რეკორდის გამეორება - თუ რაფაელ ნადალი მოიპოვებს ტიტულს, საფრანგეთის ღიაზე ტიტულების საერთო რაოდენობით ბიორნ ბორგს გაუთანაბრდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა